სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 28 აპრილი 1999 №76 (849) | ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. V ტური

საქართველო – ნორვეგია

28 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 21 საათი

ჩვენ უეჭველად გავიმარჯვებთ!

ამბობს ყველაზე პოპულარული ნორვეგიელი ფეხბურთელი

ოლე გუნარ სოლსკიაერი:

ბევრი კარგი მოთამაშე გყავთ, მაგრამ ჩვენს წარმატებაში დარწმუნებული ვარ, ნორვეგიის ნაკრებმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ სტუმრად საუკეთესოა...

ინტერვიუ ოლე გუნარ სოლსკიაერთან იხილეთ მესამე გვერდზე

გადრი კეთილაძის ფოტო

ნორვეგიის ნაკრებმა გუშინ შუადღისას „შევარდენის“ სტადიონზე ივარჯიშა

გადრი კეთილაძის ფოტო

რატომ ვერ ავუწიეთ ყური ტორე ანდრე ფლოს

„ჩელსის“ ნორვეგიელი თავდამსხმელი ქეცბაიაზე, ქინქლაძეზე და ვიალიზე

რონალდო ფეხბურთელთა შორის უმდიდრესია

ბრაზილიელ ვარსკვლავს მილანში ბოთლი ესროლეს

როგორ დაიჭირა ევერტონმა ორი კურდღელი

ქართველი კადეტი კალათბურთელები ევროპის ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ

სიბრძნე სიცრუისა

ოთხშაბათ დილა გათენდა...

ბადრი ჯიმილაძის ფოტო

ნორვეგიელთა გამთამაშებელი ერიკ მიუკლანდი (მარცხნივ) და თავდამსხმელი როარ სტრანდი

გუშინ ნორვეგიელებს დიღმის ბაზაზე 13 საათზე უნდა ევარჯიშათ, მაგრამ მათ მიმართულება იცვალეს, „დინამოს“ საწვრთნელი გაზონი დაიწუნეს და „შევარდენის“ სტადიონს მიაშურეს. აქ ჭირვეული ხასიათი არაფერ შუაშია, ნილს იოჰან სემბი და მისი შეგირდები პროფესიონალები არიან, ესმით კარგი სათამაშო გაზონის მნიშვნელობა. იციან საკუთარი თავის ფასიც და უბრალოდ თავიანთ თავს შელახულ მოედანზე ვარჯიშიც კი არ აკადრეს.

აურიამულეს მერე „შევარდენის“ სტადიონი. შემოლაგდნენ თანამემამულე რეპორტიორ-ჟურნალისტებთან ერთად და დაჰქროდნენ ერთი ბოლოდან მეორისკენ. ზუსტად საათი და თხუთმეტი წუთი ივარჯიშეს, მაგრამ თითქმის ყველაფერი მოასწრეს — კროსი, მოთელვა, კვადრატები, ფიზიკური ვარჯიში. შემდეგ ორკარა გააჩალეს საკმაოდ სწრაფ ტემპში. ჰო, ჰო, რას გაჰკიოდა ნილს იოჰანი. შევარდებოდა ხოლმე მინდორზე, გააჩერებდა ფეხბურთელებს და ნორვეგიულად უხსნიდა საკმაოდ ხმამაღლა და ხელების მოშველიებით. მერე დაბრუნდებოდა თავის ადგილზე, გადაჭკრავდა ქართულ „კაგკასიონს“ და გაულიმებდა თანაშემწეებს.

ორკარა რომ მორჩა, სტანდარტული მდგომარეობებიდან ბურთის თამაშში შეყვანაზეც წაიავარჯიშეს. აქ კი მოგვეცა დასაზვერი და ხელჩასაჭიდი. მივყვეთ თანმიმდევრულად.

კუთხური. ჩაწოდების მომენტში თავდამსხმელთა ოთხეული მეკარის საჯარიმოში შემდეგნაირად განლაგდა — ოლე გუნარ სოლსკიაერი გოლკიპერს მიეტმასნა, მასთან ახლოს დადგა პეტერ რუდი, საჯარიმოს ხაზთან სიახლოვეს ერთმანეთისგან მოშორებით კი სოლბაკენი და ტორე ანდრე ფლო. ორი სახის გათამაშება ვიხილეთ. ჯერ ბურთი შორეულ კუთხისკენ ჩააწოდეს ფლოს მიმართულებით, სოლსკიაერი მეკარეს არ მოსცილებია. მერე კი ახლო კუთხეში ჩამოწოდებულზე რუდმა დაუხვედრა თავი და ბურთი სოლბაკენისკენ გაგზავნა. ოლე გუნარი კვლავ ადგილზე დარჩა და ყურადღებას იქცევდა მხოლოდ.

საჯარიმო ფლანგიდან. ოთხივე თავდამსხმელი თერთმეტმეტრიანის ნიშნულის გასწვრივ ერთ ხაზზე დადგა. ბურთისკენ პირველი სოლსკიაერი იდგა. მოძრაობასაც პირველი იწყებდა კარისკენ, მაგრამ ბურთს მიუკლანდი შორეული კუთხისკენ აგდებდა ფლოსა და ძმათა მისთა მიმართულებით.

საჯარიმო ცენტრიდან. ბურთთან კვლავ მიუკლანდი დადგა. იგი ტერფს რბილად ამოჰკრავდა ხოლმე ბურთს და სტეფენ ივერსენიც ჰაერშივე ურტყამდა ყუმბარსებურად. სოლსკიაერი ცოცხალ კედელში იდგა. არაა გამორიცხული, მიუკლანდმა სწორედ მას გადაუგდოს ბურთი კედელზე გადავლებით. აი ისე, ყიფიანი რომ აკეთებდა და შენგელიას ტოვებდა სახიფათო ზონაში...

ეჰ, ეს ყველაფერი გუშინ გვაჩვენეს ნორვეგიელებმა. ეს ის არის, რაც არ დაგვიმალეს. ახლა იმაზე ვიფიქროთ, მოედანზე რას მოიმოქმედებენ. თუმც თავი დავანებოთ ვიკინგების სურპრიზებს. მთავარი ისაა, ჩვენები როგორ დაუხვდებიან სკანდინავიელებს, ჩვენ თუ გვაქვს რამე დამალული მათთვის. რანი ვართ და რის იმედზე...

ოთხშაბათიც გათენდა. ვინ დათვლის კიდევ რამდენი ასეთი დღე გაუთენდება ქართულ ფეხბურთს და მის გულშემატკივრებს. დღეს ქართული ფეხბურთის მატიანის კიდევ ერთი ფურცელი იწერება.

გუშინ „შევარდენზე“ ნორვეგიელთა ნაკრების დელეგაციას ერთი პატარა, 4 წლის ვიკინგი ახლდა. იმ ქერა ცუგრუმელა ბავშვს კისერზე ეროვნული ნაკრების ფერებითა და ემბლემით მოხატული შარფი ეხვია და ბურთიანად დაბაჯბაჯებდა მწვანე მინდორზე. ვუყურებდი პატარა ნორვეგიელის გაბრწყინებულ თვალებს და ერთი აზრი არ მასვენებდა, მიუხედავად ყველაფრისა, ქართველ ბავშვებსაც ხომ მუდამ ექნებათ ფეხბურთელობის სურვილი და მოთხოვნილება?

გაივლის წლები და ჩვენი პატარები იკითხავენ დღევანდელ დღეს შესახებ.

— გახსოვს, ბაბუ, ნორვეგიელებს რომ სტუმრობენ თბილისში?

— იმ უედნიერ დღეს რა დამავიწყებს, ბაბუ!

— მართლა ძალიან მაღლები იყვნენ?

— ეზოში რომ ალვის ხე გვიდგას, ისეთი მაღლები.

— ქართველები?

— ჩვენები უფრო ტანმორჩილები ჩანდნენ.

— მერე არ შეეშინდათ?

— სიმაღლეს რა ჭკუა აქვს, დავით აღმაშენებელს იმათხელა ქვა აჰქონდა ციცაბო კლდეზე. ვახტანგ გორგასალი კი ფლოსა და სოლბაკენის წონის ჯაჭვის აბჯარს ატარებდა...

— მერე?

— მერე, ბაბუ, ჩვენმა ბიჭებმაც გაიხსენეს, რომ დიდი წინაპრები ჰყავდათ.

— ფეხბურთი ომი ხომ არ იყო?

— თუ არ იომე, ბრძოლას ვერ მოიგებ.

— იცოდნენ ჩვენებმა ბრძოლა, ბაბუ?

— ადრე იცოდნენ, და ის გაიხსენეს ჩვენმა ბიჭებმაც.

— რა გაიხსენეს?

— დავით ყიფიანის პასი გაიხსენეს, მურთაზ ხურცილავასავით კედელივით აღემართნენ ნორმვეგიელებს, ბასა ღოლობერიძესავით ბურთს იწებებდნენ სხეულზე, ვიტალი დარასელიასდარად გულიანად თამაშობდნენ, ალექსანდრე ჩივაძესავით შემართულნი იყვნენ, რამაზ შენგელიასავით ჩასაფრებულნი, მიხეილ მესხის ფინტი გაიხსენეს, ბაბუ...

— ხალხი რაღას აკეთებდა?

— ხალხი არნახულად ქომაგობდა.

— როგორ არნახულად?

— ჯერ კიდევ თამაშის დაწყებისას ფეხბურთელებთან ერთად ხმამაღლა მღეროდა საქართველოს ჰიმნს. ისე ღრიალებდა მთელი სტადიონი, ზეცამაც ვერ შეიკავა ცრემლები.

— ვიკინგები რას შვრებოდნენ, ბაბუ?

— ნორვეგიელებს მუხლები უკანკალებდათ.

— მერე ცოდონი არ იყვნენ?

— ვინ, ბაბუ?

— ვინ და ნორვეგიელები.

— ჩვენ რომ არ შეგვიცოდეს...

— ეგ როდის?

— როდის და...

ხვიჩა სანიკიძე

სახსოვრად ეროვნული ნაკრებისგან

ეროვნულმა ნაკრებმა გუშინ საღამოს ბოლო ვარჯიში ჩაატარა. ბოლო ვარჯიში დღევანდელი ბოლო მოქმედების წინ. დრამატურგიაში ერთი ასეთი გამოთქმაა — თუ სპექტაკლის პირველ მოქმედებაში კედელზე ჩამოკიდებული თოფი გამოჩნდა, იგი ბოლო მოქმედებაში აუცილებლად გაისვრისო. სამწუხაროდ, ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ადრიანად დამთავრებას შეუწყო ხელი. პირველ მოქმედებაში, ალბანეთის წინააღმდეგ, კი გამოჩნდა კედელზე ჩამოკიდებული თოფივით, მაგრამ მერე მიეფარა თვალს. მაყურებელი კი სულმოუთქმელად ელოდა, აგერ ახლა იფეთქებს და ნახავთ, როგორ ცეცხლს დაანთებსო. ზოგიც ფიქრობდა თავის დროს, ბოლო და გადამწყვეტ მოქმედებას უცდისო. დღეს არის სწორედ ის ბოლო და თუ გნებავთ, უკანასკნელი მოქმედების დღე. ნორვეგიასთანაც თუ არ გაისროლა იმ დალოცვილმა, ისე შეჭამს ჟანგი, მისგან აღარაფერი დარჩება.

ქეცბაიაც შემოუერთდა გუცაევის გუნდს. ალბათ, მოხდა მოშულართა შერიგებაც. ყველანი აქ არიან შოთა არველაძის გარდა. ტრავმირებულ აიაქსელს თბილისში მყოფი ქინქლაძეც დაემატა. გიორგის მყესები დაეჭიმა და შინ გაუშვეს. დანარჩენები ჯანზე არიან, როგორც ყოველთვის. დანარჩენების გამოჩენას დიდი ოვაციით შეხვდა გუშინ ეროვნულზე მოსული მრავალი გულშემატკივარი.

გუცაევმა მსუბუქად წაავარჯიშა ბიჭები. ძუნძულისა და ფიზიკური ვარჯიშების შემდეგ კვადრატები გაჩაღდა. მერე მოედნის ერთ ნახევარზე ცალკარა ათამაშა შემდეგი პრინციპით — კარში ტოგონიძე იდგა. დაცვაში რეხვიაშვილი, წერეთელი, კალაძე, შეყილაძე და ფოფხაძე განლაგდნენ, ყვითელ მაისურებში გამოწყობილნი. ამათ კი ლურჯმაისურებიანი ქეცბაია, სილაგაძე, ნემსაძე, ჯანაშია, ჯამარაული და კობიაშვილი უტევდნენ ხან ფლანგებიდან, ხანაც ცენტრიდან.

მერე მოიერიშეთა ნაცვლად ცქიტიშვილის, დემეტრაძის, ფოცხვერიას, ალექსიძის, დიდავას, კიკნაძისა და აჩიკო არველაძის შვიდეული ცდილობდა ყვითლების გარღვევას და ტოგონიძის კარის დალაშქვრას. ეს მონაცვლეობა თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა. ვარჯიშის ბოლოს კი მეკარეთა „დაბომბვა“ დაიწყო ორივე კარში. საწყენი იყო, რომ ყოველი დარტყმულიდან მხოლოდ მეოთხე თუ ხვდებოდა კარის ჩარჩოში და ხან გოლკიპერი იმარჯვებდა, ხანაც ბურთი ბადეში ეხვეოდა. ვარჯიშიც მორჩა და ფეხბურთელებმაც ავტობუსს მიაშურეს. თუმცა იქამდე მისვლა იოლი როდი აღმოჩნდა. ეროვნული ნაკრების წევრებს ნორჩი გულშემატკივრები შემოეხვივნენ. იყო ოვაციები და ავტოგრაფების ჩამორთმევა, ფეხბურთელებთან ერთად სამახსოვრო ფოტოების გადაღება და სხვა. პატარა ქომაგებს თვალები უბრწყინავდათ, ბედნიერები იყვნენ ქართული ფეხბურთის რჩეულებთან სიახლოვით.

ბურაბ დოლიძეჯანაშვილის ფოტო

მოუხელთებელი ზაზა ჯანაშია (ბურთით) ფოფხაძის, სილაგაძის (№21) და ცქიტიშვილის გარემოცვაში

მერე ერთმა ხანდაზმულმა, ჭაღარა კაცმა მწარედ იხუმრა — ხვალ თამაშამდე მაინც გაამჟღავნონ ეს ფირები, თორემ ვინ იცის, იქნებ სულაც აღარ მოუნდეთ სურათების დაბეჭდვაო.

აშკარად შეცდა ამ სიტყვების ავტორი. მიუხედავად დღევანდელი მატჩის შედეგისა, დარწმუნებული ვარ, ის ბავშვები მაინც დაბეჭდავენ გუშინ გადაღებულ ფოტოებს. მათ ალალად უყვართ თავიანთი კერპები და იმიტომ. სიყვარულმა კი საზღვრები არ იცის. როცა გონებაზე გრძნობა ბატონობს, საფიქრალად დრო აღარ გრჩება კაცს. ისე, პატარები ყოველთვის იმედიანად უყურებენ მომავალს და წინასწარ წუწუნი არ სჩვევიათ, თორემ კარგადაც არჩევენ სუსტსა და ძლიერს. ნორჩ გულშემატკივრებს სჯერათ დღევანდელი დღისა და ეროვნული ნაკრების ღირსეულად თამაშის. ალბათ, უკვე იმაზეც ფიქრობენ, რომ ფეხბურთელების გვერდით გადაღებულ სურათებს უკანა მხარეს წააწერონ — 1999 წლის 28 აპრილი. საქართველო — ნორვეგია... სახსოვრად ზაზა ჯანაშიასგან, სახსოვრად გორა ჯამარაულისგან, სახსოვრად კახა კალაძისგან...

უკვე აღარც მახსოვს, როდის დააფიქსირეს ქართველმა ფოტორეპორტიორებმა გამარჯვებული ეროვნული ნაკრები.

კარგა ხანია, აღარც პრესის ფურცლებზე დაბეჭდილა გამარჯვებული ეროვნული ნაკრების ფოტო წარწერით — სახსოვრად ქართველ გულშემატკივრებს ეროვნული ნაკრებისგან...

ხვიჩა სანიკიძე

ოლე გუნარ სოლსკიაერი: მეენიუ დიდი გუნდი, სილია კი ზღაპარია

ნორვეგიის ნაკრები მთელი თავისი ბრწყინვალებით თბილისშია. ეს ფაქტი მართლაც ღირსშესანიშნავია. რატომაც არა, ნორვეგიელთა სტუმრობა ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთ რამედ ღირს. ბრწყინვალე — ეს სიტყვა იქნებ ზედმიწევნით არ მიესადაგებოდეს სტუმართა დღევანდელ ნაკრებს, მაგრამ იმ გზისთვის მართლაც ზედგამოჭრილია, რომელიც სკანდინავიელებმა გოლიათური ნაბიჯებით განვლეს ბოლო ათწლეულში. ნებისმიერი გუნდის ავ-კარგიანობის უმთავრესი განმსაზღვრელი მაინც ფეხბურთელია. ვიკინგებმა ეს პრობლემაც მოაგვარეს, თანაც როგორ. „დღეს ნორვეგია ამაყობს თავის ფეხბურთელებით და სოლსკიაერით" — ეს სიტყვები თბილისში ჩამოსულ გაზეთ „სტავანგერ აფტენბლადის" ჟურნალისტს, ეგილ ნაერლანდს ეკუთვნის.

ოლე გუნარ სოლსკიაერი, დიდი „მანჩესტერ იუნაიტედის" დიდი ნორვეგიელი ფეხბურთელი... თბილისის აეროპორტში. ღიმილმოუშორებელი, მხიარული და თავის თავზე ალალად მოსაუბრე კაცი...

ნორვეგიელი „მზეჭაბუკი" ოლე გუნარ სოლსკიაერი

— მეტყობა „ვიკინგობის" რამე? ამ ბოლო დროს ნორვეგიელზე უფრო მანჩესტერელი ვარ.

— ჰოდა, მანჩესტერით დავიწყოთ. „მენიუ" დიდი გუნდია.

— მიხარია, რომ ამას ამბობთ. ბევრჯერ მითქვამს. „მანჩესტერში" თამაში ჩემი ცხოვრების მიზანი იყო. „მენიუ" მართლაც დიდი გუნდია და იქ მერწმუნეთ, მართლაც ფანტასტიკური სიტუაცია სუფევს.

— ამ ფანტასტიკურ სიტუაციაში ხშირად სათადარიგო სკამზე გიწევთ ჯდომა.

— ვაღიარებ, კოული მშვენიერ ფორმაშია, თუმცა ფეხბურთში ყველაფერი ხდება... ჩემი თავი „იუნაიტედის" გარეშე ვერ წარმომიდგენია და კლუბში ჩემს შანსს ყოველთვის დველოდები.

— „იუვენტუსი" — „მანჩესტერი" — ეს შეხვედრა მართლაც ფანტასტიკური იყო. სათადარიგო სკამიდან დახახულ მატჩს როგორ გაიხსენებდით?

— როგორ გითხრათ, თავს საშინლად ვგრძნობდი. ვხედავდი, რომ მოედანზე დიდი რამ ხდებოდა, მე კი ამ ამბის უშუალო მონაწილე არ ვიყავი. ბოლო წუთამდე მჯეროდა, რომ მოედანზე შესვლის შანსი მომეცემოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ეს მართლაც დიდი მატჩი იყო. შეხვედრის ბოლოს ფეხბურთელები ემოციებს ვერ თოკავდნენ. უზომო ბედნიერებისგან ბავშვებად ქცეულიყვნენ. იორკის სახე არ დამავიწყდება. კედელს ზურგით მიჰყრდნობოდა და გაჰყვიროდა.

— გამარჯვებას, ალბათ, დიდებულად აღნიშნავდით...

— წარმოიდგინეთ, მანჩესტერში დაბრუნებისთანავე სახლებში წავედით, რადგან მალე მორიგი თამაში გვიწევდა „ლიდს იუნაიტედთან". წარმატების აღნიშნის დრო და საშუალება თითქმის არ გვაქვს. სულ თამაშები და თამაშები...

— წინ დიდი ფინალი გელით მიუნხენის „ბაიერნთან"...

— ამგვარ შანსს „მენიუ" ხელიდან არ გაუშვებს. გერმანულ ფეხბურთზე მაინცდამაინც დიდი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მიუნხენელთა შესაძლებლობებს ანგარიშს არ ვუწევდე. ეს მართლაც ღირსეულთა ღირსეული ფინალი იქნება. სიმართლე გითხრათ, ახლაც ამ მატჩზე ვფიქრობ. დიდი სურვილი მაქვს, „კამპ ნოუზე" ვითამაშო. მსურს, ჩემი სახელი „მანჩესტერის" ისტორიას სრულად დავუკავშირო.

— პროფესიონალ ფეხბურთელს ბევრ სიამოვნებაზე უხდება უარის თქმა...

— ამ მხრივ პრობლემები საერთოდ არ მაქვს. სმით არ ვსვამ, არ ვეწევი, ყოველთვის ვცდილობ, ფორმაში ვიყო. ისე, იქნებ მეტ დროს ვუთმობ მეგობარ გოგონას, მაგრამ ჩემს კარიერას ეს ოდნავადაც არ ვნებს.

— გეტყობათ, მანჩესტერში ცხოვრებით კმაყოფილი ხართ.

— ასეა. ადვილად შევეჩვიე მანჩესტერს. საერთოდ ინგლისი მშვენიერია, სხვათაშორის ამ ქვეყნის ისტორიამ ძალიან დამაინტერესა და სულ უფრო მეტ თავისუფალ დროს ვახმარ მას. ერთიცაა, ნორვეგიასთან სიახლოვე საშუალებას მაძლევს, დროგამოშვებით შინაურებიც მოვინახულო.

— თავისუფალ დროს კიდევ რითი იქცევთ თავს?

— ჩემი თავისუფალი დრო ჩემი „გერლ ფრენდია".

— მეგობარი გოგონა უკვე მეორედ ახსენეთ. ვატყობ, მას თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უკავია.

— ოო, სილია ზღაპარია, საოცრად ლამაზი, ძლიერ მიყვარს, ბევრჯერ დამხმარებია. მას მართლაც დიდი ადგილი უკავია ჩემს ცხოვრებაში.

— ნორვეგიის ნაკრებზეც ვთქვათ. როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე შეგეძლოთ უკეთესი შედეგის მიღწევა?

— ბრაზილიასთან ჯგუფის ბოლო შეხვედრამ წარმოუდგენელი ენერგია წაგვართვა. დღეს ბევრი ამბობს, რომ იმ თამაშში სამხრეთამერიკელები გართულებებს მოერიდნენ, თავი შეინახეს და ძალების დაზოგვით გვეთამაშნენ. სისულელეა ამის თქმა. არ ვიცი, შორიდან როგორ ჩანდა, მაგრამ მოედანზე თითოეული მონაკვეთისთვის უშელავათო ბრძოლა იყო გაჩაღებული. ერთიცაა, ამ გამარჯვებამ იტალიელებთან მეოთხედფინალური მატჩის წინ ჩვენს ფსიქოლოგიურ განწყობილებაზე კარგად ვერ იმოქმედა. ზედმეტად თავდაჯერებულნი ვიყავით და დავისაჯეთ კიდეც. არადა, ისეთი მატჩი იყო, ფრეზე არაფერს ვამბობ, მოგებაც შეიძლებოდა. მე მაინც ბედისწერის მჯერა — მოხდა ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. ნორვეგიას მეოთხედფინალში თამაში არ ეწერა.

— ჯგუფში ფავორიტებად რომელ ნაკრებებს მიიჩნევთ?

— პირველ რიგში ნორვეგიას და შემდეგ მაინც საბერძნეთს. არ მინდა, გული დაგწყვიტოთ, მაგრამ ფაქტია დღეს ბერძნებს ქართველებზე მეტი გამოცდილება აქვთ, რაც ამგვარ ტურნირებში ბევრ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს. ისე, ლატვიელების გამკვირვებია. არაა გამორიცხული, მათ გარკვეული სიურპრიზებიც შემოგვთავაზონ.

— ერთი ასეთი სიურპრიზი ხომ ნორვეგიის ნაკრებმაც გამოსცადა თავის თავზე...

— მე ასე ვიტყოდი, ლატვიელებს გაუმართლათ, ჩვენ საშინელ ფორმაში ვიყავით, თანაც მეტოქეც ვერ შეგაფასეთ სათანადოდ. აი, ნახავთ საპასუხო მატჩში, რიგაში ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

— ხვალინდელ მატჩზე რას ფიქრობთ?

— წესია ასეთი. ყველა მეტოქეს პატივს ვცემ. გამონაკლისი არც საქართველოს ნაკრებია. ვიცი, რომ ბევრი კარგი მოთამაშე გყავთ, თუმც ნორვეგიის ნაკრების წარმატებაში მაინც დარწმუნებული ვარ. თანაც მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არც „შინაური კედლების" ფაქტორს ვანიჭებ. ნორვეგიის ნაკრებმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ სტუმრად საუკეთესოა.

— ნილს იოჰან სემბის ტაქტიკური მონახაზით დიდად აღფრთოვანებული არ უნდა იყოთ. ნორვეგიის ნაკრები ერთი თავდამსხმელით თამაშობს, გუნდში კი სოლსკიაერი და ფლოა...

— მე და ფლოს ამ მხრივ პრობლემები არ გვაქვს. ვის დააყენებს სემბი, ეს მისი პრეროგატივაა. ისე, რასაკვირველია, ყველა ფეხბურთელის სურვილი ძირითად შემადგენლობაში თამაშია.

სოლსკიაერი, ოლსენთან და რუდთან ერთად კუთხურებზე ვარჯიშისას

— ფეხბურთს შევეშვათ, ვინ არის ოლე გუნარ სოლსკიაერი და როგორია იგი ცხოვრებაში?

— ძნელია, საკუთარ თავზე ილაპარაკო, მაგრამ მაინც მგონია, რომ ძალიან კეთილი ვარ, ცოტა მორცხვი და ბედნიერი ყოველდღიური ცხოვრებით.

— თქვენი ბავშვური სახის გამო ბევრი დაწერილა. მართლაც ასე გამოიყურებით...

— ამას ბევრჯერ გავუხალისებივარ. მე 60 წლისაც ასეთი ვიქნები, ისე, ხასიათშიც ბევრი რამ მაქვს ბავშვური.

— ადრე თუ გვიან, ყველა ფეხბურთელს უხდება კარიერის დასრულება...

— სიმართლე გითხრათ, ვერ წარმოვიდგენია სოლსკიაერი უფეხბურთოდ. ვიცი, რომ ერთ დღეს ყველაფერი დასრულდება, მაგრამ ყველაფერს ვიღონებ, რომ ეს დღე რაც შეიძლება გვიან დადგეს, ვითამაშებ სანამ შემეძლება, შემდეგ კი... შემდეგ დავბრუნდები სამშობლოში და ვიცხოვრებ მშვიდად და ბედნიერად.

კაატა ძვანტალიანი



რევაზ ძოძუაშვილი

ჯერ თავო და თავო...

ძოძუაშვილთან ბოდიში, მაგრამ — გვიჯობს, ალბანელებმა ლატვიელები დაამარცხონ

დღეს, რიგაში, ჩვენი ჯგუფის ლიდერი ლატვიელები ომს გარიდებულ აუტსაიდერ ალბანეთის ნაკრებს დაუპირისპირდებიან.

უდავოა, ეს მატჩი საქართველოს ეროვნული გუნდისთვისაც მნიშვნელოვანია. სადაც ამდენჯერ, ვინძლო დღესაც გაუმართლოს ჩვენებურებს. ჰოდა, თავად განსაჯეთ, ღმერთმა ქნას, ქართველებმა ნორვეგიელები დაამარცხონ, ლატვიაში კი სტუმრებმა იმარჯვონ — არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს ნაკრები ნორვეგიასთან ერთად ჯგუფს ულიდერებს. ძოძუაშვილთან ბოდიში, მაგრამ გვიჯობს, ალბანელებმა ლატვიელები დაამარცხონ.

ლატვია — ალბანეთის მატჩის წინ კი, აბა, მასპინძელთა მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილზე საინტერესოს ვინ გვეტყოდა? მართალია, რამდენიმე დღის წინ ლატვიელთა შემადგენლობა გამცნეთ, იქაურთა პრობლემებზეც ვთქვით, მაგრამ...

რევაზ ძოძუაშვილს ოდნავ ნაღვლიანი ხმა ჰქონდა.

— როგორ ვიქნები, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი დაგვიშავდა. ჯერ ავ, ახლა მათ ღირსეულ შემცვლელებს ვეძებ — გვითხრა გუშინ ლატვიელთა ქართველთა მწვრთნელმა.

— კონკრეტულად? ვინ ვერ ითამაშებს?

— ნაოპერაციევია გამთამაშებელი ბაბიჩევი. ორიოდ დღის წინ გადაწყდა, რომ მცველ — ნახევარმცველი ასტაფიევიც ვერ ითამაშებს, მას მყესები დაუზიანდა. „საუთჰემპტონიდან" ტრანზიტირებული ჩამოვიდა პახარსი. მთლად ჯანზე ვერ არიან ზემლინსკი და შარანდო. რა ვქნა? თუმცა კი ერთი პერსპექტიული ბიჭი, რუბინი დავიმატე ახალგაზრდული ნაკრებიდან და ალბანელებთან, ალბათ, ძირითადშიც ვითამაშებ.

— ალბანელებზე საკმაო ინფორმაცია გქონიათ.

— ყოველ შემთხვევაში, ნაკლებობას არ ვუჩივი. მათი ორი თამაშის ფირი მაქვს, ვლადიმერ გუცაევმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ შემატყობინა. რაც ვნახე, გონივრულ ფეხბურთს თამაშობენ, დაცვის ხაზი კი ყველაზე ძლიერია. კონტრშეტევებიც კარგად აქვთ დამუშავებული.

— თქვენც რომ ასე თამაშობთ?

— არა, ალბანელებთან, ალბათ, შემტევ ფეხბურთს ვაჩვენებთ. თუ პახარსი მანამდე გამოჯანმრთელდა, სამი თავდამსხმელით — მიხოლაპსით, პახარსითა და შტოლცერსით ვითამაშებთ. თუმცა კი ძველებურად დაცვასაც დიდ ყურადღებას მივაქცევთ.

— და თუ გაიმარჯვეთ...

— აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ბიჭებს ოთხი დღეა, ფსიქოლოგიურად ვამუშავებ. ყველაფერი თავიდან იწყება-მეთქი, ვეუბნები. ისინიც მონდომებულები არიან, თავდაუზოგავად ვარჯიშობენ, ვნახოთ. ისე, საქართველოს ნაკრების იმედიც მაქვს, გუცაევი იღბლიანი კაცია...

ალბანელები კი გუშინ ნაშუადღევს ჰამბურგიდან ჩარტერული რეისით ჩაფრენილან რიგაში. გერმანიაში ერთკვირიანი შეკრება მოუწყვიათ და მწვრთნელ ასტრიდ ჰაფიზის თქმით, სალატვიოდ საკმაოდ კარგად მომზადებულან. თუმცა კი ერთი დიდი პრობლემა თურმე მათაც აწუხებთ — კაპიტანი რული ვატა დაშავებიათ.

ბობა ინასარიძე

რატომ ვერ ავუნიეთ ყური ტორე ანდრე ფლოს

ტორე ანდრე ფლო (უფრო სწორად, ტურე ანდრე ფლუ — ასე გამოთქვამენ ნორვეგიელები) ნორვეგიის ნაკრების ლიდერი და, არ გავაზვიადებთ თუ ვიტყვით, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია. ისე, გემოვნების საკითხია, ზოგს ფლო შეიძლება მოსწონდეს, ზოგსაც სოლსკიაერი, მაგრამ ქართველი და ნორვეგიელი ჟურნალისტების ყურადღებას ყველაზე მეტად „ჩელსის“ ლეგიონერი რომ იპყრობს, ფაქტია.

და ფლოც. ეს ვეება, მართლაც რომ ვიკინგი იდგა „შერატონ პალასის“ ფოიეში და გულუხვად არიგებდა ღიმილს და ინტერვიუს.

მასთან საუბრის მსურველი კი იმდენი იყო, რომ რიგრიგობით თუ დაუსვამდი შეკითხვას, თორემ გადაბმით და მიყოლებით კითხვა-პასუხს ვინ დაგაცლიდა.

ისე, ფლოს მიზეზიც აქვს, მხიარული და კეთილგანწყობილი იყოს. სულ რაღაც ერთი თვის წინ მემკვიდრე — ვაჟი შესძენია და საოცრად ლამაზი გახდა ცხოვრებაო, გვითხრა ახალგაზრდა მამამ.

მართალია, ასეთ დროს ქართველები ყურს უნევენ-ხოლმე ბიჭის მამას, მაგრამ ფლოსთვის ყურის აწევა, ცოტა არ იყოს, უხერხული იქნებოდა — ჯერ ერთი, იგი ქართველი არ არის, ხმელეთ-ყინულოვანი ნორვეგიის შვილია და მეორეც, არ გინდოდა, მის ყურს მისწვდომოდი?

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. ისე კი ტორე ანდრე ფლო მეტად სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა, მომხიბვლელიც კი და მისი და მისი ნაკრების სანინააღმდეგოდ როგორ მოგვიბრუნდებოდა ენა, რომ არ არსებობდეს ერთი დაახლოებით ნორვეგიისხელა ქვეყანა — საქართველო...

ტორე ანდრე ფლო „შევარდენის“ სტადიონზე გუშინდელი ვარჯიშისას

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

— ქართველ ფეხბურთელთაგან თუ შეხვედრიხართ ვინმეს მინდორზე და როგორ დაგამახსოვრდათ შეხვედრა?

— მე ვითამაშე ქართველების წინააღმდეგ 1996 წელს, ამხანაგურ მატჩში, რომელიც ოსლოში გაიმართა. მაშინ თქვენებს 1:0 მოვუგეთ. მთლიანად გუნდმა ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ კონკრეტულად ფეხბურთელებზე ვერ ვიხსენებ.

ვიცი, ისიც, რომ პრემიერლიგაში, კერძოდ „ნიუკასლში“, თქვენებური ქეცბაია გამოდის. სამწუხაროდ, არც მის წინააღმდეგ მითამაშია აქამდე, მაგრამ ინგლისური პრესისა და მიმომხილველების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქეცბაია ჩინებული ფეხბურთელია. ისე, გიორგი ქინქლაძის შესახებაც მსმენია. იგი ჯერაც ახსოვთ ინგლისში.

— მოდით, თქვენს კლუბზე, „ჩელსიზე“ ვისაუბროთ. ამ ბოლო ხანს „ჩელსი“ ვეღარ თამაშობს ძველებურად წარმატებით. თასების თასის გათამაშებასაც გამოეთიშეთ და ინგლისის ჩემპიონატშიც გაგიჭირდათ. რა არის ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზი?

— კონკრეტული მიზეზის დასახელება ძნელია. ფაქტია, რომ ძველებურად ვეღარ ვთამაშობთ. შეიძლება გამართლების ფაქტორიც მოქმედებს — ზოგჯერ ვფიქრობ, იღბალმა ხომ არ გვაქცია-მეთქი ზურგი. ვნახოთ, მწვრთნელიც, ფეხბურთელებიც ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ გუნდი ძველებურად, შედეგიანად და წარმატებით ათამაშდეს.

— როგორ ფიქრობთ, დარჩა კი „ჩელსის“ ინგლისის ჩემპიონობის შანსი?

— არა მგონია. იმდენი ქულა დავკარგეთ, ჩემპიონობაზე ფიქრიც კი, ცოტა არ იყოს, არარეალურად მეჩვენება. თასების თასზე ჩვენ დავმარცხდით „მალიორკასთან“ ნახევარფინალურ მატჩებში, მაგრამ იქ კიდევ გვქონდა რაღაც შანსი — ბოლოს და ბოლოს ორი მატჩია, აქ თუ ვერა, იქ მოიგებ, მოკლედ, დრო, ძალა გაქვს. თანაც იცი, მეტოქე შენთან აბსოლუტურად თანაბარ პირობებშია. სულ სხვა სურათია პრემიერლიგაში — „ჩელსი“ მხოლოდ მესამეა და „არსენალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ იმდენით უსწრებენ, რომ მათი დაწევა, ვფიქრობ, შეუძლებელია.

— თქვენი გუნდი „ვარსკვლავთა საკრებულოა“, „ჩელსის“ მწვრთნელი ჯანლუკა ვიალი კი სულ ცოტა ხნის წინ თავად იყო ვარსკვლავი. დიდი ხანი არ არის, რაც მწვრთნელობას შეუდგა. რას იტყვით ვიალიზე?

— ვიალი თავის დროზე ჩემი თანაგუნდელი იყო, ახლა კი მწვრთნელია. ასე რომ, პრობლემები მასთან, როგორც მწვრთნელთან, არ მექნება, რადგან ჩვენ მინდორზე ერთად თამაშიდან ვიცნობთ ერთმანეთს.

ობიექტურად კი ვიალი პიროვნებაც კარგია და მწვრთნელიც.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი ხნით გაჩერდებით „ჩელსიში“? როგორ გრძნობთ ლონდონში თავს?

— „ჩელსიში“ იმდენად კარგად მიმდის საქმეები, იმდენად კარგად ვგრძნობ თავს, რომ არსად წასვლას არ ვაპირებ. მსურს, იქ კიდევ კარგა ხანს ვითამაშო.

— ახლა, თქვენზეც ვისაუბროთ. როგორი ხართ ყოველდღიურ ცხოვრებაში. რამდენადაც ვიცი, თქვენ მოსწონხართ ადამიანებს.

— ამაზე, ალბათ, უმჯობესია, სხვებმა ისაუბრონ. საკუთარ თავზე ლაპარაკი მეუხერხულება. ისე კი, მგონია, რომ ხათრიანი ვარ. არაჩვეულებრივსაც არაფერს ვაკეთებ. ვცხოვრობ ფეხბურთელის ცხოვრებით და მიყვარს ჩემი ოჯახი.

— ოჯახზე უფრო დაწვრილებით გვიამბეთ...

— სულ ერთი თვეა, მე და ჩემს მეუღლეს ვაჟი შეგვეძინა და მას მერე თავს უბედნიერესად ვთვლი. სულ სხვა გრძნობაა, იყო მამა.

— ხშირ-ხშირად იყურებით საათზე, ეტყობა, გეჩქარებათ, თავს არ შეგაწყენთ. ერთ კითხვასაც დაგისვამთ, თუ შეიძლება...

— დიახ, მალე თეორიული მეცადინეობა გვეწყება და დრო შეზღუდული მაქვს, იჩქარეთ, თუ შეიძლება.

— ხვალინდელ მატჩზე რას იტყვით, რას აპირებთ?

— ვეცდები, იმდენი გოლი გავიტანო, რადმენიც მატჩის მოსაგებად იქნება საჭირო. ქართველებს თამაში შეგიძლიათ, მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრაა და ჩვენც ბოლომდე ვეცდებით ჩვენსას.

— გისურვებთ წარმატებას სლოვენიასთან, საბერძნეთთან, ლატვიასთან, ალბანეთთან, ოღონდ არა საქართველოს ნაკრებთან მატჩში.

ტორე ანდრე ფლომ ბოდიში მოგვიხადა და სიცილით დაგვემშვიდობა. ვნახოთ, ნორვეგიელთა ლიდერი აასრულებს თუ არა დღევანდელ შეხვედრაში თავის გუშინდელ დანაქადნებს.

ძალიან იმედიანი კი ჩანს, მაგრამ... კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნეტავ, თუ გაუგონია ამის მაგვარი ტორე ანდრე ფლოს?

კონსტანტინე გოგიშვილი

სერიოზული ვარჯიში

დღეს, 16 საათზე „შევარდენის“ სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ნორვეგიელ თანატოლებს მასპინძლობს. მართალია, ჩვენებს ჯგუფიდან გასვლის შანსი პრაქტიკულად გადაეწურათ, მაგრამ იმ გუნდის დამარცხება, რომლის ბირთვიც 18 წლამდელებში ევროპის ჩემპიონებისგან შედგება, ბოლოს და ბოლოს, პრესტიჟის საქმეა.

რამდენიმე დღის წინ ქართველი ახალგაზრდების თავკაცი გიგლა იმნაძე დიდი პრობლემის წინაშე იდგა. წვიმების გამო ნაკრები სავარჯიშო მინდვრის გარეშე რჩებოდა (ვაი, რომ აქამდეც მივედით), მაგრამ, საბედნიეროდ, ტაროსმა იმნაძეს მოწყალე თვალით გადმოხედა. ბოლო დღეებში თბილისში მზემ გამოანათა და პრობლემაც თავისთავად მოგვარდა.

ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ მატჩისთვის მზადება შაბათს, 24 აპრილს, დაიწყო. იმნაძემ ყველა თავისთვის სასურველი ფეხბურთელი გამოიძახა, ბელგიურ „სტანდარდში“ მოთამაშე ლაშა ჯაკობიას გარდა. შეგახსენებთ, მას საზარდულის მცირე ტრავმა აწუხებს, ამასთანავე თვრამეტწლამდელთა ნაკრებშია მიწვეული და მწვრთნელმაც სწორედ ამიტომ შეიკავა თავი. დანარჩენები ყველანი ადგილზე და ჯანმრთელად არიან. შედარებით გვიან შეუერთდნენ გუნდს ელისტის „ურალანში“ მოთამაშე ირაკლი გეშეზაშვილი და კიევის ცსკა-ს ნახევარმცველი ვიტალი დარასელია. ისინი 26-ში საღამოს ჩამოვიდნენ თბილისში და ნაკრებთან ერთად მხოლოდ ორჯერ ივარჯიშეს. წინა დღით კი ახალგაზრდებმა საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს „შევარდენზე“ თსუ-სთან და 2:1 დაამარცხეს. იმნაძემ ეს თამაში სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დასამუშავებლად გამოიყენა და ამდენად ანგარიშს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა.

გუშინ, 16 საათზე, ახალგაზრდებმა ნორვეგიელებთან თამაშამდე ბოლოჯერ ივარჯიშეს. იმნაძემაც ფაქტობრივად უკვე განსაზღვრა ძირითადი შემადგენლობა და ტაქტიკა, რომლითაც მეტოქეს შეებრძოლება. გადაწყვეტილია, რომ ძირითადში ითამაშებს საბერძნეთის „არისის“ წევრი გიორგი ყიფიანი, რომელმაც ახალგაზრდული ნაკრების ბოლო მატჩები დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. ყიფიანი დღეს გამთამაშებლის ფუნქციას შეასრულებს და ამ პოზიციაზე მოთამაშე, ორი ყვითელის გამო დასჯილ მუჯირს შეცვლის. გუნდის ხელმძღვანელობა სლოვენიის ნაკრებთან თამაშის მსგავსად ახლაც ორი თავდამსხმელით აპირებს მატჩის დაწყებას.

ვიდრე ნორვეგიელებზე ვიტყოდეთ რამეს, ორიოდე სიტყვა ჩვენი ნაკრების იტალიელ კონსულტანტ რობერტო ლანდიზეც ვთქვათ. იგი თბილისს ორიოდე დღის წინ ეწვია და გუნდის ვარჯიშებსაც დაესწრო, თუმცა მასში მონაწილეობა არ მიუღია და მხოლოდ დამკვირვებლის როლში მოგვევლინა. ალბათ, იგივე ფუნქციას შეასრულებს დღევანდელი მატჩის დროსაც.

რაც შეეხებათ ნორვეგიელებს, ისინი, მოგეხსენებათ, თბილისს ორშაბათს ეწვივნენ. ახალგაზრდული ნაკრების წევრებმა უფროსების მსგავსად ათლეტური აღნაგობითაც დაგვამახსოვრეს თავი. მათი ვარჯიშის შემყურე იმნაძეც შეფიქრიანებულა. ამის მიზეზი მწვრთნელს ნამდვილად აქვს, რადგან ნორვეგიელებმა საკმარდ კარგად შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ხოლო მათ ყველაზე ძლიერ მხარედ თავით თამაში შეიძლება ჩაითვალოს.

ასე რომ, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს დღეს საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის, როგორ გაართმევენ მას თავს, სულ მალე გაირკვევა.

ვანო ოქროპირიძე

დისკვალიფიცირებული დავით მუჯირის ნაცვლად ახალგაზრდულის გამთამაშებელი ახალამნისტირებული გიორგი ყიფიანი (№23) იქნება

ბადრი ჯეიოლაძის ფოტო

კოლხეები ლანჩხუთში რჩებიან

ნორვეგიელებთან მატჩიდან ორ დღეში კვლავ ეროვნული ჩემპიონატი შეგვახსენებს თავს. 30 აპრილს 25-ე ტური იწყება. ამ დღეს მხოლოდ თბილისური დერბი „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“, 1 მაისს კი ტურის დანარჩენი შვიდი შეხვედრა იყო დაგეგმილი, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ მხოლოდ 6 ჩატარდება, მეშვიდე კი...

სულ ახლახან ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურ კომიტეტის სხდომაზე ფოთის „კოლხეთს“ ორი მატჩით აუკრძალეს შინ, „ფაზისის“ სტადიონზე ასპარეზობა. ფოთელებმა უკვე ითამაშეს ნეიტრალურ მინდორზე, როცა 23-ე ტურის შეხვედრაში ლანჩხუთში „გორდა“ 5:0 გაანადგურეს. „კოლხეთი“ თსუ-ს კვლავ ლანჩხუთში უმასპინძლებს, მაგრამ სწორედ 1 მაისს „გურიასაც“ უწევს თბილისური „არსენალის“ მასპინძლობა.

„კოლხეთის“ ხელმძღვანელობამ ჩვენთან ამასწინანდელ საუბარში განაცხადა, რადგან ამ დღეს „გურიაც“ შინ თამაშობს, ალბათ, სენაკში ან ხობში გადავინაცვლებთო, მაგრამ ფოთელები აქაც პრობლემას წააწყდნენ — ამ ქალაქების სტადიონებიც დაკავებულია.

მშველელად კოლხებს ფედერაცია მოევლინა და თსუ-სთან მატჩი დაგეგმილის ნაცვლად ერთი დღით უკან გადაუწია. ასე რომ, „კოლხეთი“ ოთარ გაბელიას გუნდს 30 აპრილს ლანჩხუთში უმასპინძლებს, „გურია“ კი ჩვეულებრივად, კალენდრის მიხედვით ითამაშებს.

აქვე მატჩები დაწყების დროსაც გეტყვით. 30 აპრილს „ვიტ ჯორჯია“ — „მერანი“ და „კოლხეთი“ — თსუ ჩვეულებრივად, 16 საათზე გაიმართება. აი, 1 მაისს და საერთოდ, იმ თვეში კი თამაშები 18 საათზე დაიწყება.

გიორგი ვაშაკიძე

ეროვნული ჩემპიონატი 24 ტურზე

საქართველოს ჩემპიონატი 24 ტური

ნელ-ნელა ფინიშისკენ

საქართველოს მეათე ეროვნული ჩემპიონატის 24 ტურის მატჩების უმრავლესობა პარასკევს, 23 აპრილს, დაიწყო და შაბათს, 24 აპრილს, „სინათლეზე" „მერანი" — „ბათუმის" შეხვედრით დამთავრდა.

რადგან სატურნირო ცხრილის ზემოთ ნაწილში თითქმის ყველაფერი გარკვეულია — „დინამო" მეათედ გაჩემპიონდება, ევროსაგზურებს უეჭველად მოიპოვებენ „ტორპედო" და „ლოკომოტივი", ხოლო „ბათუმის" ანაც „ოლხეთის" წილად ინტერტოტოს კინკილა საგზურიღა დარჩა, ისევ აუტსაიდერებს მივედოთ, სადაც მეათე ეროვნულის კოჭლ ცხვარს, „გურიას", ერთხელაც შეელახა მეწვყილე, ბოლნისის „სიონს" ამჯერად ზუგდიდის „ოდიში" ჩაენაცვლა.

დიშართა მარცხი რუსთავში მოსალოდნელი კი იყო, მაგრამ 62-ზე მათ დამარცხებას არავინ მოელოდა. „გორდას" საერთოდ მეტად ძნელად გაქვს და აქამდე 23 თამაშში, მხოლოდ თოთხმეტი გოლი დააგროვა, ახლა კი უშუალო კონკურენტს ერთბაშად გაუტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ მის მეტოქეს ძალიან, ძალიან უჭირს. აქედან გამომდინარე, „ოდიშს" პატრონი უნდა და მყვარებელი, თორემ... იცით, ეროვნული ჩემპიონატის ერთს, ხან მეორეს?!

ისევ გამოიჩინეს თავი „სიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებმა და ამჯერად „დინამოს" გაცუმართეს ღირსეული ბრძოლა. 3:2 ზუსტად ის ანგარიშია, რაც მეტოქეების ძალთა შეფარდებას ასახავს და თუ ვიტელები ასე გააგრძელებენ პროგრესირებას, გაისად ჩემპიონს უფრო გაუჭირდება მათ წინააღმდეგ თამაში.

არხეინმა „დილამ" „ლოკომოტივს" გულუხვად უმასპინძლა. სამი ქულაც გაატანა და არც ბევრი ოფლი აღვრევინა — მასპინძელიც ასეთი უნდა.

ტურის ბოლო შეხვედრაში კი „მერანმა" ისევ ივარგა და ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო 1:0. ბურთი ბახვა ამბიძემ გაუტანა ტოგონიძეს. ახლა ტრანსპორტელები სამი ქულითღა ჩამორჩებიან ბათუმელებს და შესაბამისად, ინტერტოტოზეც გასვლის შანსიც გაუჩნდათ.

ბათუმელთა რიგებში კი ნიგერიელმა უჩე უვაკვემ ითამაშა და ჩემპიონატიც დაიჭაშნიკა.

ეს იყო და ეს, თუ უჩვეულოდ ბევრ, 29 გატანილ ბურთს არ ჩავთვლით, 24-ე ტურში სასწაული არ მომხდარა. მეათე ეროვნული ნელ-ნელა, კვირა-კვირა უახლოვდება ფინიშს.

კონსტანტინე გოგიშვილი

თბილისი
24 აპრილი
16 საათი
სინათლე
1 500 (ტევადობა 3 000)

მერანი 1:0 ბათუმი

1:0 ბ. ამბიძე (47)

მერანი: ლომაია, დ. ქელიძე, ასპინძელაშვილი, ბ. ამბიძე, ჭინჭარაული, გელა ქორიძე, ჯიშკარიანი, თოლორდავა (ბაჯელიძე 81), ჩუხუა (ბერაია 88), ხუციშვილი, დავითაშვილი

სათადარიგონი: კოროშინაძე; ჩანადირი

ბათუმი: ტოგონიძე, გუჯაბიძე, მინდაძე, სიჭინავა, პაპიძე, მ. მახარაძე, ჭიჭვიშვილი, ღლონტი, გადელია, ხომერიკი, რუსია (უვაკვე 75)

სათადარიგონი: მალაყმაძე; ვერემჩუკი, აფხაზავა, მაქაცარია, ყულეჯიშვილი, კანტიძე

მსაჯები: ა. მეშკოვი; ლ. სილაგავა, ზ. ჯვარიძე; ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი

გორი
23 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 230)

დილა 0:2 ლოკომოტივი

0:1, 0:2 გოდერძიშვილი (15, 49)

დილა: სოლოლაშვილი, ფეზუაშვილი, ხაჟაპურიძე, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი (ვ. სამხარაძე 52), გაგნიძე, მარეხაშვილი, ციცქიშვილი (არუთინიანი 71), სულთანიშვილი, რ. ახალაცი, შატაკიშვილი (ხიხალაშვილი 69)

სათადარიგონი: მდივანი; მ. მინდიაშვილი, აკოფიანი

ლოკომოტივი: დოლაბერიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი, დ. მუჯირი (ბილაური 87), ვ. კილასონია, კაციაშვილი (ნ. ბაქრაძე 84), კ. მელქაძე, დ. ბაქრაძე, დ. გოდერძიშვილი, ნიუნიავაძე (შ. ხუჯაძე 46)

სათადარიგონი: დ. ჯანელიძე, ხორგუაშვილი

გაფრთხილება: ბარნოვი (23), შატაკიშვილი (39), ფეზუაშვილი (44)

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ბ. დოგრაშვილი, ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი); ო. მოლოდინაშვილი (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. ბაჩუკაშვილი

ლანჩხუთი
23 აპრილი
16 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 22 000)

გურია 1:5 ტორპედო

0:1 ვაჩიბერაძე (42), 0:2 მეგრელაძე (47), 1:2 დ. მახარაძე (50), 1:3, 1:4 ჯანაშია (52, 81), 1:5 იმედაძე (88)

გურია: ნიკურაძე, გულორდავა, ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ჭიაბრიშვილი (ძოძუაშვილი 72), კ. სვანიძე, შაუშიშვილი, დ. მახარაძე, ლ. ჩხაიძე, ენუქიძე (ფირცხალაიშვილი 74), ბოლქვაძე

სათადარიგონი: გოგუა; მაჩიტიძე, ბერძენიშვილი

ტორპედო: ქანტარია, აბულეფიანი (ჩხაბერიძე 77), ხვადაგიანი, შეფრილაძე, ჩხეტიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, დ. ჯანაშია (იმედაძე 82), თურმანიძე, მეგრელაძე (კ. მეტრეველი 80), ვაჩიბერაძე

სათადარიგონი: სტურუა; კ. ჯანაშია, მაზანიშვილი

გაფრთხილება: ბოლქვაძე (30), სვანიძე (57), მაღლაკელიძე (89)

მსაჯები: ს. კახიანი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი), ა. სამხარაძე (სოხუმი); თ. ხუჭუა (სამტრედია)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

რუსთავი
23 აპრილი
16 საათი
ფოლადი
1 000 (ტევადობა 10 700)

გორდა 6:2 ოდიში

1:0 მიშველიძე (10), 2:0 პატარიძე (24), 3:0 მელაძე (28), 4:0 სიდამონიძე (443), 4:1 კვეკვესკირი (49), 5:1 ზირაქაძე (68), 5:2 გვინია (78), 6:2 ინასარიძე (86)

გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, კ. ჩიგოშვილი, სიდამონიძე, მ. გაბელაია (ბექაური 71), ინასარიძე, მ. მელაძე, ზირაქაძე, კიტეშვილი (ლაბაძე 66), პატარიძე (ლ. ალადაშვილი 69), მიშველიძე

სათადარიგონი: ოქროპირიძე; მ. სახვაძე, მენთეშაშვილი, სიმონიშვილი

ოდიში: ნაყოფია, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, აფაქიძე (ცაცუა 46), ჯავაშვილი, აკობია, ტაბაღუა, კუტალია, იოსავა, კაკულია (ბოგოხია 46), გვინია

სათადარიგონი: გოგია; შელია, ალანია

გაფრთხილება: აკობია (72), მელაძე (80), ტაბაღუა (89)

გასვლება: მიშველიძე (29), ღურწკაია (29)

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი); ვ. ხოჩიშვილი, ზ. ჯვარიძე; ლ. ხარიტონაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

წყალტუბო
23 აპრილი
16 საათი
26 მაისი
1 500 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 2:3 იბერია

1:0 შენგელია (8), 1:1 ხუჭუა (16), 1:2 ს. გიგიაძე (39ვ), 2:2 ქუთათელაძე (53), 2:3 ს. გიგიაძე (65)

სამგურალი: ასლანაძე (ბობოხიძე 39), მახვილაძე, ბურნაძე (ზ. ქუთათელაძე 46), ლ. ქობულაძე (ფრანგიშვილი 20), ეოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია, გიორგობიანი, სუხიაშვილი, გ. შენგელია

სათადარიგონი: დარსაძე, ჯავახაძე, ბლუნჩაძე, მ. ჯინჭარაძე

იბერია: ვარდანიძე, მუმლაძე (ნიკოლეიშვილი 13), ქველაძე, გეგეშიძე, მიქელაძე, ს. თოდუა, ს. გიგიაძე, ხუჭუა, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ვარდიაშვილი (ვ. გიგიაძე 12)

სათადარიგონი: გ. დოლიძე; ნ. გიორგაძე

გაფრთხილება: ს. გიგიაძე (16), კილასონია (18), ლურსმანაშვილი (25)

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)

სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

ბოლნისი
23 აპრილი
16 საათი
თეიმურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

სიონი 1:1 კოლხეთი

0:1 შავგულიძე (47), 1:1 გაგუა (61)

სიონი: გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, ყიფშიძე, ლ. ამბიძე, ვ. ჯაფარიძე (ხიდაშელი 71), მ. სამხარაძე, მ. გოგოლაძე, ისიანი, მოსეშვილი (ლ. გაგუა 59)

სათადარიგონი: დალაქიშვილი; სულთანოვი, დ. ჯაფარიძე, დ. სვანიძე, ხარებაშვილი

კოლხეთი: მ. გვასალია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, ანჯაფარიძე, ღაღანიძე, მ. ქობულაძე, კალანდაძე, ტრაპაიძე, შავგულიძე (ბულუხია), ე. გვასალია

სათადარიგონი: ჩემია; ჩაგანავა, ბაჩილავა, თედეევი, ბურკვაძე

გაფრთხილებები: ე. გვასალია (9), ყიფშიძე (58)

მსაჯები: თ. ლაგბინე (სურამი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ო. ხეცაძე (ბორჯომი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

„დინამოს" კარს ვიტელთა ორი გოლის გამტანი ვლადიმერ გოჩაშვილი (№10) უტევს

თბილისი
23 აპრილი
16.23 საათი
ისანი
150 (ტევადობა 3 000)

არსენალი 0:0 თსუ

არსენალი: ჩლაიძე, კოხრეიძე, ვ. გაგუა, გველესიანი, ყოლბაია, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი (თვალაბეიშვილი 80), აბაზაძე, ამირიძე, კაკაშვილი, ტარიელაშვილი

სათადარიგონი: აბაშიძე; ყუფარაძე, გ. სულაძე, ხოსროშვილი

თსუ: გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, ვ. ღუდუშაური, ნინუა, მაღრაძე, დ. გოგოლაძე, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი

სათადარიგონი: მერლანი; გონჩაროვი, ინნკირველი, ბუკია, თოლორაია, სვანაძე

გაფრთხილება: შაშიაშვილი (24), მაისურაძე (26), გველესიანი (82)

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ა. ქარქაშაძე; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიშ

თბილისი
23 აპრილი
16 საათი
ეროვნული
700 (ტევადობა 75 000)

დინამო 3:2 ვიტ ჯორჯია

1:0 ალექსიძე (1), 2:0 წიტაიშვილი (53), 2:1, 2:2 გოჩაშვილი (58, 64), 3:2 ალექსიძე (79)

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე, კიკნაძე (ჩომახიძე 76), ალექსიძე, პ. ჯინჭარაძე (გოგიჩაიშვილი 71), აშვეთია, ქებაძე (წიტაიშვილი 46)

სათადარიგონი: მამალაძე; ა. მუჯირი, ტუღუში

ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ქანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ბარქაია, კ. ალადაშვილი (ერაძე 78), ზ. გვაზავა, დ. დოლიძე, მაზიაშვილი, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი

სათადარიგონი: მამარდაშვილი; ი. კაბანაძე, ხაბულიანი, ა. ბოკერია

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. სილაგავა (თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

მეორე ჯგუფს რამდენი „ოდიშისთანა" საუხუტებია? ახლა სოსო ჭედიასაც წასვლა ამოუჭრია გულში და მის მაგიერ ვინ აიტკივებს თავს, არ ვიცით.

დანარჩენმა აუტსაიდერებმა თითო ქულის მოპოვებაღა შეძლეს — თსუ-მ „ისნიდან" წამოიღო ქულა. „სიონმა" „კოლხეთს" უმასპინძლა და კინკილა ქულით გაუშვა შინ. ამგვარი შედეგიანობით თსუ-მ და „გორდამ" 24-24 ქულას მოუყარა თავი და „იბერიასთან" წყალტუბოში 2:3 დამარცხებულ თასის ფინალისტ „სამგურალს" წამოეწივნენ. „სიონს" 21 ქულა გაუხდა, მეთოთხმეტე ადგილზეა და ქულით უსწრებს „ოდიშს". ერთი სიტყვით, დიდი სიმჭიდროვეა ცხრილის ბოლოში, პირდაპირ ცეცხლი ანთია.

მორიგი მარცხი იწვნია და პირველ ჯგუფსაც გადაწყვეტით დაუკრა თავი ლანჩხუთის „გურიამ". ამჯერად „გურია" „ტორპედოს" შემოებღვნა ხელთ.

„სამგურალი" რომ გასვლაზე დაამარცხეს სამტრედიელებმა, ამაზე უკვე კი ვთქვით, მაგრამ ტყუპი გოგიაძეების უსსენებლად რომ ჩავამთავროთ ამ მატჩზე საუბარი, არ ეგების. დასტურ კარგი ლიდერები ჰყავთ სამტრედიელებს ტყუპების სახით და ბურთებიც რომ ტყუპად გააქვთ ხან

ბომბარდირები

20 - აშვეთია	*დინამო*
15 - იონანიძე	*ტორპედო*
14 - დ. მახარაძე	*გურია*
ხიმერიძე	*ბათუმი*
12 - ე. გვასალია	*კოლხეთი*
წიფწიფაძე	*ლოკომოტივი*
11 - ალექსიძე	*დინამო*
დ. ჯანაშია	*ტორპედო*
10 - მეგრელაძე	*ტორპედო*

XXV ტური

30 აპრილი, პარასკევი

ვიტ ჯორჯია — მერანი (0:0)

კოლხეთი — თსუ (4:2)

1 მაისი, შაბათი

ტორპედო — დილა (0:3)

ლოკომოტივი — სამგურალი (2:1)

იბერია — დინამო (2:7)

ბათუმი — გორდა (0:0)

ოდიში — სიონი (0:1)

გურია — არსენალი (1:5)

სიმბოლური ნაკრები

დავით ჯანაშია — *ტორპედო*

ვლადიმერ გოჩაშვილი — *ვიტ ჯორჯია*

რატი ალექსიძე — *დინამო*

ბახვა ამბიძე — *მერანი*

ზვიად გვაზავა — *ვიტ ჯორჯია*

მამუკა მელაძე — *გორდა*

სოსო გიგიაძე — *იბერია*

გურამ ასპინძელაშვილი — *მერანი*

არჩილ შაკიაშვილი — *სიონი*

მიხეილ ძოგულაძე — *კოლხეთი*

გიორგი ლომაია — *მერანი*

გუნდი მერანი

მწვრთნელი სერგო გაგელია *მერანი*

		სულ							შინ							სტუმრად						
№	#	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 დინამო (1)	1	24	19	5	0	73:12	+61	62	12	10	2	0	47:9	+38	32	12	9	3	0	26:3	+23	30
2 ტორპედო (4)	2	24	16	4	4	57:21	+36	52	12	9	2	1	31:8	+23	29	12	7	2	3	26:13	+13	23
3 ლოკომოტივი (6)	3	24	13	10	1	31:12	+19	49	12	7	5	0	15:4	+11	26	12	6	5	1	16:8	+8	23
4 ბათუმი (2)	4	24	10	9	5	33:17	+16	39	12	7	4	1	24:6	+18	25	12	3	5	4	9:11	-2	14
5 კოლხეთი (3)	5	24	11	5	8	49:35	+14	38	12	8	1	3	32:12	+20	25	12	3	4	5	17:23	-6	13
6 მერანი (7)	6	24	9	9	6	24:21	+3	36	12	5	5	2	9:4	+5	20	12	4	4	4	15:17	-2	16
7 იბერია (9)	9	24	9	5	10	37:39	-2	32	12	5	4	3	20:12	+8	19	12	4	1	7	17:27	-10	13
8 დილა (9)	7	24	9	5	10	29:37	-8	32	12	6	2	4	17:12	+5	20	12	3	3	6	12:25	-13	12
9 ვიტ ჯორჯია (10)	8	24	10	4	10	29:23	+6	31	12	5	2	5	16:11	+5	17	12	5	2	5	13:12	+1	17
10 არსენალი (9)	10	24	6	10	8	27:40	-13	28	12	3	6	3	15:20	-5	15	12	3	4	5	12:20	-8	13
11 სამგურალი (12)	11	24	7	3	14	22:43	-21	24	12	4	1	7	10:16	-6	13	12	3	2	7	12:27	-15	11
12 თსუ (8)	12	24	5	9	10	17:26	-9	24	12	3	3	6	12:17	-5	12	12	2	6	4	5:9	-4	12
13 გორდა (11)	13	24	5	9	10	20:34	-14	24	12	4	5	3	14:15	-1	17	12	1	4	7	6:19	-13	7
14 სიონი (13)	15	24	5	6	13	20:43	-23	21	12	4	5	3	14:13	+1	17	12	1	1	10	6:30	-24	4
15 ოდიში (5)	14	24	6	2	16	18:45	-27	20	12	4	1	7	12:19	-7	13	12	2	1	9	6:26	-20	7
16 გურია (14)	16	24	3	3	18	23:61	-38	12	12	3	1	8	16:27	-11	10	12	0	2	10	7:34	-27	2

(?) - ადგილი წინა ჩემპიონატში. # - ადგილი წინა ტურში. ! - ვიტ ჯორჯიას დაკლებული აქვს 3 ქულა

პანუჩი შინ ბრუნდება

კრისტიან პანუჩი „რეალის“ მაისურას ემშვიდობება

კრისტიან პანუჩი, მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალში“ მოთამაშე იტალიელი ფეხბურთელია, რომელიც ესპანეთის ტელევიზიის ცნობით მომავალი სეზონიდან სამშობლოს დაუბრუნდება და მილანის „ინტერს“ შეუერთდება.

მართალია, „რეალის“ ხელმძღვანელებს ოფიციალურად ჯერ არც დასტური უთქვამთ და არც არა, მაგრამ საზოგადოებრიობისთვის უკვე ცნობილი გახდა, რომ იტალიელ მოთამაშეში მადრიდელები 7,67 მილიონ დოლარს მიიღებენ.

მოგეხსენებათ, ეროვნული ნაკრების მარჯვენა მცველი „მილანიდან“ „რეალში“ სამი სეზონის წინ გადავიდა, სადაც ესპანეთის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და ევროპის ჩემპიონთა თასიც.

ამბობენ, პანუჩის სანაცვლოდ „რეალი“ ვიგოს „სელტადან“ გამოცდილი ესპანელი მცველის, მიჩელ სალგადოს გადაბირებას ფიქრობსო.

მაშ ასე, „ინტერისა“ და „რეალის“ ხელმძღვანელთა შეხვედრამ, რომელიც გასულ კვირას მადრიდში შედგა, ნაწილობრივ უკვე გამოიღო შედეგი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ მადრიდულ-მილანური პროექტი კიდევ ერთ ტრანსფერს, არგენტინელი ხავიერ ძანეტის „ინტერიდან“ „რეალში“ გადასვლასაც ითვალისწინებს.

ძალაუფლება ფეხბურთელებს ხელში გადადის

სარბიელის არქივიდან

ინგლისური პრემიერლიგის მოთამაშეთა ხელფასები მკვეთრად მატულობს. როგორც ევროპული ფეხბურთის ფინანსურ საკითხთა მთავარმა ანალიტიკოსმა გერი ბუნმა განაცხადა, მისი ბოლოდროინდელი ანალიზი ადასტურებს მოთამაშეთა შემოსავლის მორიგ დრამატულ ზრდას.

გერი ბუნი გახლავთ „დელოიტის“ და „თაჩ ფუტბოლ ფაინანს რევიუს“ დამფუძნებელი და გამომცემელი, რომელმაც ამ დღეებში თქვა: „არა მგონია, გულშემატკივრები გააოცოს იმ გარემოებამ, რომ მალე პრემიერლიგის ფეხბურთელთა წლიური შემოსავალი კიდევ 20 პროცენტით გაიზრდება“.

ბუნი აკვირდება კლუბების სტრუქტურათა განვითარებას და ვარაუდობს, რომ ისინი მალე ფეხბურთელებს კატეგორიებად დაყოფენ.

„კლუბები მეტად და მეტად ორგანიზებული ხდებიან. ასე რომ, ფეხბურთელებს სამ ჯგუფად მოუწევთ დაყოფა: ვარსკვლავებად, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებად და გუნდის წევრებად. ვარსკვლავებად შერაცხული ფეხბურთელები საოცარ შემოსავალს მიიღებენ“.

მოგეხსენებათ, პრემიერლიგა 1992 წელს დაარსდა და ტელეშემოსავლებისა და ბოსმანურ წეს-კანონთა შემოღების შედეგად მის მოთამაშეთა საშუალო წლიური გასამრჯელო 75 ათასი გირვანქიდან 250 ათას გირვანქამდე გაიზარდა. 250 ათასი გირვანქა 403800 დოლარის ტოლია.

ბუნის გამოკვლევის თანახმად, პრემიერლიგის 750 ფეხბურთელის საშუალო ხელფასი, გასულ სეზონში, 250 ათასი გირვანქა იყო ანუ წინა სეზონთან შედარებით 35 პროცენტით გაიზარდა.

„როგორც ჩანს, მთელი შემოსავალი მოთამაშეებს უნაწილდებათ, ხოლო, რაც შეეხება კლუბებს, მდიდარი კლუბი ცოტაა, ღარიბი კი — რამდენიც გსურთ“ — ბრძანა მიუნხენის „ბაიერნის“ ვიცე-პრეზიდენტმა, წარსულის დიდმა ფეხბურთელმა, კარლ ჰაინც რუმენიგემ.

ბუნი, თავის მხრივ, ამბობს, რომ ევროპულ ფეხბურთში ძალაუფლება დრამატულად ნაწილდება:

„ღღეს უკვე აშკარად ვხედავ, რომ ძალაუფლება ფეხბურთელების ხელში გადადის. ამიტომაც, კლუბებს თანხების კონტროლი მართებთ. ღღეს კლუბების შემოსავლის 50 პროცენტზე მეტი ხელფასებში მიდის, 10 წლის წინ კი ხელფასად 34 პროცენტი გაიცემოდა“.

ბუნის პროგნოზით, მდიდარი კლუბები, მაგალითად „მანჩესტერ იუნაიტედი“, კიდევ უფრო გამდიდრდებიან, ხოლო სხვაობა მათ და ღარიბებს შორის საოცრად გაიზრდება.

ნეტავი თქვენ, ბიჭებო

მსოფლიოს ყველაზე დიდხელფასიან ფეხბურთელად ტრავმებისა და ცუდი სეზონის მიუხედავად, რჩება რონალდო, მილანის „ინტერის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი — წერს ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“.

1996 და 1997 წლების მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ამ სეზონში 55 მილიონ ფრანკს (8,9 მილიონ დოლარს) იღებს. ამაში შედის თვიური ჯამაგირი — 2 მილიონი ფრანკი — პლუს მილიონნიანი პრემიები და რაღა თქმა უნდა, სარეკლამო საქმიანობის შემოსავალი.

მეორე ადგილზე ყოფილა ინგლისის ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი დევიდ ბექემი, 29 მილიონი ფრანკით, ხოლო მესამე „იუვენტუსის“ ფრანგი გამთამაშებელი, 1998 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ზინედინ ზიდანია — 28,5 მილიონი. შემდეგაა „ლაციოსა“ და იტალიის ნაკრების ფორვარდი კრისტიან ვიერი — 27 მილიონი.

ფრანგთა შორის ყველაზე მაღალჯამაგირიანი ათეულიდან ცხრა მსოფლიოს ჩემპიონია, ის, მეათე კი გახლავთ „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ გარემარბი დავიდ ჟინოლა, 13 მილიონი ფრანკით (2,11 მილიონი დოლარი).

აღსანიშნავია, რომ „ფრანს ფუტბოლმა“ მხოლოდ მიმდინარე სეზონი შეისწავლა და არ გაუთვალიწინებია მსოფლიოს ჩემპიონატზე, ჩემპიონთა თასსა და სხვა ევროშეჯიბრებებზე მონაგები ფული.

ბოთლს ნუ ჩაარტყამთ რონალდოს

რონალდომ ქარაგმულად თქვა, თუ „ინტერის“ გაძვალბიჭებული ფანები ჩემი და სხვა მოთამაშეების რბევაზე ხელს არ აიღებენ, მილანიდან წავალო. ბრაზილიელი იტალიის პირველობის ბოლო ტურში, „ინტერ“ — „უდინეზეს“ თამაშის შემდეგ (1:3), ტრიბუნებიდან ლაზათიანად გაუთათხავთ, ხოლო როდესაც სტადიონიდან შინ წასასვლელად მანქანაში ჩამჯდარა, მის ნალოლიავებ ავტოს ბოთლი მოხვედრია.

უბედურება ის არის, რომ რონალდოსთან ერთად მანქანაში მისი მშობლები, და და დისშვილიც მსხდარან. ღვთის მადლით ბოთლი არავის მოხვედრია.

„ჯანდაბას, მისტვინონ. იქნებ ხანდახან მართლაც ვიმსახურებდე სტვენას... თუ ვნებავთ ახლა, „უდინეზესთან“ თამაშის შემდეგ, როდესაც როგორც მე, ასევე მთელმა გუნდმა, სამაგლად ვითამაშეთ, სტვენის ღირსი ვიყავით, მაგრამ სტადიონს გარეთ რაც მოხდა, უკვე მეტისმეტი იყო. ასეთ პირობებში კაცმა შეიძლება „ინტერის“ დატოვებაც კი იფიქრო.“ — უთხრა რონალდომ „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს.

მერე გაირკვა, რომ ბოთლები და ქვები არც სხვა ფეხბურთელების მანქანებს დაკლებია.

„ძალადობა სრულიად მიუღებელია“ — ეწერა „ინტერის“ პრეს-ცენტრის ცხელ-ცხელ ოფიციალურ განცხადებაში — „კლუბი აგრეთვე ხაზგასმით აცხადებს, რომ ცალკეული ხულიგნების და ერთგულ გულშემატკივართა ერთმანეთში არევაც დაუშვებელია, მაგრამ ამით რონალდოს გულისწყრომას არაფერი აკლდება. იგი, როგორც კაპიტანი და გუნდის ლიდერი, საერთო სატკივარს გამოხატავს.“

„გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს რონალდო ესპანეთიდან ტელეფონით ესაუბრა. იქ ვარსკვლავი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში თავის ყოფილ გუნდს, „ბარსელონას“ უნდა დაუპირისპირდეს. ეროვნულ გუნდში ეს თამაში მსოფლიოს გასული წლის ჩემპიონატის ყბადაღებული ფინალის შემდეგ მისთვის პირველი იქნება.

„ინტერიდან“ შესაძლო წასვლის შესახებ კი რონალდომ საბოლოოდ მაინც ასე განაცხადა: „წასვლა ისეთი რამაა, მოუმზადებლად არ ხდება. მას ყოველდღიური ფიქრი და ყველაფრის აწონ-დაწონვა სჭირდება.“

აწონ-დაწონვისას კი ბრაზილიელი უთუოდ ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ მომავალი სეზონიდან „ინტერს“ ცნობილი მწვრთნელი მარჩელო ლიპი უნდა ჩაუდგეს სათავეში. ამიტომაც თქვა:

„ლიპიმ დამარწმუნა, რომ მისი ხელმძღვანელობით „ინტერი“ ისევ დიდი გუნდი გახდება.“

მოედნიდან ტელევიზიაში

სარბიელის არქივიდან

რონ ატკინსონმა მწვრთნელობას თავი დაანება და განცხრომაშია

რონ ატკინსონის 28 წლიანი დიდებული სამწვრთნელო კარიერა დასრულდა. „დიდმა რონმა“ ვერ უწამლა უიმედოდ დაავადებულ „ნოტინგემ ფორესტს“, 1979, 80 წლების ჩემპიონთა თასის მფლობელს, რომელიც პრემიერლიგიდან გავარდა.

— არასდროს არ უნდა გადაამლაშო, მომენტის დაჭერა უნდა იცოდე. ვგრძნობ, რომ გასაკეთებელი უკვე გავაკეთე და ჩემი წასვლის დრო მოვიდა. ნურავის ეგონება, ფეხბურთიდან წასვლისკენ ნოტინგემურმა უიღბლობამ მიბიძგა. საკუთარ ძალებში იმედგაცრუებას ადგილი ნაღდად არ ჰქონია, უბრალოდ, გადავიღალე. არ მეგულება უფრო მძიმე პროფესია, ვიდრე საფეხბურთო გუნდის მწვრთნელობა — ეს სიტყვები ატკინსონმა ბოლო ტურში ბირმინგემის „ასტონ ვილასთან“ 0:2 მარცხის შემდეგ წარმოთქვა და ფეხბურთს ხელი დაუქნია. სეზონის ბოლოს იგი საბოლოოდ შეწყვეტს მწვრთნელად მუშაობას.

60 წლის რონ ატკინსონი ტელეკომენტატორად აპირებს მუშაობის გაგრძელებას.

1939 — დაიბადა ლივერპულში 18 მარტს
1956 — გაიარა პრაქტიკა „ასტონ ვილაში“
1962 — გადავიდა „ოქსფორდ იუნაიტედში“
1971 — გახდა „კეტერინგის“ მოთამაშე-მწვრთნელი
1974 — დაინიშნა „კემბრიჯის“ თავკაცად
1978 — იწყებს „ვესტ ბრომვიჩის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობას
1981 — გახდა „მანჩესტერი იუნატედის“ შენეჯერი
1981-86 — ორჯერ, 1983 და 1985 წელს „მანჩესტერი“ გახადა ინგლისის ასოციაციის თასის მფლობელი. მიუხედავად ამისა, თანამდებობიდან გაათავისუფლეს.
1987 — ბრუნდება „ვესტ ბრომვიჩის“ თავკაცად
1988 — დანიშნეს მადრიდის „ატლეტიკოს“ დამრიგებლად. ესპანეთში მხოლოდ სანი თვე იმუშავა.
1989 — შეუდგა „შეფილდ უენსდეის“ წვრთნას. ორ წელიწადში გუნდს ლიგის თასი მოაგებინა.
1991 — გადადის „ასტონ ვილაში“
1994 — „ასტონ ვილასთან“ ერთად მოიბოვა ლიგის თასი
1995 — ნიშნავენ „ქოვენთრის“ თავკაცად
1996 — ითავსებს „ქოვენთრის“ დირექტორის მოვალეობას
1997 — მეორედ გახდა „შეფილდ უენსდეის“ მთავარი მწვრთნელი
1998, მაისი — ტოვებს „შეფილდს“
11 იანვარი — გახდა „ნოტინგემ ფორესტის“ თავკაცი
1999, 25 აპრილი — განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს კარიერას დასრულებს

ნადირის არჩევანი

ედმუნდოს კვლავ შეუტია სენტიმენტალიზმის და სამშობლოს სიყვარულის ტალღამ. ეს ამბავი სხვანაირადაც შეიძლება ვთქვათ. აი, ასე — ედმუნდომ კვლავ დაიწყო საუბარი იმაზე, რომ იტალიაში თავს უბედურად გრძნობს. მას ფლორენციის დატოვება და შინ დაბრუნება გადაუწყვეტია.

— როდესაც „ფიორენტინასთან“ კონტრაქტს ხელი მოვაწერე, ვფიქრობდი, რომ წინ ძალიან კარგი, მოვლენებით მდიდარი ცხოვრება მელოდა და იტალიაში ოთხი, ხუთი წელი დავრჩებოდი. მაგრამ მწარედ შევცდი. მე სენტიმენტალური ადამიანი ვარ და იტალიურ ცხოვრებას, ასეთ დაძაბულობას ვერ გავუძელი. ამიტომ მინდა ბრაზილიაში დაბრუნება — წუწუნებს ედმუნდო — აღარ შემიძლია აქ გაჩერება, მთელი ჩემი არსებით სამშობლოში ვარ. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ წუთას ფეხბურთზე აღარ ვფიქრობ. ყველას ვპირდები, მთელ ჩემს ცოდნას და ძალას კლუბის წარმატებას მოვახმარ, მერე კი იტალიას დავტოვებ — დაამატა მან.

ედმუნდო, მეტსახელად ნადირი, „ფიორენტინაში“ სეზონის დასაწყისში გადავიდა და გაბრიელ batისტუტასთან ერთად კლუბის ლიდერად მოგვევლინა. ყველაფერი თავდაყირა წლეულს თებერვალში დადგა, როდესაც ბრაზილიელმა გუნდი გასაჭირში მიატოვა (ბატისტუტა დაშავებული იყო) და ორი კვირით სამშობლოში წავიდა, სადაც რიოს განთქმულ კარნავალზე მაგრად მოილხინა.

ამას ფლორენციულ კლუბში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. ედმუნდოს რამდენიმე თანაგუნდელთან, მათ შორის ბატისტუტასთან და რუი კოშტასთან დაძაბა ურთიერთობა. განრისხებული იყო „ფიორენტინას“ გამოცდილი თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი — ან წესიერად მოიქეცი, ანაც ჯანდაბამდე გზა გქონიაო — დაახლოებით ასეთი რამ შეუთვალა „ტრაპიმ“ „ნადირს“.

ედმუნდომაც, ეტყობა, ჯანდაბამდე გზა აირჩია.

ნოდარ ძასრაძე

ედმუნდოს (მარცხნივ) ნოსტალგია მოეძალა

ფრანგული ჰეგემონია ინგლისში

ყოველწლიურად ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია (PFA) პრემიერლიგაში მოთამაშეთაგან საუკეთესოს ირჩევს. წლეულს ეს პატივი წილად ხვდა ლიგის თასის მფლობელის, ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსფურის“ ფრანგ ნახევარმცველ დავიდ ჟინოლას, რომელიც თავის კარიერის მართლაც ერთ-ერთ საუკეთესო სეზონს ატარებს.

— ეს ჯილდო ჩემთვის მსოფლიო თასის ტოლფასია. ამიერიდან გაორმაგებული ენერგიით ვიბრძოლებ „ტოტენჰემისთვის“ ახალი ტიტულების მოსაპოვებლად და ამ დიდი კლუბის ისტორიაში ადგილის დასამკვიდრებლად — თქვა გახარებულმა ფეხბურთელმა.

ჟინოლას ცოტათი ჩამორჩა ჩემპიონთა და ასოციაციის თასის ფინალისტის „მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრინიდადელი თავდამსხმელი დუაიტ იორკი, ხოლო მესამე ადგილი ჟინოლას თანამემამულეს, პრემიერლიგის ლიდერის ლონდონის „არსენალის“ საყრდენ ნახევარმცველ ემანუელ პეტის ერგო.

რაც შეეხებათ ინგლისში მოთამაშე ახალგაზრდა ფეხბურთელებს, აქ პირველობა არავის დაუთმო კიდევ ერთმა ფრანგმა, პეტის თანაკლუბელმა ნიკოლა ანელკამ, რომელიც მიმდინარე სეზონში „არსენალის“ საუკეთესო მეგოლეა.



დავიდ ჟინოლას შეჩერებას ერთი მცველი არ ჰყოფნის

დავიდ ჟინოლა

დაიბადა 1967 წლის 25 იანვარს საფრანგეთის ქალაქ ჟისინში
სიმაღლე — 1,80 მეტრი
წონა — 75 კგ.
1985 — იწყებს თამაშს „ტულონში“
1988 — გადადის პარიზის „რასინგში“
1990 — უერთდება „ბრესტს“
1992 — აფორმებს ხელშეკრულებას „პარი სენ ჟერმენთან“
1994 — რვაწლიანი პაუზის შემდეგ პსჟ პირველად ხდება საფრანგეთის ჩემპიონი. ჟინოლას ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებენ. ამავდროულად, საფრანგეთის ნაკრები მარცხდება შინ ბულგარელებთან და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მიღმა რჩება. წაგების ერთ-ერთ მთავარ დამნაშაედ ჟინოლას ასახელებენ.
1995, ივლისი — 2,5 მილიონ გირვანქად (4 მილიონი დოლარი) გადადის ინგლისურ „ნიუკასლ იუნაიტედში“.
1996 — შეეხო რამდენიმემატჩიანი დისკვალიფიკაცია — იანვარში „არსენალთან“ შეხვედრისას ლონდონელ მცველ ლი დიქსონს თავში ჩაარტყა. იმავე სეზონში „ნიუკასლი“ პრემიელიგაში მეორე ადგილზე გავიდა.
1997 — „ნიუკასლი“ კვლავ მეორეა, მაგრამ ჟინოლას უთანხმოება მოსდის მწვრთნელ კენი დალგლიშთან და მარტში ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს.
1997, ივლისი — 2 მილიონ გირვანქად გადადის „ტოტენჰემ ჰოთსფურში“
1999 — ლონდონური კლუბი გადის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, სადაც ჟინოლას ყოფილ გუნდ „ნიუკასლთან“ მარცხდება. ლიგის თასის ფინალში „ტოტენჰემი“ „ლესტერს“ ამარცხებს. ერთ-ერთ სათასო შეხვედრაში „ბარნსლისთან“ გააქვს სეზონის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი.
საფრანგეთის ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობა — 16.

ამხანაგური მატჩი 28 აპრილი. ირლანდია — შვედეთი

ირლანდიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — შეი გეტი (ნიუასლ იუნაიტედი, ინგლისი), ალან კელი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი); მცველები — სტივენ კარი (ტოტენჰემ ჰოთსფური, ინგლისი), მეტიუ სტონტონი (ლივერპული, ინგლისი), კენი კანინჰემი (უიმბლდონი, ინგლისი), გარი ბრაიან ქოვენორი, ინგლისი), ფილ ბეი (ლივერპული, ინგლისი), ლი კერსლი (დერბი ქაუნთი, ინგლისი); ნახევარმცველები — ჯეისონ მაკატირი (ბლეკბერნ როვერსი, ინგლისი), მარკ კინსელა (ჩარლტონ ატლეტიკი, ინგლისი), ალან მაკლაფლინი (პორტსმუთი, ინგლისი); თავდამსხმელები — ნილ ქუინი (სანდერლენდი, ინგლისი), ტონი კასკარინო (ნანსი, საფრანგეთი), რობი კინი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), დამიენ დაფი (ბლეკბერნი, ინგლისი), დეივიდ კონოლი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი)

ამხანაგური მატჩი 28 აპრილი. ირლანდია — შვედეთი

შვედეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — მატიას ასპერი (აიკ), მაგნუს კილსტედტი (ბრანი, ნორვეგია); მცველები — პატრიკ ანდერსონი (გლადბახი, გერმანია), იოაკიმ ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), ანდრეას იაკობსონი (ჰელსინგბორგი), პონტუს კამარკი (ლესტერ სიტი, ინგლისი), ტედი ლუკიჩი (ბოლონია, იტალია), გარი სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი); ნახევარმცველები — ნიკლას ანდერსონი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), დანიელ ანდერსონი (ბარი, იტალია), იესპერ ბლომკვისტი (მანჩესტერ იუნაიტედი, ინგლისი), ჰაკან მილდი (გიოტებორგი), შტეფან შვარცი (ვალენსია, ესპანეთი), მაგნუს სვენსონი (ვიკინგი); თავდამსხმელები — კენეტ ანდერსონი (ბოლონია, იტალია), მატიას იონსონი (ჰელსინგბორგი), ჰენრიკ ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია), იორგენ პეტერსონი (გლადბახი, გერმანია)

ამხანაგური მატჩი 28 აპრილი. პოლონეთი — ჩეხეთი

ჩეხეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ლადისლავ მაიერი (რაპიდი, ავსტრია), პაველ სრნიჩეკი (შეილდ უენსდეი, ინგლისი); მცველები — მიხალ ჰორნაკი, ტომაშ ვოტავა (სპარტა), მარეკ ნიკლი (ნიურნბერგი, გერმანია), კარელ რადა, პეტრ ვლჩეკი (სლავია); ნახევარმცველები — მარტინ ჩიჟეკი (მიუნხენი, გერმანია), ტომაშ გალაშეკი (ტილბურგი, ჰოლანდია), პაველ ხორვატი (სლავია), პაველ ნედვედი (ლაციო, იტალია), ირჟი ნემეცი (შალკე, გერმანია), კარელ პობორჟსკი (ბენფიკა, პორტუგალია), იან პოლაკი (ბობი); თავდამსხმელები — იან კოლერი (ლოკერენი, ბელგია), პაველ კუკა (ნიურნბერგი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენეი (სპარტა), ლიბორ სიონკო (ბანიკი)

ამხანაგური მატჩი 28 აპრილი. ხორვატია — იტალია

იტალიის ნაკრების შემადგენლობა: ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ფრანჩესკო ტოლდო (ფიორენტინა); მცველები: პაოლო მალდინი (მილანი), პაოლო ნეგრო (ლაციო), ალესანდრო ნესტა (ლაციო), ჯუზეპე პანკარო (ლაციო), კრისტიან პანუჩი (მადრიდის რეალი, ესპანეთი), ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი); ნახევარმცველები — დემეტრიო ალბერტინი (მილანი), მასიმო ამბროზინი (მილანი), დინო ბაჯო (პარმა), ანტონიო კონტე (იუვენტუსი), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), დიეგო ფუზერი (პარმა), ჯულიანო ჯანიკედა (უდინეზე), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი); თავდამსხმელები — ენრიო კიეზა (პარმა), ფილიპო ინძაგი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოტი (რომა), კრისტიან ვიერი (ლაციო)

ამხანაგური მატჩი 28 აპრილი. გერმანია — შოტლანდია

მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარე, ოლივერ კანი, დღეს, გერმანიისა და შოტლანდიის ნაკრებების შეხვედრაში ვერ ითამაშებს. მას მუცელი ატკივებია.

კანს გერმანელთა კარში, ალბათ, დორტმუნდის „ბორუსიას“ გოლკიპერი იენს ლემანი შეცვლის, ხოლო სათადარიგო მეკარედ ჰამბურგელი ჰანს იორგ ბუტია გამოძახებული.

მწვრთნელი, ერიხ რიბეკი, დორტმუნდელი ნახევარმცველის, ლარს რიკენის, გაწყვეტილ კუნთს უკვე შეგუებული იყო, როდესაც შეიტყო, რომ „ბაიერნის“ მცველი, მარკუს ბაბელიც დაშავებულია — საზარდული ტკივა.

ბრემენში დანიშნულ შეხვედრაში შეიძლება ვერ ითამაშოს იქაური „ვერდერის“ თავდამსხმელმა მარკო ბოდემ. მასაც კუნთი აწუხებს და თუ სკამზე დარჩა, მაშინ ნაკრების ფორმას პირველად მოირგებს „მიუნხენ 1860“-ის მოთამაშე, ჰორსტ ჰელდტი.

მეკარეები: ჰანს იორგ ბუტი (ჰამბურგი), იენს ლემანი (დორტმუნდი)

მცველები: ლოთარ მათეუსი (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰანზა), კრისტიან ვიორნსი (პარი სენ ჟერმენი, საფრანგეთი)

ნახევარმცველები: მიხაელ ბალაკი (კაიზერსლაუტერნი), დიტმარ ჰამანი (ნიუკასლი, ინგლისი), იორგ ჰაინრიხი (ფიორენტინა, იტალია), ჰორსტ ჰელდტი (მიუნხენ 1860), იენს იერემისი (ბაიერნი), კარსტენ რამელო (ლევერკუზენი), თომას შტრუნცი (ბაიერნი)

თავდამსხმელები: ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ულფ კირსტენი (ლევერკუზენი), ოლივერ ნიუვილი (ჰანზა), მიხაელ პრეეტცი (ჰერტა)

უნდა, მაგრამ არ უშვებენ

ბოლო ხანებში სულ უფრო მეტი საუბარი იყო ბრაზილიელი მარცხენა მცველის რობერტო კარლოსის მადრიდის „რეალიდან“ წასვლის შესახებ. თავად ფეხბურთელს და მის აგენტს მართლაც ჰქონიათ ამის სურვილი, მაგრამ „რეალის“ უფროსობა არაფრისდიდებით არ აპირებს გუნდის ერთ-ერთი ლიდერის გაშვებას.

— რობერტო კარლოსის გაყიდვას არ ვაპირებთ. მისი გამოსასყიდი თანხა 100 მილიონი დოლარია, ამ თანხას ცენტიც არ დააკლდება და ძნელი წარმოსადგენია ვინმემ ერთი ფეხბურთელის სანაცვლოდ ამხელა ფული გადაიხადოს. მეტი სათქმელი არც არაფერი მაქვს — მოკლედ და კონკრეტულად გამოხატა თავისი პოზიცია ჩემპიონთა თასის მფლობელთა პრეზიდენტმა ლორენსო სანმა.

არადა, რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით ბრაზილიელის პირადი აგენტი გამოვიდა, რომელიც ირწმუნებოდა, რა 100 მილიონი, რობერტო კარლოსის გამოსასყიდად სულ რაღაც 15 მილიონი დოლარია საჭიროო.

ამგვარად, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ბედი საბოლოოდ კვლავაც არ არის გარკვეული. სანსი თავისას ამტკიცებს, ფეხბურთელის აგენტი — თავისას. ამ დროს კი რობერტო კარლოსის ხელში ჩასაგდებად იტალიაში დიდი ბრძოლა გაჩაღდა. განსაკუთრებით მილანის „ინტერი“ აქტიურობს, სადაც კიდევ ორი ბრაზილიელი თამაშობს — რონალდო და ზე ელიასი. უდავოდ ძლიერი მცველის საკუთარ გუნდში ხილვის სურვილი სერია A-ს მეორეადგილოსნის „მილანის“ და ტურინის „იუვენტუსის“ ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს.

სისხლისღვრა დე ფოლგერნშტრასეზე

REUTERS როტერდამიდან

ხელჩართული ბრძოლა როტერდამის ქუჩებში — პოლიცია „ფეიენოორდის“ ქომაგებს არ ინდობს

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია — ჰოლანდიის ჩემპიონის, „ფეიენოორდის“ ქომაგები საყვარელი კლუბის გამარჯვებას აღვირახსნილობით შეხვდნენ. როტერდამში, გუნდის გაჩემპიონებას დიდი არეულობა მოჰყვა, იმაზე მეტი, ვიდრე ჰოლანდიური ფეხბურთის ბოლო წლების სისხლიან ისტორიას ახსოვს.

ჰოლანდიელი სამართალდამცავები ქომაგთა უწესრიგობამ ძალიან შეაშფოთა. ძნელია იმის თქმა, მოელება თუ არა არეულობას ბოლო, მაგრამ იქ, ტიტების ქვეყანაში, საამისოდ ნამდვილად იბრძვიან. როტერდამის ინცინდენტის შემდეგ საქმე ჰოლანდიის შინაგან საქმეთა სამინისტრომდეც მივიდა. „ფეიენოორდის“ გულშემატკივრების უსაქციელობამ ქვეყნის ხელისუფლება ძალიან შეაშფოთა და საქმე ამიტომაც გადაეცა სახელმწიფო ორგანოებს.

რა საშინელება მოხდა როტერდამში, რამაც ჰოლანდიის ხელისუფალნიც კი შეაწუხა? საყვარელი კლუბის გამარჯვებას სპატივცემულოდ ზომაზე მეტად გამომთვრალმა ფანებმა ემოციებისგან ბოლომდე დაცლა ინდომეს და ამის საუკეთესო საშუალებად ქალაქის დარბევა მიიჩნიეს. იმ მომენტში არ გამოჩნდა ძალა, რომელიც ორასამდე გონდაკარგული ვაიგულშემატკივრის შეჩერებას შეძლებდა და ნგრევაც დაიწყო — როტერდამის ცენტრში მაღაზიის ვიტრინები დალეწეს. დაამსხვრიეს კაფე-ბარები, სასტუმრო „ჰილტონზეც“ მიიტანეს იერიში. სულ ბოლოს კი ექსტაზში მყოფებმა პოლიციელები რომ დაინახეს, ერთმანეთს ბრძოლისკენ მოუწოდეს.

— ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. უმართავმა სიტუაციამ გვაიძულა, თავდასხმაზე წავსულიყავით. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ვაი-გულშემატკივრების აღვირახსნილობას. ქომაგებმა უნდა შეიგნონ, რომ უკლებლივ ყველა უსაქციელობა დაისჯება და თან ძალიან მკაცრად — როდ სტოლვაიტერი როტერდამის პოლიციის შეფია.

...როტერდამის ცენტრში „ფეიენოორდის“ ორასამდე გულშემატკივარი შეკრებილიყო. ლუდს ეძალებოდნენ, მერე კი თავი ყოვლისშემძლედ წარმოიდგინეს და შეზარხოშებულებმა მაღაზიებს და კაფეებს ქვები დაუშინეს. არეულობის შესახებ როტერდამის პოლიციამ უმალ შეიტყო, მაგრამ სანამ მათ მობილიზაცია გამოაცხადეს, ბრბომ სასტუმრო „ჰილტონისკენ“ გაილაშქრა. გადამწყვეტი ბრძოლა სწორედ იქ შედგა, „დე ფოლგერნშტრასეზე“.

„პოლიციასა და ქომაგებს შორის შეტაკება სისხლისღვრით დასრულდა. საშინელებაა, როცა სასიხარულო გამარჯვებას ასეთი არეულობა მოჰყვება“ — წერდა როტერდამული სისხლისღვრის შემდეგ „ალგემან დაგბლატი“.

არავინ გარდაცვლილა. ერთი ეგაა, ოთხმოცამდე ვაი-გულშემატკივარი დაიჭირეს, ოცამდე საავადმყოფოში გააქანეს, ერთიც რეანიმაციაში დაუწვენიათ. ექიმების ცნობით, მისი მდგომარეობა იმდენად მძიმე ყოფილა, შესაძლოა, ვერც მოახერხონ მისი გადარჩენა.

როტერდამულმა არეულობამ ქვეყნის ხელისუფლებას გადამჭრელი ზომების მიღება აიძულა. ჰოლანდიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრამ პეპერმა, რომელიც თავის დროზე როტერდამის მერიც გახლდათ, ხელისუფლებას მიმართა წინადადებით, გაზარდოს პოლიციის უფლება-მოვალეობები. პეპერის თქმით, ასეთ კრიტიკულ შემთხვევებში წესრიგისდამცველებს იარაღის გამოყენებაც უნდა შეეძლოთ. მოიწონებს თუ არა შინაგან საქმეთა მინისტრის აზრს ჰოლანდიის მთავრობა, ძნელი სათქმელია.

„ფეიენოორდის“ წარმომადგენელმა იან ვონ ბესელგერმა ორშაბათს კლუბის სახელით ოფიციალური განცხადება გაკეთა, რომლითაც დაგმო კლუბის რამდენიმე ქომაგის უსაქციელობა და ჭეშმარიტ გულშემატკივრებს მოუწოდა, გაუგებრობაში არ მოხვედრილიყვნენ.

ჰოლანდიელთა საბედნიეროდ, მორიგი შეტაკება მსხვერპლის გარეშე დასრულდა. რა იქნება შემდეგში?

ირაკლი ილაშვილი

მოგეხსენებათ, „ფეიენოორდმა“ ქვეყნის ჩემპიონატის დასრულებამდე კარგა ხნით ადრე მოიპოვა ჩემპიონობა. ჰოლანდიის პირველობების ისტორიას ასეთი შემთხვევები ბევრი ახსოვს, მაგრამ ასეთი უპირატესობა, ლიდერ „ფეიენოორდს“ რომ აქვს მდევრებთან, ორად ორჯერ ყოფილა. თუ მოხდა და „ფეიენოორდმა“ საბოლოოდ მეორეადგილოსანს 18 ქულით გაასწრო, მაშინ ჰოლანდიის ჩემპიონატის რეკორდს დაამყარებს — აქამდე სარეკორდო მაჩვენებლისთვის, 17-ქულიანი უპირატესობისთვის მხოლოდ „აიაქსს“ და „ალკმაარს“ მიუღწევიათ.

აქვე შემოგთავაზებთ ჰოლანდიის ყველა ჩემპიონს, ჩვენი მხრივ კი შეგახსენებთ, რომ 1957 წლამდე ჰოლანდიის ჩემპიონატი სამოყვარულო სტატუსს ატარებდა.

ჰოლანდიის ჩემპიონები

1898	ამსტერდამ RAP	1924	ფეიენოორდი	1950	ლიმბურგი	1975	PSV ეინდჰოვენი
1899	ამსტერდამ RAP	1925	HBS ჰააგა	1951	PSV ეინდჰოვენი	1976	PSV ეინდჰოვენი
1900	HVV ჰააგა	1926	ენსხედე	1952	ტილბურგი	1977	აიაქსი
1901	HVV ჰააგა	1927	ალმელო	1953	ჰაარლემი	1978	PSV ეინდჰოვენი
1902	HVV ჰააგა	1928	ფეიენოორდი	1954	ეინდჰოვენი	1979	აიაქსი
1903	HVV ჰააგა	1929	PSV ეინდჰოვენი	1955	ტილბურგი	1980	აიაქსი
1904	HBS ჰააგა	1930	დევენტერი	1956	რაპიდი	1981	ალკმაარი
1905	HVV ჰააგა	1931	აიაქსი			1982	აიაქსი
1906	HBS ჰააგა	1932	აიაქსი	1957	აიაქსი	1983	აიაქსი
1907	HVV ჰააგა	1933	დევენტერი	1958	უტრეხტი	1984	ფეიენოორდი
1908	ქუიკ ჰააგა	1934	აიაქსი	1959	სპარტა	1985	აიაქსი
1909	სპარტა	1935	PSV ეინდჰოვენი	1960	აიაქსი	1986	PSV ეინდჰოვენი
1910	HVV ჰააგა	1936	ფეიენოორდი	1961	ფეიენოორდი	1987	PSV ეინდჰოვენი
1911	სპარტა	1937	აიაქსი	1962	ფეიენოორდი	1988	PSV ეინდჰოვენი
1912	სპარტა	1938	ფეიენოორდი	1963	ეინდჰოვენი	1989	PSV ეინდჰოვენი
1913	სპარტა	1939	აიაქსი	1964	ამსტერდამი	1990	აიაქსი
1914	HVV ჰააგა	1940	ფეიენოორდი	1965	ფეიენოორდი	1991	PSV ეინდჰოვენი
1915	სპარტა	1941	ალმელო	1966	აიაქსი	1992	PSV ეინდჰოვენი
1916	ტილბურგი	1942	ADO ჰააგა	1967	აიაქსი	1993	ფეიენოორდი
1917	დევენტერი	1943	ADO ჰააგა	1968	აიაქსი	1994	აიაქსი
1918	აიაქსი	1944	ვოლვიკერსი	1969	ფეიენოორდი	1995	აიაქსი
1919	აიაქსი	1945	—	1970	აიაქსი	1996	აიაქსი
1920	BQ გრონინგენი	1946	ჰაალემი	1971	ფეიენოორდი	1997	PSV ეინდჰოვენი
1921	ბრედა	1947	აიაქსი	1972	აიაქსი	1998	აიაქსი
1922	დევენტერი	1948	ჰერტოგენბოხი	1973	აიაქსი	1999	ფეიენოორდი
1923	RSH ჰაარლემი	1949	შიდემი	1974	ფეიენოორდი		

ჰოლანდიელი თავდამსხმელი, ყერლინის „ჰერტას“ წევრი ბრაიან როი სეზონის ბოლომდე ველარ ითამაშებს, რადგან ორშაბათს აქილევსის მყესის ოპერაცია გაიკეთა. 29 წლის ფერადკანიანი უწინ ჰოლანდიის ეროვნული გუნდის წევრი იყო და ინგლისურ „ნოტინგემ ფორესტში“ თამაშობდა, ხოლო რაც გერმანიაში გადავიდა, ხელი მოეცარა და 1997 წლის მერე უმაღლეს დონეზე აღარ ჩანს.

ესპანური „დეპორტივო ლა კორუნიას“ ვეტერანი ნახევარმცველი, დონატო, კლუბში კიდევ ერთ წელიწადს დარჩება. წარმოშობით ბრაზილიელმა, 36 წლის გაესპანელებულმა მოთამაშემ ახალი სამშობლოს ნაკრებში 12 შეხვედრა ჩაატარა. „დეპორტივოში“ კი იგი ექვსი სეზონია გამოდის. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონის დასაწყისში დონატო გახდა ესპანეთში მოღვაწე უცხოელთაგან პრიმერა დივიზიონში ყველაზე მეტი მატჩის მონაწილე. დღეს მისი მდიდარი კარიერა 350-ზე მეტ შეხვედრას ითვლის.

ინგლისურ „ნოტინგემ ფორესტს“ ჰოლანდიელი თავდამსხმელი, პიერ ვან ჰოიდონკი, აგვისტოს მერე სატრანსფერო სიაში ჰყავს, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ამ ფეხბურთელის ყიდვა დედამიწის ზურგზე არავის სურს. იქმნება სასაცილო მდგომარეობა: ვან ჰოიდონკმა „ნოტინგემში“ უკვე ორი მწვრთნელის დრობა მოილია, გაფიცულიც იყო, ხოლო როდესაც გასაყიდად გაამზადეს, კლუბი პრემიერლიგიდან გავარდა. „არც რონ ატკინსონს და არც დეივ ბესეტის დროს შეგვხმიანებია ვინმე ჰოლანდიელის შეძენის სურვილით“ — განაცხადა კლუბის პრესატაშემ. ვან ჰოიდონკი ინგლისში 1997 წლიდან გამოდის და კონტრაქტის თანახმად, „ნოტინგემ ფორესტში“ კიდევ სამი წელიწადი უნდა გაატაროს. სატრანსფერო სიაში მის გასწვრივ 12,92 მილიონი დოლარი წერია, რაც კაცისთვის, რომლის ყიდვაც არავის სურს, ერთობ ძვირი თანხა უნდა იყოს. ზემოხსენებული გაფიცვა, ფეხბურთელმა კი იმიტომ დაიწყო, რომ ერთხელ განაცხადა, „ნოტინგემ ფორესტის“ ხელმძღვანელობა კარგ მოთამაშეებს არ ყიდულობსო, რის გამოც კლუბში ერთობ დაეძაბა ურთიერთობა.

იტალიის ჩემპიონატის მოახლოებულ ტურში „მილანი“ ხვდება გენუის „სამპდორიას“, მაგრამ პირველს ჟორჟ ვეა არ ეყოლება, მეორეს კი არიელ ორტეგა — ისინი დისკვალიფიცირებული არიან. ლიბერიელი ვეა, რომელიც 1995 წელს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, გასულ კვირას „ვიჩენცასთან“ შეხვედრაში ყვითელი ბარათით დაისაჯა და გაფრთხილებათა დაგროვების გამო უახლოესი მატჩის გამოტოვება უწევს, ხოლო რაც შეეხება არგენტინელ ორტეგას, იგი იმავე დღეს, „ლაციოსთან“ 0:1 დამარცხების დროს, 72-ე წუთზე გააძევეს მოედნიდან.

არგენტინაში, კლაუსერას ჩემპიონატში, „ფერო კარილ ოესტემ“ გოლის ვერგატანის ეროვნული რეკორდი დაამყარა. მან ბოლო ტურის შეხვედრაში „ველეს სარსფილდთან“ 0:0 ითამაშა, რაც მისთვის მეცხრე უგოლო შეხვედრა გამოდგა. წუთების მიხედვით თუ დავითვლით, კლუბს აგერ უკვე 812 წუთია, ბურთი მოწინააღმდეგის კარის ბადეში აღარ შეუგდია. 33 შეხვედრაში დაუმარცხებელმა ლიდერმა, „ბოკა ხუნიორსმა“ კი ცხრილის ბოლოში მყოფ „პლატენსეს“ სძლია 2:0 და ახლა ძველ მოცილეს, „რივერ პლეიტს“ ხუთი ქულით უსწრებს.

ბრაზილიაში, რიო დე ჟანეიროს შტატის პირველობაზე, „ვასკუ და გამამ“ მოედანზე ცხრა კაცით დარჩენილ „ბანგუს“ ძლივს მოუგო 1:0, მაგრამ გუნდისთვის თამაშის ხარისხს მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ამ ეტაპზე მთავარი შედეგი იყო. საქმე ის გახლავთ, რომ „ვასკუს“ კოშმარული კვირა ჰქონდა, რომელიც ჩემპიონატის შეხვედრაში „ფლამენგოსთან“ დამარცხებით დაიწყო და სამხრეთ ამერიკის ლიბერტადორესის თასზე „პალმეირასთან“ 2:4 დამარცხებით და შეჯიბრებიდან გამოთიშვით გაგრძელდა. „ბანგუს“ კარში ვასკუელთა ერთადერთი გატანილი გოლის ავტორმა, ლუიზაომ განაცხადა: „ახლა კი შემიძლია შინ მშვიდად წავიდე და გემრიელად გამოვიძინო“. ზემოთ ვახსენეთ, რომ „ბანგუს“ მსაჯმა ორი მოთამაშე გაუძევა მოედნიდან. ორივე გაძევება მასთან კამათის შედეგი გახლდათ. ამ ინციდენტმა ბრაზილიისთვის ჩვეული უწესრიგობა და ტრიბუნათა ლანძღვა-გინება გამოიწვია. ამასობაში კი „ამერიკანომ“ „ფლუმინენსეს“ 3:2 მოუგო და ახლა „ვასკუსა“ და „ფლამენგოსთან“ ერთად ცხრილის სათავეშია. რაც შეეხება სან პაულუს შტატის ჩემპიონატს, „სანტოსმა“ „კორინთიანსს“ დაძაბულ შეხვედრაში მოუგო 4:2 და მეოთხე ჯგუფს ლიდერობს, ხოლო „პალმეირასმა“ ერთობ ნერვულ და ჩხუბიან შეხვედრაში „მატონენსესთან“ 0:0 ითამაშა. შეხვედრის შემდეგ „პალმეირასის“ მწვრთნელმა ფილიპე სკოლარიმ განაცხადა: „ჩვენ გამარჯვებას არ ვიმსახურებდით და ვერც გავიმარჯვეთ“.

გერმანელი ნახევარმცველი, მარიო ბასლერი, იმედგადაწურულია. „ბაიერნის“ მოთამაშემ, რომელმაც ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში, ულამაზესი გოლით, შეეჯიბრებას კიევის „დინამო“ გამოთიშა, განაცხადა, ამიერიდან ნაკრებში თამაშზე ჩემს ლაპარაკს აზრი აღარ აქვსო. „მწვრთნელმა საგაზეთო ინტერვიუებში ცხადად ბრძანა, რომ მე არ ვჭირდები“ — თქვა ბასლერმა. 30 წლის ბასლერი ბოლოს დეკემბერში გავიდა მოედანზე, როგორც ეროვნული გუნდის წევრი. იმ დღეს, ჰოლანდიის წინააღმდეგ მან ძალიან ცუდად ითამაშა და ერიხ რიბეკმაც საბოლოოდ განაცხადა ბაიერნელზე უარი.

იტალიურმა „ინტერმა“ თავისი ყოფილი მწვრთნელი, რიო ჰოჯსონი სეზონის ბოლომდე ტექნიკურ დირექტორად დანიშნა. მილანური კლუბის წარმომადგენელთა განცხადებით 51 წლის სპეციალისტი დროებით მწვრთნელთან, ლუჩანო კასტელინისთან ერთად შეეცდება სერია A-ს დარჩენილ ოთხ ტურში შავლურჯი მუნდირის ღირსების დაცვას. კასტელინი გახლავთ „ინტერის“ მეკარეთა მწვრთნელი, რომელიც დროებითი თავკაცის ფუნქციას პერიოდულად, კრიზისულ დღეებში ასრულებს ხოლმე. ასევე იყო 1996-97 წლების სეზონის მიწურულს, როდესაც „ინტერმა“ სწორედ ჰოჯსონი გაუშვა თანამდებობიდან. ჰოჯსონი კი, თავის მხრივ, ისევ სამსახურიდანაა გაგდებული. ამჯერად ინგლისურმა „ბლეკბერნ როვერსმა“ დაითხოვა. მოგეხსენებათ მომავალი სეზონიდან „ინტერს“ „იუვენტუსის“ ყოფილი ხელმძღვანელი მარჩელო ლიპო ჩაუდგება სათავეში.

თასების მფლობელთა თასი

XXV გათამაშება 1984-85 წლები

ევერტონი

ლივერპული, ინგლისი

სოლომონ ეყლიასაშვილი

Cup Winners' Cup

სრული ისტორია

როგორ დაიჭირა ევერტონმა ორი კურდღელი

ევერტონი ფინალური მატჩის წინ. მარცხნიდან დგანან: მაუნთფილდი, გრეი, სტივენი, შარპი, შიდი, ვან დენ ჰაუვე. სხედან: სტივენსი, საუთჰოლი, რეტკლიფი, ბრეისუელი, რეიდი

სარგბიელის არქივიდან

1985 წლის მაისში „ევერტონს" მეტად დაძაბული გრაფიკი ჰქონდა. გუნდს, როგორც იტყვიან, „სამი კურდღლის" დაჭერა უხდებოდა. თვის დასაწყისში, პირველობის დამთავრებამდე ხუთი ტურით ადრე, ინგლისის ჩემპიონობა მოიპოვეს, თანაც მეორე წრეში თამაში არ წაუგიათ, 15 მაისს როტერდამში თასების თასის ფინალი ელოდათ „რაპიდთან", ხოლო 19-ში ინგლისის თასის გადამწყვეტი მატჩი „მანჩესტერ იუნაიტედთან".

აქამდე ერთ სეზონში სამი პრიზი არც ერთ ბრიტანულ კლუბს მოეგო და ინგლისელები ისტორიული შედეგის მოლოდინში იყვნენ. თუმცა, იმასაც ამბობდნენ, „სამი კურდღლის" დევნა „ევერტონს" გამოფიტავსო. მართლაც, სამი დღის განმავლობაში ორი ფინალის თამაში ხუმრობა არ იყო, მაგრამ ინგლისის თასის ფინალის გადატანაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, რადგან ამ ტურნირის ისტორიაში თარიღი არასოდეს შეუცვლიათ. ბრიტანელები ტრადიციებს დიდ პატივს სცემენ.

როცა როტერდამში ჩასულ „ევერტონის" მენეჯერ ჰოვარდ კენდალს ჰკითხეს, გუნდი ხომ არ გადაგეღალათო, მწვრთნელმა უპასუხა: წლეულს იმდენი დაძაბული მატჩი გვქონდა, ფეხბურთელები უკვე მიეჩვივნენ, ამიტომ „რაპიდთან" სრულ მზადყოფნაში ვიქნებითო.

ლივერპულის მეორე გუნდს, „ევერტონს", მაშინ მართლაც მშვენიერი გუნდი ჰყავდა. გაზრებულთან ერთად ისინი ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ. როტერდამში კენდალმა მხოლოდ 16 მოთამაშე ჩაიყვანა, თექვსმეტივე ნარჩევი. გუნდის მთავარ ძალას კი ნახევარმცველები — რეიდი, ბრეისუელი, სტივენი და შიდი წარმოადგენდნენ. საინტერესოა ისიც, რომ დასავლეთგერმანულ „ბავარიასთან" ბოლო ნახევარფინალამდე ინგლისელებს ტურნირში გოლი არ გაეშვათ. ამაში დიდი წვლილი უელსელ მეკარე ნევილ საუთჰოლსაც მიუძღოდა, სწორედ იმ საუთჰოლს, რომელსაც 1995 წლის ნოემბერში, თბილისში, ქართველებმა ხუთი ბურთი გაუტანეს.

მიუნხენში ნათამაშები 0:0-ის შემდეგ „ევერტონს" უკეთესი შანსი მიეცა, მაგრამ საპასუხო მატჩის 37-ე წუთზე ბავარიელი დიტერ ჰაინესის გოლმა სტადიონზე მისული 50 ათასი მაყურებელი დაადუმა. ასე გაგრძელდა მეორე ნახევრის დასაწყისამდე. 48-ზე შარპმა გაათანაბრა, მერე გრეიმ და სტივენმა კიდევ ორი შეაგდეს და სტადიონიც სიხარულისგან კარგა ხანს ამღერეს.

„რაპიდმა", რომელსაც იუგოსლავიელი მწვრთნელი ოტო ბარიჩი და ორი ვარსკვლავი — ჰანს კრანკლი და ჩეხი ანტონინ პანენკა ჰყავდა, მერვედფინალში დიდი სკანდალითა და საჩივრებით დაძლია შოტლანდიური „სელტიკის" წინააღმდეგობა. პირველ მატჩში, ვენაში, ავსტრიელებმა 3:1 მოიგეს, საპასუხოში დამთავრებამდე ათი წუთით ადრე „სელტიკი" 3:0-ს იგებდა, თანაც „რაპიდი" კაცნაკლული თამაშობდა, უხეშობისთვის მცველი კინასტი გააძევეს. ამ დროს მინდორზე რაპიდელი ვაინჰოფერი დაეცა. თამაში 14 წუთით შეწყდა... ავსტრიელები ამტკიცებდნენ, რომ ვაინჰოფერს ტრიბუნიდან ნასროლი ბოთლი მოხვდა და დაიჭრა. მასპინძლები არ ეთანხმებოდნენ. შვედმა არბიტრმა იოჰანსენმა მაინც ჩაამთავრა შეხვედრა.

ფინალი. ტრევორ სტივენსის დარტყმას ვებერი (მარცხნივ), ბრაუნედერი და გრეი შესცქერიან

ავსტრიელებმა უეფაში პროტესტი შეიტანეს. შოტლანდიელებმა ვიდეოფირი წარადგინეს, სადაც ჩანდა, რომ ბოთლი მართლაც ისროლეს, მაგრამ ის მოთამაშის გვერდით დაეცა. მაშინ „რაპიდის" ხელმძღვანელობამ ვაინჰოფერის ტრავმის ოფიციალური მტკიცება წარადგინა და მიუთითა, რომ შესაძლოა, ბოთლი არა, მაგრამ რაღაც ნივთით მათი მოთამაშე მართლაც დაშავდა.

უეფას სადისციპლინო კომიტეტმა თავიდან ანგარიში ძალაში დატოვა, „სელტიკი" „მაყურებელთა არასპორტული საქციელისთვის" 12 ათასი შეეიცარიული ფრანკით დააჯარიმა, ხოლო „რაპიდი" „მოთამაშეთა და ოფიციალურ პირთა ცუდი ქცევისთვის" — 15 ათასით. გაძევებულ კინასტს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

ავსტრიელებმა ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს და პირველად უეფას ისტორიაში, სადისციპლინო კომიტეტის დოკუმენტი საპელაციო კომიტეტმა გააუქმა. განმეორებითი გარჩევისას „სელტიკი" გაამტყუნეს და გადათამაშება დანიშნეს, რომელიც გლაზგოდან 150 კილომეტრზე ახლოს არ უნდა ჩატარებულიყო.

თამაში მანჩესტერში გაიმართა. იქაც 50 ათასი სქოთი ფანი გამომწვევად იქცეოდა, მატჩის შემდეგ ერთი მათგანი მეკარე ფიორერზე თავდასხმას აპირებდა, მეორემ კი გასახდელისკენ მიმავალ პაკულტს გვარიანი მუშტიც უთავაზა. პაკულტის მიმართ შოტლანდიელების აგრესია გასაგები იყო, სწორედ მის მიერ მე-18 წუთზე გატანილმა ბურთმა მოაგებინა „რაპიდს" 1:0 და შემდეგ წრეში გაიყვანა.

ფინალის წინ კითხვაზე, მიუჩინეთ თუ არა ჰანს კრანკლს პერსონალური მეურვესო, ჰოვარდ კენდალმა უპასუხა, თუ ასეთ დავალებას ვინმეს მივცემ, მაშინ პერსონალურად პანენკას ავიყვანთ, რადგან მან ტურნირში ყველაზე მეტი ხუთი ბურთი გაიტანა, თანაც ძალიან სახიფათო გადაცემების ოსტატიაო. მაგრამ პანენკა მინდორზე მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა, როცა ინგლისელები უკვე იგებდნენ.

პირველ ნახევარში „რაპიდმა" ფორმალურად მიაღწია მიზანს — ბურთი არ გაუშვია, თუმცა არც გაუტანია. ტაიმის მიწურულს გრეიმ ბურთი მეტოქის კარის ბადეში გაახვია, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დაიფიქსირა.

85-ე წუთისთვის „ევერტონი" 2:0-ს იგებდა. ამ დროს კრანკლმა გაათანაბრა და ავსტრიელებს მატჩის გადარჩენის იმედი მიეცათ, მაგრამ ეს ეიფორია მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა, 86-ზე შიდიმ მესამე გატანა მეკარე კონსელს და ყოველგვარი ეჭვი გაფანტა. 3:1

დღეს სეზონის საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ, თქვა მერე კენდალმა. შოტლანდიელმა ენდი გრეიმ კი დაამატა, ასე მგონია, ამ საღამოს ევროპის ნებისმიერი გუნდის დაჩოქება შეგვეძლო, „რაპიდს" კი ჩვენთან შანსი არ ჰქონდაო.

ინგლისელთა უპირატესობა ოტო ბარიჩმაც აღიარა, თავის გუნდში კი კრანკლის თამაშით დარჩა კმაყოფილი.

ანგარიში ლოგიკური იყო, თუმცა პირველ ტაიმში „რაპიდის" მცველები ვებერი და ბრაუნედერი ჩინებულად თამაშობდნენ „მეორე სართულზე" და გრეის და შარპს გასაქანს არ აძლევდნენ. ეგ იყო, ფეხმტკივანი პანენკას არყოფნამ ავსტრიელთა შუა ხაზი მოშალა, მერე კი, როცა პანენკა გამოიყვანეს, უკვე გვიან იყო. „ევერტონის" ნახევარმცველთა ოთხეულმაც მალე დაალაგა თამაში და გრეი — შარპმაც გაილაღეს.

როტერდამული შეხვედრის დამთავრებისთანავე გამარჯვებულები შინ დაბრუნდნენ, სამ დღეში ხომ ინგლისის თასის ფინალი ელოდათ „მანჩესტერთან".

იმ მატჩს „უემბლიზე" 120 წუთი დასჭირდა და 111-ზე უაითსაიდის გოლით „იუნაიტედმა" მოიგო. არადა, „ევერტონს" რიცხვობრივი უპირატესობა ჰქონდა, უხეში თამაშისთვის მანჩესტერელი მორანი გააძევეს. საინტერესოა, რომ ეს ინგლისის თასის ფინალის 104-წლიან ისტორიაში პირველი გაძევება იყო.

„სამივე კურდღელს" „ევერტონი" მაინც ვერ შესწვდა, თუმცა ინგლისის ჩემპიონობა და თასების თასი თავისთავად ჩინებული შედეგი იყო.

იმავე 1985 წელს „ევერტონის" თანაქალაქელი „ლივერპულიც" ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდა და როტერდამული დუელიდან ორ კვირაში, ბრიუსელის „ეიზელის" სტადიონზე, უსამართლოდ დამარცხდა „იუვენტუსთან" (0:1), მაგრამ მთავარი ეს არ გახლდათ. იმ დღეს ტრიბუნებზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ჭყლეტის შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა და ინგლისური კლუბები მთელი ხუთი წლით მოკვეთეს ევროთასებიდან.

ნევილ საუთჰოლი (თასით) და ენდი გრეი მეშვიდე ცაზე

სარგბიელის არქივიდან

პირველი წრე

რაპიდი (ავსტრია) — **ბეშიქთაში** (თურქეთი) 4:1, 1:1; **ბოლიმინა** (ჩრდ. ირლანდია) — **პამრუნ სპარტანსი** (მალტა) 0:1, 1:2; **აპოელი** (კვიპროსი) — **სპრავტი** (ზვიცარია) 0:3, 1:3; **ბაიერნი** (გფრ) — **მოსი** (ნორვეგია) 4:1, 2:1; **დინამო** (მოსკოვი, სსრკ) — **პაიდუკი** (სპლიტი, იუგოსლავია) 1:0, 5:2 (ოსტკ); **გენტი** (ბელგია) — **სელტიკი** (შოტლანდია) 1:0, 0:3; **ინტერი** (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — **კუსუსი** (ფინეთი) 2:1, 0:0; **კოპენჰაგენი** (დანია) — **ფორტუნა** (სიტარდი, ჰოლანდია) 0:0, 0:3; **მალმიო** (შვედეთი) — **დინამო** (დრეზდენი, გდრ) 2:0, 1:4; **ჰეგი** (საფრანგეთი) — **ბარსელონა** (ესპანეთი) 2:4, 4:1; **რომა** (იტალია) — **სტიაუა** (რუმინეთი) 1:0, 0:0; **სიოფოკი** (უნგრეთი) — **ლარისა** (საბერძნეთი) 1:1 (სკამეიკერები), 0:2; **ორპაკია** (ბულგარეთი) — **უნიონი** (ლუქსემბურგი) 4:0, 1:1; **უნივერსიტი კოლეჯი** (ირლანდია) — **ევერტონი** (ინგლისი) 0:0, 0:1; **ვისლა** (პოლონეთი) — **ვესტმანაიარი** (ისლანდია) 4:2, 3:1; **რაფსპეგი** (უელსი) — **პორტუ** (პორტუგალია) 1:0, 3:4

მერვედფინალი

ბაიერნი — **თრაკია** 4:1, 0:2; **დინამო** (დრეზდენი) — **მეცი** 3:1, 0:0; **დინამო** (მოსკოვი) — **პამრუნ სპარტანსი** 5:0, 1:0; **ფორტუნა** — **ვისლა** 2:0, 1:2; **ინტერი** — **ევერტონი** 0:1, 0:3; **ლარისა** — **სერვეტი** 2:1, 1:0; **რაპიდი** — **სელტიკი** 3:1, 1:0 (მანჩესტერი); **რომა** — **რეკსპეგი** 2:0, 1:0

მეოთხედფინალი

ბაიერნი — **რომა** 2:0 (*აუგენტალერი, დ. ჰაინესი*), 2:1 (*მაიერუსი, კოიტლი; ნელა*)

დინამო (დრეზდენი) — **რაპიდი** 3:0 (*ტრაუტმანი, მინგე, კირსტენი*), 0:5 (*პაკულტი 2, ლაინერი, პანენკა, კრანკლი*)

ევერტონი — **ფორტუნა** 3:0 (*გრეი 3*), 2:0 (*შარპი, რეიდი*)

ლარისა — **დინამო** (მოსკოვი) 0:0, 0:1 (*ფომინოვი*)

ნახევარფინალი

ბაიერნი — **ევერტონი** 0:0, 1:3 (*დ. ჰაინესი; შარპი, გრეი, სტივენი*)

რაპიდი — **დინამო** (მოსკოვი) 3:1 (*ლაინერი, კრანკლი, ხრისტიჩი; კარატაევი*), 1:1 (*პანენკა; პოზდნიაკოვი*)

ფინალი. როტერდამი. 13 მაისი. 37 000 მაყურებელი

ევერტონი 3:1 რაპიდი

1:0 გრეი (58), 2:0 სტივენი (72), 2:1 კრანკლი (84), 3:1 შიდი (85)

ევერტონი: საუთჰოლი, სტივენსი, ვან დენ ჰაუვე, რეტკლიფი, მაუნთფილდი, რეიდი, სტივენი, გრეი, შარპი, ბრეისუელი, შიდი

რაპიდი: კონსელი, კინასტი, გარგერი, ვებერი, ლაინერი, ხრისტიჩი, კრანჩარი, ვაინჰოფერი (პანენკა 54), ბრაუნედერი, პაკულტი (გროსი 73), კრანკლი

მსაჯი: კაზარინი (იტალია)

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები: თასი ჩვენს ხელთაა!

ოქროს ბიჭები

„მადლობის მეტი არაფერი გვეოქმის. ამ ბიჭებმა ესპანეთს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული არგუნეს“ — წერდა ცნობილი ესპანური გაზეთი „მარკა“.

„ესპანეთი მსოფლიოს ჩემპიონია და დღეს ამაზე მთავარი არაფერია. ქვეყნის ფეხბურთში დიდი და შესანიშნავი შევსება მოდის“ — ახალგაზრდული ნაკრების გამარჯვებას მეორე, არანაკლებ ცნობილი გაზეთი AS-იც გამოეხმაურა.

ესპანეთში ხარობენ. მეტი მიზეზი რაღა გინდათ — ესპანეთის ფეხბურთელთა ნაკრებმა პირველად მოიგო ფიფას ეგიდით გამართული შეჯიბრება. ის, რაც ვერ შეძლეს სხვებმა, ახალგაზრდებმა მოახერხეს.

1985 წელს ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები პირველად მიუახლოვდა მსოფლიოს ჩემპიონთათვის განკუთვნილ თასს, მაგრამ მაშინ ბრაზილიელებმა გადაუღობეს გზა. მაშინ ესპანელებს მართლაც კარგი ნაკრები ჰყავდათ და სხვათა შორის, ამაში თბილისელი ქომაგებიც დარწმუნდებოდნენ — ესპანეთი ჯგუფური ტურნირის შეხვედრებს სწორედ თბილისში ატარებდა. მაშინ იმედი იმედად დარჩა, ახლა კი მწვერვალი დანებდა მოიერიშეებს.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის პირველივე დღეებში გამოჩნდა, რომ ესპანელები ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტები იყვნენ. თავდაპირველად მათ ბრაზილია დაამარცხეს 2:0, თან ისე დამაჯერებლად ითამაშეს, როგორც არასდროს. ცოტა დაუჯერებელი კია, მაგრამ ესპანელებს კიდევ რამდენჯერმე შეეძლოთ სამხრეთამერიკელთა კარის დალაშქვრა. დაცვაშიც ისე ყურადღებიანად მოქმედებდნენ, მეტოქისთვის საგოლე შანსიც არ უბოძებიათ.

— ბრაზილიასთან გამარჯვებამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან გაგვაძლიერა. ბიჭებს ყოველდღე ვეუბნებოდი, რომ მათზე ძლიერი არავინაა, რომ ძალუძდათ გამარჯვება. სასიხარულოა, რომ მიზანს მივაღწიეთ — ინაკი რუის საესი, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი, ესპანური ფეხბურთის ისტორიაში ოქროს ასოებით შევიდა.

მთლიანობაში ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრები კარგი გუნდია, თუმცა, როგორც ყველა ნაკრებს, მასაც ჰყავს ლიდერები — გამთამაშებელი გაბრი, ცენტრალური თავდამსხმელი პაბლო და მარცხენაფლანგელი ბაკერო. ძირითადად სწორედ ამ სამეულმა განაპირობა ის, რომ ესპანეთის ნაკრებმა ამ ჩემპიონატზე საგრძნობლად შედეგიანად ითამაშა. თუმცა, ცხადია, გუნდის გამარჯვებაში დანარჩენ ფეხბურთელებსაც დიდი წვლილი მიუძღვით.

ასეთია მსოფლიოს ჩემპიონთა მოკლე დახასიათება. ალბათ, შეიძლებოდა კიდევ რაიმეს დამატება, მაგრამ, მოდით ამჯერად ეს ვიკმაროთ და დავიტოვოთ იმედი, რომ გაივლის რამდენიმე წელი და ნიგერიაში შემჩნეულ ნიჭიერ ფეხბურთელებს ევროპის და მსოფლიოს უძლიერეს კლუბებში მოკიაფეებს ვიხილავთ.

ლაშა გოდუაძე

მსოფლიოს ჩემპიონი
ესპანეთი



1. არანსუბია	დანიელ არანსუბია აგუადო	მ	ბილბაო	18.09.79
2. კოირა	პაბლო კოირა ლოხო	მც	კომპოსტელა	18.10.79
3. ბერმუდო	დავიდ ბერმუდო რუბიო	მც	ბარსელონა	14.01.79
4. იესუე	ფრანსისკო იესუე გარსესი	მც	ოსასუნა	30.11.79
5. ორბაისი	პაბლო ორბაის ლესაკა	მც	ოსასუნა	06.02.79
6. მარჩენა	კარლოს მარჩენა ლოპესი	ნ	სევილია	31.07.79
7. გაბრი	გაბრიელ გარსია დე ლა ტორე	ნ	ბარსელონა	10.02.79
8. ხავი	ხავიერ ერნანდეს კრიუსი	ნ	ბარსელონა	25.01.80
9. პაბლო	პაბლო გონსალეს კუნაგო	თ	ნუმანსია	09.08.79
10. კოლსა	გონსალო კოლსა ალბენბეა	ნ	ლოგრონიესი	02.04.79
11. იესტე	ფრანსისკო ხავიერ იესტე ნავარო	ნ	ბილბაო	06.12.79
12. ვარელა	ფერნანდო ვარელა რამოსი	ნ	ბეტისი	01.09.79
13. იკერი	კასილას ფერნანდეს იკერი	მ	რეალი	20.05.81
14. ალექსი	ალეხანდრო ლომო მენენდესი	თ	ლოგრონიესი	01.03.79
15. აგანსო	დავიდ აგანსო მენდესი	მც	რეალი	12.04.79
16. ბაკერო	ხოსე ხავიერ სალუდეს ბაკერო	თ	სოსიედადი	27.04.79
17. რუბენი	რუბენ სუარეს ესტრადა	თ	სპორტინგი	19.02.79
18. ალვარო	ალვარო რუბიო რობრესი	მც	სარაგოსა	18.04.79

მწვრთნელი: *ინაკი რუის საესი*

Portugal '91
VI World Youth Championship for the FIFA/Coca-Cola Cup

ფიფა — კოკა-კოლას მსოფლიოს VI ახალგაზრდული ჩემპიონატი

A ჯგუფი

14.06.91	პორტუ	პორტუგალია — ირლანდია				2:0
15.06.91	ლისაბონი	არგენტინა — კორეა				0:1
17.06.91	ლისაბონი	ირლანდია — კორეა				1:1
17.06.91	ლისაბონი	პორტუგალია — არგენტინა				3:0
20.06.91	ლისაბონი	ირლანდია — არგენტინა				2:2
20.06.91	ლისაბონი	პორტუგალია — კორეა				1:0
პორტუგალია	3	3	0	0	6:0	6
კორეა	3	1	1	1	2:2	3
ირლანდია	3	0	2	1	3:5	2
არგენტინა	3	0	1	2	2:6	1

B ჯგუფი

15.06.91	პორტუ	მექსიკა — შვედეთი				3:0
15.06.91	პორტუ	ბრაზილია — კოტ დივუარი				2:1
17.06.91	პორტუ	ბრაზილია — მექსიკა				2:2
18.06.91	პორტუ	კოტ დივუარი — შვედეთი				1:4
20.06.91	პორტუ	კოტ დივუარი — მექსიკა				1:1
20.06.91	პორტუ	ბრაზილია — შვედეთი				2:0
ბრაზილია	3	2	1	0	6:3	5
მექსიკა	3	1	2	0	6:3	4
შვედეთი	3	1	0	2	4:6	2
კოტ დივუარი	3	0	1	2	3:7	1

C ჯგუფი

15.06.91	ბრაგა	ტრინიდადი — ავსტრალია				0:2
16.06.91	გიმარაეში	ეგვიპტე — სსრკ				0:1
18.06.91	ბრაგა	ტრინიდადი — ეგვიპტე				0:6
18.06.91	ბრაგა	ავსტრალია — სსრკ				1:0
20.06.91	გიმარაეში	ავსტრალია — ეგვიპტე				1:0
20.06.91	გიმარაეში	ტრინიდადი — სსრკ				0:4
ავსტრალია	3	3	0	0	4:0	6
სსრკ	3	2	0	1	5:1	4
ეგვიპტე	3	1	0	2	6:2	2
ტრინიდადი	3	0	0	3	0:12	0

D ჯგუფი

15.06.91	ფარო	ინგლისი — ესპანეთი				0:1
16.06.91	ფარო	სირია — ურუგვაი				1:0
18.06.91	ფარო	ესპანეთი — ურუგვაი				6:0
18.06.91	ფარო	ინგლისი — სირია				3:3
20.06.91	ფარო	ესპანეთი — სირია				0:0
20.06.91	ფარო	ინგლისი — ურუგვაი				0:0
ესპანეთი	3	2	1	0	7:0	5
სირია	3	1	2	0	4:3	4
ინგლისი	3	0	2	1	3:4	2
ურუგვაი	3	0	1	2	0:7	1

მეოთხედფინალი

22.06.91 ლისაბონი	პორტუგალია — მექსიკა		2:1
22.06.91 პორტუ	ბრაზილია — კორეა		5:1
23.06.91 ბრაგა	ავსტრალია — სირია		1:1 (პენ. 5:4)
23.06.91 ფარო	ესპანეთი — სსრკ		1:3

ნახევარფინალი

26.06.91 გიმარაეში	ბრაზილია — სსრკ	3:0
26.06.91 ლისაბონი	პორტუგალია — ავსტრალია	1:0

მატჩი მესამე ადგილისთვის

29.06.91 პორტუ	ავსტრალია — სსრკ	1:1 (პენ. 4:5)

ფინალი. 30. 06. 91. ლისაბონი. 127 000 მაყურებელი

პორტუგალია 0:0 (პენ. 4:2) ბრაზილია

პორტუგალია: ბრასარი, ნელსონი (ტულია 46, კაპუჩო 78), რეი ბენტო, ჟორჟ კოშტა, პაულო ტორესი, პეიშე, რეი კოშტა, ფელი, ფიგუ, ტონი, ფოაო პინტუ

ბრაზილია: როჟერი, ზელაო, ანდრეი, კასტრო, რობერტო კარლოსი, როჟერიგო, მარკუინოსი, ჟაირი, ლუის ფერნანდო (სერჟინიო 61), პაულო ნუნიეში (რამონი 78), ელბერი

მსაჯი: ლამოლინა (არგენტინა)

საუკეთესო მოთამაშე: პეიშე (პორტუგალია); *ბომბარდირი:* სერგეი შერბაკოვი (სსრკ) — 5 გოლი

სარბიელი
სპორტული ლატარია
"CROCO"

ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები

28.04	ლატვია — ალბანეთი	1,6	3,0	5,6
	საქართველო — ნორვეგია	ანგარიში — 5,0		
	ავსტრია — სან მარინო	1,02	9,0	20,0
	0:4	1,7	5,0	2,8

ამხანაგური მატჩები

28.04	ირლანდია — შვედეთი	2,4	2,8	2,7
	გერმანია — შოტლანდია	1,3	4,0	7,5
	რუმინეთი — ბელგია	1,6	3,0	5,6
	სლოვენია — ფინეთი	2,2	2,8	3,1
	ხორვატია — იტალია	2,9	2,8	2,3
	უნგრეთი — ინგლისი	4,4	3,1	1,7
	ჰოლანდია — მაროკო	1,2	5,0	9,0
	დანია — ს. აფრიკა	1,5	3,4	5,6
	პოლონეთი — ჩეხეთი	2,3	2,8	2,9
	საბერძნეთი — შვეიცარია	1,6	3,0	5,6

საფრანგეთის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩი

28.04	სოშო — ლე ავრი	2,2	2,9	3,0

საფრანგეთის თასის ნახევარფინალი

28.04	ნანტი — ნიმი (2)	1,2	5,0	9,0

პორტუგალიის თასის მეშვიდე წრე

28.04	კამპომაიორენსე — მარიტიმუ	2,5	3,0	2,4
	სეტუბალი — ტორენსე	1,15	5,6	10,0

შვედეთის ჩემპიონატი

28.04	აიკ — ჰელსინგბორგი	1,9	2,8	3,8

ჰოკეი. NHL

გაეცნობით ადგილზე

კალათბურთი. NBA

28.04	ორლანდო — ვაშინგტონი	1,1	12,0	5,0
	ატლანტა — ნიუ იორკი	1,4	12,0	2,3
	დეტროიტი — ნიუ ჯერსი	1,1	12,0	5,0
	მინესოტა — ფინიქსი	1,5	12,0	2,0
	მილუოკი — ტორონტო	1,3	12,0	2,8
	პორტლენდი — სიეტლი	1,2	12,0	3,5
29.04	ვაშინგტონი — კლივლენდი	1,9	12,0	1,55
	ნიუ იორკი — ფილადელფია	1,4	12,0	2,3
	მაიამი — ბოსტონი	1,1	12,0	5,0
	ინდიანა — შარლოტი	1,2	12,0	3,5
	ჰიუსტონი — დალასი	1,1	12,0	5,0
	დენვერი — ფინიქსი	3,1	12,0	1,25
	იუტა — გოლდენ სტეიტი	1,15	12,0	4,0
	ვანკუვერი — სან ანტონიო	3,5	12,0	1,2
	ლეიკერსი — პორტლენდი	1,5	12,0	2,0
	საკრამენტო — კლიპერსი	1,05	12,0	7,5

„CROCO“ თმილისის, ქუთაისის, მათუმის, რუსთაველის გარდა

თელავშიც იმუშავებს

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

28 ტური

საუკეთესო მოთამაშე

მამუკა აბრამიძე -ვითა-

სატურნირო ცხრილის ფსკერზე უიმედოდ მოყურყუტე ასკ-მ შეხვედრის პირველ ნახევარში ტოლი არ დაუდო მრისხანე „ვითას“ და 10 ქულითაც მოიტოვა უკან, ხოლო შესვენებაზე 5-ქულიანი უპირატესობით წავიდა. მეორე ტაიმში კი „ვითამ“ დაამარცხა არმიელები 56:19 და შესვენების შემდეგ მდევრის როლში მყოფმა საბოლოოდ 32 ქულის სხვაობით — 89:57 შეძლო აუტსაიდერის დამარცხება. ვითელთაგან ყველაზე მეტად ასკ-ს ყოფილი მწვრთნელი მამუკა აბრამიძე გამოირჩეოდა, რომელმაც ამჯერად მოწინააღმდეგის ამპლუაში ჩაუტარა გაკვეთილი თავის ყოფილ აღსაზრდელებს.

— მამუკა, რით ახსნით პირველ ტაიმში „ვითას“ უსუსურ თამაშს?

— ძნელია, მობილიზებული შეხვდე ისეთ სუსტ მეტოქესთან თამაშს, როცა მოედანზე გასვლამდეც კი დარწმუნებული ხარ გამარჯვებაში.

— მაშინ ერთი კვირის წინ გამართულ შეხვედრას გაგახსენებთ, როდესაც „აზოტთან“ პირწმინდად დათმეთ მატჩი და „ვითასთვის“ გაუგონარი სხვაობითაც (93:66) დამარცხდით. თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე ლიდერთან უკვე მობილიზებულებს უნდა გეთამაშათ, მაგრამ...

— წავაგეთ ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. ჩვენ კი ძალიან სუსტად ვითამაშეთ და შედეგიც ლოგიკური იყო.

— წაგებაც არის და წაგებაც. „ვითა“ ხომ ასეთი დიდი ანგარიშით არასოდეს დამარცხებულა.

— დიდი ანგარიშით წააგებ თუ ერთი ქულით, ამაზე სტატისტიკოსები ამახვილებენ ყურადღებას. პირადად ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, როგორი სხვაობით წააგებ ან მოიგებ? რადგან „აზოტთან“ მატჩის გადარჩენა აღარ შეიძლებოდა, ბოლო 5-6 წუთი გუნდი საერთოდ მოეშვა და დიდი ანგარიშით დამარცხებაც მან განაპირობა.

— დავუბრუნდეთ დღევანდელ შეხვედრას, როდესაც მეორე ტაიმში „ვითამ“ ჩემპიონისათვის შესაფერისი თამაში აჩვენა.

— წაგებული ტაიმის შემდეგ ჩვენი მხრიდან თამაშს აზრი მიეცა. „ვითამ“ სიჩქარე აკრიფა და ფინიშზეც დაუბრკოლებლად მივედით.

— პირადად თქვენს თამაშს როგორ შეაფასებდით?

— დავით უსტიაშვილის დაბრუნების შემდეგ ძირითადად მეორე ნომერზე ვთამაშობ. თუ ტურის საუკეთესო კალათბურთელად დამასახელეთ, შეგიფასებივართ და ეგ არის.

— თქვენზე საუბრისას აღნიშნავენ დაცვაში ნორმალურ თამაშსს, პასისა და სამქულიანების სიზუსტეს, მაგრამ ასევე ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოედანზე თითქმის დადიხართ და სირბილი გიჭირთ...

— ფიზიკურად მოვისუსტებ და ამიტომ მალე ვიღლები. როდესაც მუხლში ძალა აღარ გაქვს, ბუნებრივია, ნელა იმოძრავებ. ხან პირადი და ხანაც გუნდში შექმნილი პრობლემების გამო, თავის დროზე შესაბამისად ვერ მოვემზადე. ამჟამად ვითელები საკალათბურთო დარბაზში საერთოდ არ შევდივართ და ძირითადად ვვარჯიშობთ ვაკეში მდებარე მძლეოსნობის მანეჟში.

— ერთ დროს თქვენი აღსაზრდელების, ასკ-ს კალათბურთელთა შესახებ რას გვეტყვით, შესანიშნავად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ მეორეში ასე ცუდად რატომ გამოიყურებოდნენ?

— ასკ-ს საბაზო გუნდი იყო თბილისის „მართვე“, რომლის მთავარი მწვრთნელი გახლდათ მამაჩემი, ავთო აბრამიძე, მე კი მეორე მწვრთნელად ვმუშაობდი. უმაღლეს ლიგაში ასკ-ს სახელით მოასპარეზე „მართვეს“ მთავარი მწვრთნელები ინიშნებოდნენ და ახლაც ინიშნებიან გუნდის ახალი მფლობელების დაუსაბუთებელი სურვილებიდან გამომდინარე. მე და მამაჩემის გარდა ასკ-ს ხელმძღვანელობდნენ: ზაზა ზამთარაძე, პაატა გურასპაული, სერგო იშხნელი, ზაზა ცაგარეიშვილი. მიუხედავად მწვრთნელთა ხშირი გამოცვლისა, მე-7 ჩემპიონატში ასკ-მ ჩინებულად იასპარეზა და 13 გუნდს შორის მე-6 ადგილზე გავიდა. მე-8 ეროვნულ ჩემპიონატში კვლავ განუკითხაობაა ასკ-ს გუნდში. ზაზა ზამთარაძისა და ზაზა ცაგარეიშვილის სახით უკვე გამოიცვალა ორი მწვრთნელი. ხშირად იცვლებიან მოთამაშეებიც და ამიტომ ძნელდება სასურველი შემადგენლობის დაყენება. აღსანიშნავია ისიც, რომ გუნდმა პირველი წრე საერთოდ გამოტოვა და ბუნებრივია ახალგაზრდა სპორტსმენებზე უარყოფითად იმოქმედა. ჩემი აზრით, ასკ-ს არასტაბილური თამაში მოთამაშეთა და მწვრთნელთა ხშირი ცვლა.

— გულშემატკივრებს თქვენი მსაჯობაც ახსოვთ და, სხვათა შორის, არცთუ ურიგო.

— ვმსაჯობდი ბავშვთა და სტუდენტურ ლიგას. ვმსაჯობდი გართობის მიზნით და არა იმიტომ, რომ პროფესიონალი მსაჯი გამოვსულიყავი. ეს ძალზე ძნელი და დაუფასებელი სპეციალობაა. მე მივხვდი, რომ მსაჯობა ჩემი საქმე არაა და გადავწყვიტე მოედანს მოთამაშედ დავბრუნებოდი.

— ჯერ 26 წელიც არ შეგსრულებიათ, მაგრამ მსაჯობაც მოასწარით და მწვრთნელობაც. სამომავლოდ მოთამაშის ფორმას მსაჯის ფორმით შეცვლით თუ მწვრთნელობას ამჯობინებთ?

— ერთში დარწმუნებული ვარ, რომ უეჭველად კალათბურთში დავრჩები. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

— თქვენი, როგორც ყოფილი არბიტრის აზრით, მსაჯს რა თვისებები უნდა ახასიათებდეს?

— მსაჯი უნდა იყოს გაბედული, სულიერად ვაჟკაცი და თავი ისე უნდა ეჭიროს, რომ კალათბურთელმა შეურაცხყოფის მიყენება ვერ გაუბედოს. მოედანზე მყოფი ნებისმიერი მოთამაშის მიმართ იგი უნდა იყოს ობიექტური. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოთამაშის თვალში მსაჯი ავტორიტეტს კარგავს და მისი მსაჯობაც აქ მთავრდება. თავისი გადაწყვეტილება მსაჯმა ეჭვის ქვეშ არ უნდა დააყენოს, თორემ სიტუაციის გაშწვავება გარანტირებული აქვსშეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ მსაჯმა მოთამაშეს ეს არ უნდა აგრძნობინოს.

როლანდ ლაგუჩიძე

ქართველი კადეტები ფინალში გავიდნენ

გერმანელ თანატოლებთან მძიმე, ოვერტაიმიან შეხვედრაში მარცხის შემდეგ კადეტ კალათბურთელთა ნაკრებს საიმისო ძალა კი შერჩა, ტურნირის მასპინძელი და ჯგუფის მაჩანჩალა, კვიპროსის გუნდი რომ დაემარცხებინა. ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებს ერთობ უყოჩაღიათ და ტურნირის ბოლო დღეს მეტოქის 33-ქულიანი ძლევით ამ ზაფხულს სლოვენიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის უფლებაც მოუპოვებიათ.

აი, სულ ეს არის, რაც გუშინ შევიტყვეთ. დაწვრილებით კი კალათბურთელების თბილისში დაბრუნების შემდეგ გაცნობებთ.

დიმიტრი ნიშნიანიძე

ვაშაკიძე დინამოში, ჩხეიძე — სტუ-ში

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მოთამაშეები ირაკლი ვაშაკიძე და რეზო ჩხეიძე სამშობლოში დაბრუნდნენ და როგორც შევიტყვეთ, კარიერას აქვე, საქართველოში გააგრძელებენ. ვაშაკიძე „დინამოში“ ითამაშებს, ჩხეიძე კი სტუ-შიო — გვითხრა კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ და დასძინა — ორივე მოთამაშე განთავისუფლებულია ყოფილი კლუბებიდან და ეროვნულ ჩემპიონატში სამონაწილეო ლიცენზიის გაცემასაც წინ ვერაფერი დაუდგებაო.

შეგახსენებთ, რომ ეს კალათბურთელები ბოლო დრომდე ისრაელში თამაშობდნენ, საიდანაც საკონტრაქტო ვადის გასრულებისთანავე წამოსულან.

გიორგი ბიკაშვილი

რეგულარული ჩემპიონატი

კემპის მარცხენა და კლივლენდის იმედი

26 აპრილი

პიუსტონი 102:80 ლეიკერსი

პიუსტონი: მობლი (15), დიკერსონი (8), პიპენი (26 ქულა, 6 ჩაჭრა), ბარკლი (20 ქულა, 16 მოხსნა, 6 პასი), ოლაჯუონი (14 ქულა, 8 მოხსნა); მეკი (9), დრიუ (5), ბალარდი (3), კარი (2), მელონი, მილერი

ლეიკერსი: ფიშერი (9), ბრაიანტი (9), რაისი (16), რიდი (2), ონილი (19 ქულა, 12 მოხსნა); ფოქსი (12), ლუ (5), ჰორი (4), ჰარპერი (2), პატერსონი (2), ნაითი, რუქსი

ორგზის ჩემპიონ პიუსტონს აქამდე ზედიზედ სამი თამაში წაეგო. მეოთხე მეტოქეც არ იყო ხელწამოსაკრავი, მაგრამ ჰიუსტონელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ლეიკერსს არათუ ტოლი არ დაუდეს, დაჩაგრეს კიდეც. „ლეიკერსი კარგი გუნდია, თუ საშუალება მიეცი, მაგრად გადაგივლის“ — ამბობდა თამაშამდე ჩარლზ ბარკლი, მაგრამ შიშის ნატამალიც არ ეტყობოდა.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, ყველაფერი ნათელი გახდა. მასპინძლები გაუვალ კედლად აღიმართნენ. მეტოქის მჭიდრო მარწუხებში მოქცეული ლეიკერსი ამაოდ ფართხალებდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველის, სკოტი პიპენის თამაში. გარდა იმისა, რომ ჰიუსტონელთა ფრთა იმ დღეს ორივე გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო, დაცვაშიც გაიბრწყინა. პიპენი 201 სანტიმეტრია, მაგრამ ნებისმიერი ამპლუის მოთამაშის პერსონალური მეურვეობა ძალუძს. ამ შეხვედრაში მას ლეიკერსის მსროლელი და ჯიგარი პირტიტველა კობი ბრაიანტი ერგო და გამოცდილმა ჰიუსტონელმა ჭკუისსასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარა სუპერვარსკვლავ ყმაწვილკაცს. ბრაიანტმა 14 სროლიდან სამი ჩაგდო და 9 ქულას დასჯერდა, ამ სეზონში ყველაზე ცოტას. მოგვიანებით პიპენისგან გაწვალებული ბრაიანტი იტყვის, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ბურთის ნაცვლად აგურებს ვისროდიო.

პიპენს კარგად უმაგრებდნენ ზურგს ჩარლზ ბარკლი და ჰაკიმ ოლაჯუონი. მათ ფარი დაიპყრეს და ლიგის ყველაზე მძლავრი ცენტრი, შაკილ ონილი საკმაოდ კარგად შებოჭეს.

აღსანიშნავია, რომ ამ მატჩის მოგებას მეტოქე გუნდებისთვის ერთიორად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ჰიუსტონი და ლეიკერსი, როგორც მეოთხე და მეხუთე ნომრად განთესილი გუნდები, პლეი ოფის პირველ წრეში ერთმანეთს დაეჯახებიან და ახლა გამწარებით იბრძოდნენ მოედნისა და ფსიქოლოგიური უპირატესობისათვის. გამარჯვებაც დღესდღეობით უფრო ძლიერ გუნდს ხვდა წილად.

გოლდენ სტ. 114:89 საკრამენტო

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (25), ჯემისონი (23 ქულა, 11 მოხსნა)
საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (17)

საკრამენტო მძლავრად მიილტვის პლეი ოფისაკენ და ამ გზაზე ბოლო ხუთი მეტოქეს, მათ შორის გოლდენ სტეიტსაც, სძლია. ახლა აწყვეტილი „მეფეების“ გაკავება ისევ გოლდენ სტეიტმა იკისრა და ეს კარგადაც გამოუვიდა. მით უმეტეს, რომ საკრამენტოს ლიდერი კრის ვებერი ზურგს იტკივებს და ამ შეხვედრაშიც სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს მეტოქის გალაღებას. კარგი იყო „მეომართა“ უპირველესი მექუნძე ჯონ სტარქსი, რომელმაც სეზონში ყველაზე მეტი ქულა შეაგროვა.

იუტა 85:99 ფინიქსი

იუტა: მელუონი (21)
ფინიქსი: ჩეპმენი (23), კიდი (19 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა)

„იუტა ჯაზის“ შინ ძლევა ხუმრობა არაა და ფინიქსი მზოლოდ მესამეა, ვინც ამ სეზონში ეს შეძლო. ფინიქსი მართლა კარგ ფორმაშია და თამაშს თამაშზე იგებს, რაც მათი ლიდერის, ჯეისონ კიდის დამსახურებაა. ამ გამარჯვებით სტუმრებმა უფრო გაიფარეს დასავლეთში მეექვსე ადგილი.

პორტლენდი 93:77 დენვერი

პორტლენდი: ვილიამსი (28)
დენვერი: მაკდაიესი (23)

პორტლენდი გაშწარებით იბრძვის კონფერენციაში პირველობისათვის, ამ ორიოდე კვირის წინ იუტამ რომ წაჰგლიჯა. ამიტომაც მრისხანე მასპინძლებმა ერობაშად დაუპირეს დენვერს გადაყლაპვა და პირველი მეოთხედის შემდეგ 15 ქულას უგებდნენ, პირველი ნახევრის შემდეგ — 22-ს. მერე კი, გული რომ მოიოხეს, შედარებით დაწყნარდნენ.

კლიპერსი 88:94 სან ანტონიო

კლიპერსი: პიატკოვსკი (27)
სან ანტონიო: დენკანი (22), ჯეკსონი (21)

კლიპერსს წინა ორი თამაში მოეგო, მაგრამ ახლა სან ანტონიოსთან ერიკ პიატკოვსკიმაც ვერ უშველა თავისი 27 ქულით. მასპინძელმა ზედიზედ მეშვიდედ მოიგო.

დალასი 101:93 ჩიკაგო

დალასი: ფინლი (28 ქულა, 11 მოხსნა), სტრიკლენდი (20), ბრედლი (14 ქულა, 17 მოხსნა, 6 დაფარება)
ჩიკაგო: კუკოჩი (26)

ბეჩავი ჩემპიონი, „ჩიკაგო ბულზი“ ბოლო მეოთხედის დაწყებამდე 74:66 იგებდა, მაგრამ ამ გასაცოდავებულ გუნდს გამარჯვება არ ეწერა. ფინიქსელთა ლიდერი მაიკლ ფინლი შედეგიანად წაუძღვა მასპინძელთა ჩიკაგოს ფარისკენ ლაშქრობას და რვაქულიანი ჩამორჩენა ამდენივექულიან უპირატესობად აქცია.



AP სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — ფინიქსი. ჯეისონ კიდი (№32) იუტელ ჯონ სტოქტონს გაექცა

მილუოკი 99:91 ვაშინგტონი

მილუოკი: რობინსონი (31)
ვაშინგტონი: ტორპი (18)

ამ შეხვედრის მოგება მილუოკის უფრო სჭირდებოდა და ეს გამარჯვება ერთობ გაძალიანებულ დედაქალაქელებს ბოლო მეოთხედში გამოჰ გლიჯა ხელიდან.

კლივლენდი 65:90 მაიამი

კლივლენდი: ანდერსონი (14)
მაიამი: მურნინგი (23 ქულა, 12 მოხსნა)

კლივლენდმა ზედიზედ მეხუთედ წააგო, მაგრამ წინა ოთხისგან განსხვავებით გუნდის უპირობო ლიდერი შონ კემპი მოისაკლისა. ამ საპლეიოფო ციებ-ცხელებაში კლივლენდს ცუდი ამბავი შეემთხვა, უფრო სწორად, შონ კემპს. მან წინა მატჩში მარცხენა ხელი მოიტეხა. ამით სეზონიც დაასრულა და თავისი გუნდის პლეი ოფში მოხვედრის იმედიც დაასამარა.

შარლოტი 84:91 ნიუ იორკი

შარლოტი: ფილზი (20), ვესლი (18 ქულა, 11 პასი)
ნიუ იორკი: სპრიუელი (21)

აღმოსავლეთში პლეი ოფის ბოლო, მერვე საგზურისთვის ერთობაშად ოთხი გუნდი იბრძვის და ამათგან ნიუ იორკსა და შარლოტს მეტი შანსები ჰქონდათ, ვიდრე კლივლენდსა და ტორონტოს. ამ შეხვედრამ ბევრი რამ გამოარკვია. ნიუ იორკმა დაძაბულ ბრძოლაში სძლია მასპინძლებს და ამით პლეი ოფისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა.

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი	მ	ო	%
მაიამი*	30	14	68,2
ორლანდო*	29	17	63,0
ფილადელფია	25	19	56,8
ნიუ იორკი	24	21	53,3
ბოსტონი	18	27	40,0
ვაშინგტონი	16	29	35,6
ნიუ ჯერსი	14	30	31,8
ცენტრალური დივიზიონი			
ინდიანა*	29	16	64,4
ატლანტა*	28	17	62,2
მილუოკი	25	20	55,6
დეტროიტი	24	20	54,5
შარლოტი	22	22	50,0
ტორონტო	22	22	50,0
კლივლენდი	21	23	47,7
ჩიკაგო	12	34	26,6

დასავლეთის კონფერენცია

შუა დასავლეთის დივიზიონი			
იუტა*	34	11	75,6
სან ანტონიო*	32	12	72,7
ჰიუსტონი*	28	17	62,2
მინესოტა	22	23	48,9
დალასი	16	29	35,6
დენვერი	14	31	31,1
ვანკუვერი	8	37	17,8
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
პორტლენდი*	33	11	75,0
ლეიკერსი*	27	19	58,7
ფინიქსი	24	21	53,3
საკრამენტო	22	23	48,9
სიეტლი	21	23	47,7
გოლდენ სტეიტი	20	25	44,4
კლიპერსი	9	36	20,0

** — გავიდნენ პლეი ოფში*



REUTERS მაესტრის ტიდან

მიკაელ ბოგერდი ჯერ მეორეა, მერე კი თანაგუნდელების დახმარებით ამერიკელ ლანს არმსტრონგსაც აჯობა და ეტაპიც მოიგო

კოლექტივო მხარი — მხარს!

გაზაფხულზე გამართული მსოფლიოს თასის ხუთი ეტაპიდან ერთზე მეტის მოგება ვერც ერთმა გუნდმა შეძლო. ქვეყნების მიხედვით კი ყველას ბელგიამ აჯობა — სამი გამარჯვება. მიუხედავად ბელგიელთა წარმატებებისა, ველორბოლა მაინც გუნდური სპორტია და მარტოკაცი მნიშვნელოვან მიღწევაზე ვერც კი იოცნებებს. ამის დასტურად თუნდაც პარიზი-რუბესა და ამ კვირას გამართული „ამსტელ გოლდ რეისის“ ეტაპები გამოდგება. პირველში „მაპეიმ“ ისე იასპარეზა, რომ სხვებს არანაირი შანსი არ დაუტოვა, მეორემ კი „რაბობანკის“ აშკარა უპირატესობით ჩაიარა და საფინიშო სპრინტში მიკაელ ბოგერდმაც იმიტომ იმარჯვა ლანს არმსტრონგზე, რომ 253 კმ-იან დისტანციაზე თანაგუნდელებმა მას საკმაოდ დააზოგინეს ძალები. თუმცა მსოფლიოს თასის დანარჩენი სამი ეტაპიც სპორტსმენებმა კარგი გუნდური მოქმედებების შედეგად მოიგეს.

დავუბრუნდეთ კვირას ჰოლანდიაში გამარჯვებული ბოგერდს. იგი და ამერიკელი არმსტრონგი თოთხმეტკაციან ჯგუფს (რომელშიც ჰოლანდიელის 4 თანაგუნდელი იყო, ამერიკელის კი არც ერთი) ფინიშამდე 40 კილომეტრით ადრე გამოეყვნენ. ცოტა ხანში მათ შვეიცარიელი მარკუს ზბერგი (რაბობანკი) და იტალიელი გაბრიელე მისაგლია (ლამპრე) დაეწივნენ. ზბერგმა ბოგერდს დასვენების საშუალება მისცა და როცა 238-ე კილომეტრზე არმსტრონგი შეტევაზე გადავიდა, რაბობანკელს გამოდევნება არ გასჭირვებია. იგი მეტოქეს ბორბალში ჩაუჯდა და სპრინტისთვის მომზადა. ამერიკელმა ამის გამო სიჩქარე შეანელა და ფინიშამდე 6 კილომეტრით ადრე ზბერგსა და მისაგლიას დაწევის საშუალება მიეცათ.

არავინ იცის, ვინ მოიგებდა, რომ არა ვიღაც მოტოციკლიანი მაყურებელი, ვისაც მრბოლელთათვის ფოტოსურათის გადაღება სურდა. მას შვეიცარიელი და იტალიელი შეეჯახნენ და პირველობისთვის ბრძოლასაც გამოეთიშნენ. საფინიშო სპრინტი კი, როგორც უკვე გითხარით, უფრო ძალაშერჩენილმა ჰოლანდიელმა მოიგო.

გაიოზ თალაძვაძე

საბოლოო შედეგები

1 მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 6სთ, 37წთ და 23წმ
2 ლანს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — იგივე დრო
3 გაბრიელ მისაგლია (იტალია, ლამპრე) — ჩამორჩა 16 წამით
4 მაარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) — იგივე დრო
5 დიორად რუ (საფრანგეთი, კაზინო) — იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ფრანკ ვანდენბრუკი (ბელგია, კოფიდისი) — 199 ქულა
2 მიკაელ ბოგერდი (ჰოლანდია, რაბობანკი) — 170
3 ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — 168
4 პეტერ ვან პეტეგემი (ბელგია, TVM) — 135
5 ზბიგნევ სპრუში (პოლონეთი, ლამპრე) — 124

ვირანკი თოვლს დაედარა, სპეტაკი ვარო

შარშან „ტურ დე ფრანსის“ დროს ატეხილი სკანდალი კვლავ გრძელდება. ალბათ, გახსოვთ, მაშინ ბელგია-საფრანგეთის საზღვარზე ფრანგული გუნდის, „ფესტინას“ ბელგიელი ექიმი ვილი ვოე დააკავეს. მას მანქანაში დიდი რაოდენობით დოპინგი აღმოაჩნდა. ველოსიპედისტთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის დაწყებამდე ერთი დღით ადრე მომხდარი ეს ამბავი მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ეს იმიტომ, რომ ველოსპორტის ამ სენის შესახებ პირველად გაცხადდა საქვეყნოდ, თორემ დიდი ხნის განმავლობაში ამ სპორტში დაკავებული თითქმის ყველა პიროვნება საქმის კურსში იყო.

ამის დასტურია თუნდაც სამშაბათს ფრანგულ სპორტულ გაზეთ „ეკიპში“ გამოქვეყნებული სამედიცინო შემოწმების შედეგები — „ფესტინას“ ყველა წევრს, გარდა კრისტოფ მოროსი, „ტურ დე ფრანსის“ დროს ჩაბარებულ ყველანაირ ანალიზში დოპინგის კვალი აღმოაჩნდა. ისინი ერითროპუაეტინს, კორტიზონსა და ჰიდროკორტიზონს იღებდნენ.

ამის საფუძველზე თავის დროზე საფრანგეთის ჩრდილოეთში, ბელგიის საზღვართან მდებარე ქალაქ ლილის პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა, რომელსაც გამომძიებელი კეილი იკვლევს. სამართალდამცავმა უკვე ბევრი მოწმისა და ეჭვმიტანილის დაკითხვა მოასწრო და ალბათ ბევრი რამეც გაარკვია, თუმცა ჟურნალისტებს არაფერს ეუბნება. მან ადრე „ფესტინას“ ლიდერი რიშარ ვირანკიც გამოიძახა მოწმედ. ახლა კი ფრანგ ველომრბოლს ფრანგმა გამომძიებელმა სტატუსი შეუცვალა და ეჭვმიტანილთა სიაში შეიტანა. მისი დაკითხვის შემდეგ კეილმა განაცხადა, რომ სპორტსმენს, რომელსაც ბრალად დოპინგის კონტრაბანდა, შენახვა და გავრცელება ედება, 6 მაისს დაუპირისპირებს ვილი ვოეს. ამ შეხვედრისგან კი ნამდვილად ბევრი რამ გაირკვევა.

თავად ვირანკი კი ყველანაირ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ ისევე სუფთაა, როგორც თოვლი. თუმცა თოვლი ხანდახან შეიძლება ტალახმაც წაბილწოს.

გაიოზ თალაძვაძე

ბედის ირონია ანუ გაამოს

სარბიელის არქივიდან

ევგენი კაფელნიკოვი

ქვემორე კლასიფიკაციაში კაცებს შორის პირველ ადგილზე პიტ სამპრასს კი იხილავთ, მაგრამ მომავალი ორშაბათიდან, წლეულს უკვე მეორედ, ამერიკელი ტახტს დათმობს. რჩეულთა ნუსხის ანომალიის შესახებ თუ არაფერი გსმენიათ, „პისტოლ პიტის“ შემცვლელის ვინაობას ვერაფრით მიხვდებით: ევგენი კაფელნიკოვმა ბოლო სატურნირო მატჩი 26 თებერვალს მოიგო, მას შემდეგ ხუთჯერ პირველივე წრეში დამარცხდა, მაგრამ რაკიღა შარშან ამ დროს კონკურენტებზე გაცილებით ნაკლებად გამოეჩინა თავი, ძეხვსაც სწორედ ის შესწვდა.

„კაფელნიკოვი ისტორიაში მე-16 პირველი ჩოგანი აუცილებლად გახდება. სამპრასს 3 მაისიდან 3367 ქულა დარჩება, კაფელნიკოვი კი თავის 3382 ქულას შეინარჩუნებს“ — ნათქვამია ATP-ის განცხადებაში.

გახსოვთ, იანვარში ავსტრალიის ღია პირველობაზე გამარჯვების შემდეგ სოჭელმა ჟენიამ ღიმილით რა თქვა? „ბოლოს ერთ ადამიანს მივმართავ — პიტ, ეს ნამდვილად დიდი, შესანიშნავი გრძნობაა. გმადლობ, რომ ამის გაკეთება დამანებე“. კაფელნიკოვს სრული უფლება აქვს, ეს კიდევ ერთხელ გაიმეოროს — თუ 25 წლის რუსი თავის ტრიუმფს მელბურნში სამპრასის არყოფნას უკავშირებდა, საუკეთესოთა სიის სათავეში მოქცევასაც ისევ ამერიკელს უნდა უმადლოდეს.

სამპრასმა შარშან ატლანტის ღია პირველობაზე გამარჯვებით თავის აქტივს 172 ქულა შემატა, მაგრამ ზურგის ტრავმის გამო იქ ასპარეზობა წლეულს ვერ მოახერხა, რასაც ქულების ჩამოკლება და შესაბამისად, კაფელნიკოვის ზეობა მოჰყვა — პირველი რუსული ჩოგბურთის ისტორიაში.

ავთანდილ სვანიძე

კლასიფიკაცია

კაცები			ქალები		
1.1	პიტ სამპრასი (აშშ)	3511	1.1.	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	5763
2.3.	ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	3382	2.2.	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	5098
3.5.	ალექს კორეტხა (ესპანეთი)	3016	3.3.	მონიკა სელეში (აშშ)	4033
4.6.	პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	2978	4.4.	იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	3885
5.4.	რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	2958	5.5.	შტეფი გრაფი (გერმანია)	3079
6.2.	კარლოს მოია (ესპანეთი)	2944	6.7.	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	3016
7.7.	ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	2633	7.6.	ვინუს უილიამსი (აშშ)	2990
8.13.	მარსელო რიოსი (ჩილე)	2422	8.8.	მარი პირსი (საფრანგეთი)	2131
9.8.	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	2292	9.10.	პატი შნიდერი (შვეიცარია)	2083
10.9.	კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)	2253	10.9.	სერენა უილიამსი (აშშ)	2080
11.10.	ანდრე აგასი (აშშ)	2219	11.11.	ნატალი ტოზია (საფრანგეთი)	2050
12.11.	ტოდ მარტინი (აშშ)	2216	12.12.	სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1994
13.12.	გრეგ რუზეცკი (ინგლისი)	2126	13.13.	ანა კურნიკოვა (რუსეთი)	1947
14.14.	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	2101	14.14.	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	1859
15.17.	ფელიქს მანტია (ესპანეთი)	2068	15.15.	დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)	1816
16.19.	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	2053	16.16.	ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	1815
17.15.	ტომას ენკვისტი (შვედეთი)	1982	17.20.	ირინა სპირლეა (რუმინეთი)	1687
18.16.	გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)	1929	18.17.	ნატაშა ზვერევა (ბელარუსი)	1670
19.18.	ტომას იოჰანსონი (შვედეთი)	1650	19.18.	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	1625
20.20.	ტომი ჰაასი (გერმანია)	1614	20.19.	ბარბარა შეტი (ავსტრია)	1593
21.21.	ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი)	1610	21.21.	ჟული ალარი (საფრანგეთი)	1410
22.25.	ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი)	1494	22.22.	ელენა ლიხოვცევა (რუსეთი)	1403
23.23.	ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1459	23.23.	ჩანდა რუბინი (აშშ)	1309
24.24.	უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა)	1339	24.24.	ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი)	1275
25.25.	იონას ბიორკმანი (შვედეთი)	1258	25.25.	სილვია ფარინა (იტალია)	1139
26.33.	ვინსენტ სპედეა (აშშ)	1207	26.26.	მაუი სერნა (ესპანეთი)	1063
27.22.	სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი)	1189	27.27.	აი სუგიამა (იაპონია)	987
28.28.	მარკ როსე (შვეიცარია)	1181	28.30.	ნატალი დეში (საფრანგეთი)	883
29.26.	მარატ საფინი (რუსეთი)	1172	29.29.	ანკე ჰუბერი (გერმანია)	875
30.29.	იან სიმერინკი (ჰოლანდია)	1127	30.31.	ემი ფრეზერი (აშშ)	856

ვინ რამდენი დოლარი მოიხვეჭა 1999-ში

1.	ევგენი კაფელნიკოვი	701115	1.	მარტინა ჰინგისი	969321
2.	რიჩარდ კრაიჩეკი	584159	2.	სერენა უილიამსი	510413
3.	გუსტავო კუერტენი	582756	3.	ვინუს უილიამსი	435974
4.	მარკ ფილიპუსისი	515167	4.	იანა ნოვოტნა	328381
5.	ჟერომ გოლმარი	376006	5.	ანა კურნიკოვა	297354
6.	ტომას ენკვისტი	370178	6.	ლინდსი დევენპორტი	288977
7.	კარლოს მოია	365909	7.	მონიკა სელეში	281360
8.	ტიმ ჰენმანი	330909	8.	შტეფი გრაფი	274349
9.	უეინ ბლექი (ზიმბაბვე)	276006	9.	ამელი მორესმო	253230
10.	ტომი ჰაასი	275766	10.	ამანდა კუტცერი	195268
11.	ტოდ მარტინი	240502	11.	ელენა ლიხოვცევა	169520
12.	გრეგ რუზეცკი	230416	12.	ნატაშა ზვერევა	149699
13.	ნიკოლას კიფერი	229844	13.	პატი შნიდერი	144498
14.	სენდონ სტოლი (ავსტრალია)	223951	14.	ბარბარა შეტი	133154
15.	სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი)	223907	15.	მარი პირსი	119275

ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲛᲐ ᲛᲔᲚᲝᲣᲜᲘ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ ᲓᲐᲐᲧᲔᲜᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ ᲠᲘᲜᲒᲖᲔᲪ ᲧᲝᲩᲐᲦᲝᲑᲡ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ რინგზე გიორგი კანდელაკის მორიგ გამარჯვებაზე გუშინ მოკლედ გაუწყეთ. ისიც გითხარით, გიორგი გვიან ღამით დაბრუნდება ბრიტანეთიდანო. კანდელაკი, როგორც სჩვევია, აეროპორტიდანვე გაეშურა მშობლიური ვარიანისკენ, სადაც რამდენიმე დღით დაისვენებს და მერე კვლავ ლონდონისკენ აიღებს გეზს.

ვიდრე გიორგი მომავალი ბრძოლისთვის მზადებას დაიწყებს, მანამდე ვარიანში შევეხმიანეთ და ახლახან გამართულ შეხვედრაზე დავეკითხეთ:

— შვიდიდან შვიდი გამარჯვება ჩინებული შედეგია, აქედან ექვსი შეხვედრა ნოკაუტით მოიგე და ყველა მეორე რაუნდში. შენს ამჟამინდელ მეტოქეზე ვიცოდით, რომ სლოვაკია და პროფებში თერთმეტი ბრძოლიდან ცხრაში უმარჯვია, თუმცა შენთან ვერაფერს გახდა. მაინც როგორი ბიჭი იყო და როგორ წარიმართა ბრძოლა?

— ჯერ იმას გეტყვით, რომ ბრძოლა ინგლისის ჩრდილოეთში, ქალაქ პეტერბოროში გაიმართა. იმ დღეს რინგზე ცხრა წყვილი გავიდა და მაყურებელმაც კარგი ჩხუბები იხილა. ჩემი და სლოვაკი ლასლო პასტერკოს შეხვედრა რიგით მესამე იყო. პასტერკო საკმაოდ გამოცდილი მოკრივეა, მას ლენოქს ლუისის წინააღმდეგაც გაუქნევია მუშტი. რინგზეც თავდაჯერებული გამოვიდა, მაგრამ, ტრაბახში არ ჩამომართვათ, პირველივე რაუნდში მოვუთავე ხელი.

— კი მაგრამ, მეორე რაუნდში არ დაანოკაუტე?

— ჰო, ეგრე იყო, თუმცა პირველ რაუნდში ოთხჯერ გავგზავნე ნოკდაუნში და მეორე რაუნდში აღარაფრის თავი ჰქონდა, მეც შანსი აღარ დავუტოვე და ნოკაუტით მოვიგე.

— შენი ინგლისელი მენეჯერი ფრენკ მელოუნი კმაყოფილი დარჩებოდა...

— მელოუნი, გარდა იმისა რომ მენეჯერია, ამ ბრძოლისას სეკუნდანტობასაც მიწევდა. ცხადია, ჩხუბის მერე კმაყოფილი იყო. მით უფრო, რომ შეხვედრას ერთ-ერთი ინგლისური ტელეარხიც გადასცემდა.

— ინგლისური პრესა თუ გამოეხმაურა ამ შეხვედრას?

— საკმაოდ ბევრი დაიწერა და შემაქეს კიდეც. თქვენი კოლეგები განსაკუთრებით იმას აღნიშნავდნენ, რომ მეექვსედ მოვიგე ნოკაუტით.

— გიორგი, ხომ გაგიგონია, კაცს ქებამ აწყინაო...

— მართალი ხარ, ზედმეტი არაფერი ვარგა. ადამიანს, გამორჩევით კი სპორტსმენს, სიამოვნებს, თავის თავზე კარგს რომ წაიკითხავს, არც მე ვარ გამონაკლისი, მაგრამ ვინც მიცნობს, ყველამ იცის, ქება-დიდებას არასდროს გავუყოყლოჩინებივარ, ამჯერადაც ასეა. ჩემი საქმეა, რინგზე რიგიანად ვიჩხუბო, ჟურნალისტებმა კი თქვენი საქმისაც კარგად იცით.

— ლასლო პასტერკოს დამარცხებით რეიტინგშიც წინ წაიწევდი...

— ღვთის მადლით, სარეიტინგო ქულების ნაკლებობას არ ვუჩივი, პროფესიულ კრივშიც ნელ-ნელა ვიმკვიდრებ ადგილს. რა თქმა უნდა, პასტერკოს დამარცხებითაც ქულათა გარკვეული მარაგიც დამემატა.

— მელოუნი რას გეუბნება, ცნობილ მოკრივეებს როდის შეგახვედრებო?

— როცა თორმეტრაუნდიანი ბრძოლისთვის ვიქნები მზად.

— მერე, არ შეგიძლია, თორმეტ რაუნდს გაუძლო?

— ჯერჯერობით არა, მანამდე ბევრი უნდა ვიშრომო, უპირველესად ფიზიკურად უნდა მოვლონიერდე და გამძლეობასაც მეტი ყურადღება მივაქციო. მერე კი თამამად შეიძლება სახელოვან მოკრივეებთან შებრძოლება.

— მალე კვლავ ლონდონს გემგზავრები, მომავალი შეხვედრა როდისაა დაგეგმილი?

— ინგლისში 4 მაისს წავალ. ბრძოლა, სავარაუდოდ, 22-ში გაიმართება, ოღონდ, როგორც ფრენკ მელოუნმა მითხრა, ამჯერად შოტლანდიაში ვიჩხუბებ.

სოსო კოტორეიშვილი

ᲮᲣᲗᲭᲘᲓᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲩᲜᲓᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲐᲒᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲔᲕᲐᲭᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ გერმანიამ თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპს უმასპინძლა. იქ ერთდროულად ორი ქართველი ასპარეზობდა — დავით ჭულუხაძე საქართველოს ღირსებას იცავდა, ვახტანგ იაგორაშვილი კი შეერთებული შტატებისას. გერმანიიდან დაბრუნებული ჭულუხაძის მწვრთნელი ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲨᲔᲠᲝᲖᲘᲐ იქაურ ამბებზე გვესაუბრება.

— შეჯიბრების პირველ დღეს დათომ სროლაში, ფარიკაობასა და ცხენოსნობაში იასპარეზა. კარგად დაიწყო, მაგრამ ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა, ყაზახმა ბარიგინმა ფარიკაობისას უნებლიეთ დაშნით ფეხში დაჭრა. ჭრილობა არცთუ ისე უმნიშვნელო გამოდგა. დათომ ამის შემდეგ რიგიანად კი იცურავა, მაგრამ რბენისას ტკივილის გამო დისტანცია ვერ დაამთავრა და შეჯიბრსაც გამოეთიშა. თვით გერმანელთა წამლობამაც ვერ უშველა. ჭულუხაძეს ფინალში გასვლა შეეძლო, საბოლოოდ კი მეოცე ადგილზე დარჩა.

— ეს რომ არ შემთხვეოდა, დაახლოებით რომელ ადგილს დაიკავებდა?

— ვფიქრობ, მე-10-მე-11 ადგილების დაკავებაც შეეძლო, რადგან საუკეთესო შედეგებს ცურვაში აღწევს.

— გატყობთ, შედეგებით კმაყოფილი ბრძანდებით...

— დიახ. დათო ფარიკაობაში მოიკოჭლებდა, ახლა კი მოუმატა და 900 ქულას აგროვებს. მისი შედეგები მსოფლიოს საუკეთესო ათეულისას შეესაბამება.

— ალბათ ოლიმპიურ ლიცენზიაზეც ფიქრობთ...

— მაისში პოლონეთში ევროპის, ცოტა მოგვიანებით კი ბუდაპეშტში მსოფლიოს ჩემპიონატებია. წლეულს ლიცენზიებს მიიღებენ მხოლოდ მათი ჩემპიონები. გაისად კი მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიცენზიას საუკეთესო ათეული მიიღებს. სულ კი ოლიმპიადაში 16 მონაწილე გამოვა. დარჩენილი ლიცენზიები რეგიონულ თამაშებში განაწილდება. მაგალითად, მას მიიღებს პანამერიკული თამაშების ჩემპიონიც. ჩვენც ლიცენზიის მოპოვების იმედი გვაქვს.

— ევროპის ჩემპიონატზე წასასვლელი ფულის შოვნის იმედი თუ გაქვთ?

— სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანი დაგვპირდა, აუცილებლად დაგაფინანსებთო. იმედია, ასეც იქნება.

— გერმანიაში ვახტანგ იაგორაშვილმაც იასპარეზა...

— ნახევარფინალში მას მეორე შედეგი ჰქონდა, მაგრამ ფინალში არ გაუმართლა და საბოლოოდ მე-15 ადგილზე გავიდა. თუმცა სუპერფინალში მაინც მოხვდა, რადგან მანამდელი ეტაპებიდან სან ანტონიოში გაიმარჯვა, ხოლო მექსიკაში მეორე იყო. საერთო შედეგით მე-5-მე-6 ადგილებს იყოფს. ახლა ის 35 წლისაა, მაგრამ მსოფლიოში მაინც ერთ-ერთი უძლიერესია. ჩვენს სახეობაში კი ოპტიმალური ასაკი 28-30 წელია.

— ოლიმპიადაზე თუ ისაუბრეთ: აპირებს თუ არა სიდნეიში გამოსვლას და ვისი სახელითო?

— მას ჯერ შტატების მოქალაქეობა არ მიულია. ამერიკელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მითხრა, როგორც კი ბუდაპეშტის მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიცენზიას მოიპოვებს, მოქალაქეობასაც მისცემენო. ის უკვე შვიდი წელია, იქ ცხოვრობს, ყველა შეჯიბრზე მათი სახელით გამოდის და ამერიკელებსაც სურთ, ოლიმპიადაზეც ასე იყოს.

ირაკლი თავაძე

ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲔᲖᲐᲠᲔᲑᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲒᲝᲜᲐᲗ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲝᲣᲒᲔᲑᲓᲜᲔᲜ

„ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘᲡ“ ძიუდოისტები ევროპის საკლუბო ჩემპიონატის პირველივე წრეში თურქულ „ისთანბულთან“ რომ დამარცხდნენ, გუშინ გამცნეთ. წაგება, იცოცხლეთ, გულდასაწყვეტია, მაგრამ სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარე ბერდია გუგავა განსაკუთრებულადაა აღშფოთებული, მოჭიდავებს ყველა პირობას ვუქმნით სავარჯიშოდ, შედეგი კი არააო. ამ კაცის მოწადინებაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოდან მხოლოდ „შევარდენი“ ასპარეზობს ევროტურნირებში. „მე კომერციულ უწყებებს ვაწუხებ, მათი ხელფასებისთვის ამ ხალხს ფულს გამოვთხოვ, ესენი კი ჭიდაობას იზარებენ. მათი პროფესიონალიზმი ძალიან მოიკოჭლებს, ჰოდა, ეს ხელფასებზეც აისახება“ — გვითხრა მან და დასძინა, რომ მთელი მონდომებით ნესტორ ხერგიანმა, დავით მარგოშვილმა და დავით ნადარაიამ იჭიდავეს.

თურქეთში დავით ნადარაიამ, სოსო ლიპარტელიანმა და გია გუგავამ მათთვის უწვეულო, მაღალ წონებში იჭიდავეს. ბერდია გუგავამ ეს ტაქტიკური მოსაზრებით ახსნა: „ამაზე ბიჭებსაც ვესაუბრეთ და გადაწყვეტილება ისე მივიღეთ. ქულებს ძირითადად „ისთანბულის“ ქართველებთან შეხვედრებში ვგეგმავდით. ამით მეტოქეს სიურპრიზსაც ვუმზადებდით. საბოლოოდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა. სიურპრიზის ნაცვლად ეს შეცდომა აღმოჩნდა“.

სხვისი არ ვიცი, მე კი ამ ნაბიჯისა მაინც ვერაფერი გავიგე. როგორ იქნებოდა სიურპრიზი ან რისი იმედით გეგმავდნენ მოგებას, როცა მეტოქეებს მათთვის ჩვეულ, ჩვენებს კი უჩვეულო წონებში უნდა ეჭიდავათ. მაგრამ ახლა გვიანღაა თითზე კბენანი. „შევარდენმა“ წაგო და მომავალ სეზონამდე გამოემშვიდობა ევროტურნირებს. იმედია, სამომავლოდ მწვრთნელები აღარ შეცდებიან, მაგრამ თუ თავად ბიჭები წლევანდელივით ზერელედ მოეკიდნენ საქმეს, ღირს კი იმ გაისადაც ევროტურნირში მონაწილეობა და ფულის ხარჯვა? კლუბის ამაგი თუ არა, ქვეყნის პრესტიჟი ხომ მაინც უნდა აღელვებდეთ.

„შევარდენმა“ 1:5 წააგო. არადა, დასაწყისი იმედიანი იყო. ევროპის ჩემპიონმა ნესტორ ხერგიანმა (60), რომ იტყვიან, მუნდირის ღირსება დაიცვა და ტიტულის საკადრისად იჭიდავა. მასპინძელი ყურბანოღლუ მთელი შეხვედრა მედგრად კი ედგა, მაგრამ ორთაბრძოლის მიწურულს ნესტორმა მაინც შებოჭა. წმინდა მოგება და „შევარდენი“ დაწინაურდა.

66-ში ახალგაზრდა დავით მარგოშვილს რევაზიშვილ-ვაზაგაშვილის რისხვა, ჰუსეინ ოზგანი შეხვდა. ევროპის ახალგაზრდულმა ჩემპიონმა მარგოშვილმა ყველაფერი გაიღო მოსაგებად, მაგრამ ძალამ აღმართი დახნა და თურქემაც ანგარიში გაათანაბრა.

გიორგი ვაზაგაშვილისთვის (73) გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია — მოგების შემთხვევაში თითქმის ინაღდებდა ადგილს საევროპისჩემპიონატო ნაკრებში. მის იმედებს ციცი წყალი გადაასხა ჩეჩენმა ევროპის პრიზიორმა ისლამ მაციევმა. მან ქულებით სუფთადაც მოიგო, თავისიანებიც დააწინაურა. და ვაზაგაშვილის ევროპის ჩემპიონატზე წასვლის იმედებსაც წყალი შეუყენა.

თითმოტეხილმა დავით ნადარაიამ (81) გულიანად და შემართებით კი იჭიდავა ირაკლი უზნაძესთან, მაგრამ გამოცდილებამ აქაც თავისი გაიტანა და „თურქმა“ უზნაძემ უფრო დაწინაურა მასპინძლები. ეს იყო პირველი ქართული შეხვედრა, მაგრამ მასში მაინც თურქეთში ნატურალზებული ქართველი მონაწილეობდა, მომდევნო ორ წონაში კი „სუფთად“ ქართული ორთაბრძოლები გაიმართა.

90-ში სოსო ლიპარტელიანმა ფრედ დაასრულა შეხვედრა გიორგი წმინდაშვილთან და „შევარდენს“ თეორიული შანსი შეუნარჩუნა. ვფიქრობთ, 100 კგ-ში ანაცვლებულ გია გუგავას წმინდაშვილთან მოგების მეტი შანსი ჰქონდა. ის ხომ წონის ლიდერია და წმინდაშვილისთვისაც არაერთხელ მოუგია. „შევარდენის“ წაგება სწორედ გუგავამ (100) „გააფორმა“ ივერი ჯიქურაულთან წაგებით. ბერდია გუგავამ ჩვენთან საუბრისას არც ნათესავი — გია დაინდო უპასუხისმგებლობისა და უგერგილო ჭიდაობისთვის. რამაზ ჩოჩიშვილს (მძიმე) მოიგებდა თუ წააგებდა, აღარაფრის შეცვლა შეეძლო და... იგიც სუფთად დამარცხდა.

ირაკლი თავაძე

ᲡᲐᲓ ᲙᲣᲠᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓ ᲫᲘᲣᲓᲝ?

ᲒᲣᲨᲘᲜ ტაშკენტში, უზბეკთა ეროვნულ ჭიდაობა კურაშში მსოფლიოს ჩემპიონატში საასპარეზოდ გაფრინდნენ ძიუდოისტები ჯონდო მუზაშვილი (73) და ლევან ციგრიაშვილი (81).

მუზაშვილი საევროპისჩემპიონატო ნაკრების კანდიდატია. აქ გაურკვეველი მხოლოდ ეს წონაა, სადაც მისი კონკურენტი გიორგი ვაზაგაშვილია. ნაკრების მწვრთნელი ამ ჩემპიონატს მის გამოსაცდელად იყენებს. საკითხავია, გამოსცდის კი ძიუდოისტს კურაში? ეს სახეობები რომ მსგავსნი იყვნენ, მაშინ უზბეკ ძიუდოისტებს ცოტა ვინმე თუ დაუდგებოდა. მართალია, ყოველგვარი ხარჯები მასპინძლებმა იკისრეს (რა ენაღვლებათ, ფული აქვთ და საკუთარ ჭიდაობასაც პატრონობენ) მაგრამ იქ დელეგაციის გაგზავნას იქნებ სჯობდა, აქ დანიშნულიყო საკონტროლო შეხვედრა მუზაშვილსა და ვაზაგაშვილს შორის? თუმცა, როგორც ფედერაციაში მითხრეს, ასეთი შეხვედრა მართლაც დაგეგმილია, ოღონდ ამ ორის გარდა მასში რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდაც იჭიდავებს.

ირაკლი თავაძე

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘ... ᲙᲐᲜᲤᲔᲢᲔᲑᲘᲗᲘᲗ

ᲐᲜᲙᲐᲠᲘᲡ საერთაშორისო ტურნირიდან ჭაბუკ ქართველ ძიუდოისტთა გუნდი დიდი ნადავლით დაბრუნდა — 21-დან 17-მა ძიუდოისტმა მედალი ჩამოიტანა. ჩემპიონები გახდნენ გიორგი მეზვრიშვილი (50), ნიკა ელჩიევი (55), ზეზვა ებელაშვილი (60), დავით ქევხიშვილი (66) და დავით ხანჯალაშვილი (+90). მეორე ადგილზე გავიდნენ რუსლან გედენიძე (50), დავით სახვაძე (55), ზვიად თორთლაძე (73), ჯაბა გოგიშვილი (90) და დავით კიკნაძე (+90). ბრინჯაოს მედლები მიიღეს გიორგი შინჯიკაშვილმა (60), დავით სებისკვერაძემ (66), ლევან ითაშვილმა, გიორგი ბიზიკაშვილმა (ორივე — 73), მინდია ბოდაველმა, გიორგი ყიზილაშვილმა (ორივე — 81) და დურმიშხან ბერუაშვილმა (+90).

ეს ბიჭები ივლისში, დანიაში გასამართი ევროპის ახალგაზრდული თამაშებისთვის ემზადებიან. იქ წასაყვან გუნდსაც მწვრთნელები ამ ტურნირის შედეგების მიხედვით დააკომპლექტებენ.

ირაკლი თავაძე

ოლიმპიური ამბები

სპონსორებზე, ტამპონებსა და გარდაცვალებაზე

მაკკეინის „ყოველთვიური“



ჯონ მაკკეინი

ჯონ მაკკეინი აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საპრეზიდენტო იმედი, არიზონელი სენატორი და სენატის კომერციის კომიტეტის თავმჯდომარეა. თავის კომიტეტთან ერთად იგი, გეხსომებათ კიდეც, სოლტ ლეიკ-2002-ის სამექრთამეო სკანდალის საქმეს იკვლევს და, ამდენად, საერთაშორისო ოლიმპიური კანტორის ერთი გამორჩეული „მეგობარიც“ ბრძანდება. ხუან ანტონიო სამარანჩისადმი მიწერილ თავის ამასწინანდელ წერილში მისტერ მაკკეინმა სოკ-ს აშშ-ს კონგრესის წინაშე ყოველთვიურად წარდგომა და ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა. როგორც გუშინ ლოზანიდან მიღებული ინფორმაციიდან გავარკვიეთ, სოკ-ი მაკკეინის ამ მოთხოვნით გახარებული სულაც არაა და იგი, როგორც ბედნიერ ძველ დროში იტყოდნენ, „ამერიკული იმპერიალიზმის მორიგ კადნიერ გამოხდომად მიაჩნია“.

„ჩვენ ამას არ გავაკეთებთ და თუ რატომ არ გავაკეთებთ, ეგ თავად ბატონმა მაკკეინმაც კარგად იცის“, - აი, ასე განუცხადებია სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს ვეტარანს, ავსტრალიელ ბიზნესმენ კევენ გოსპერს და თანაც ისე დაუმატებია, რომ, არა მგონია, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაცია ან თუნდაც რომელიმე საკუთრივ ამერიკული კორპორაცია ასე იქცეოდესო... „ჩვენ გამონაკლისი არა ვართ და მაკკეინის ყოველთვიურშიც ამიტომ მონაწილეობას ვერ მივიღებთ“, — უთქვამს მას.

გოსპერის თქმით, სოკ-ი ისედაც საკმაოდ ბევრს აკეთებს თავისი შებღალული რეპუტაციის აღსადგენად და, „თუკი ამდენი გაძევება, ამდენი ზნეობა-უზნეობის კომიტეტის შექმნა სენატორზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენს, ეს მისი პრობლემაა და არა მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობისა“.

როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ — ამენ და უკუნითი უკუნისამდე! ჩვენ კი, თქვენის ნებართვით, მომდევნო საკითხებზე გადავინაცვლოთ.

რამდენიმე დოლარით ნაკლები

სოლტ ლეიკის საზამთრო და სიდნეის საზაფხულო ოლიმპიადების მომწყობებს მაგრად უჭირთ — პირველნი თამაშების გამართვისათვის აუცილებელი 1,4 მილიარდი დოლარის მოგროვებას ვერ ახერხებენ, მეორენი კი — 3,9 მილიარდისა. ამასთან მიზეზი პირველ შემთხვევაში სპონსორების შემოკლებაა, მეორეში კი — „მავანი გაუთვალისწინებელი პრობლემები“. ჩვენ კი, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ასე მოვჭრით: სკანდალში გარეულ ამერიკული ქალაქთან მეგობრობა ბობოლა ფარმაცევტულმა ფირმამ, წამლების, ოყნებისა და ტამპონების გამომშვებმა „ჯონსონ ენდ ჯონსონმა“ იუკადრისა და ამით სოლტ ლეიკელებს მორიგი 30 მილიონიანი „გრევის“ იმედი დაუკარგა, ხოლო ავსტრალიელებს იმგვარად გაუჭირდათ, რომ თავიანთი ბიუჯეტი 32,3 მილიონი დოლარით შეკვეცეს. თანაც აქ მთავარი თანხების მეტ-ნაკლებობა კი არაა, არამედ ტენდენცია, რომელიც მთელ ოლიმპიურ სამყაროს შეუჩნდა და თუ საით მიჰყავს, ეგ მარტო კოდელმა ნინამ ანაც ანდალუზიელმა ხუანიტამ უნდა იცოდეს...

ავსტრალიელებს კი ერთი უცნაური თავსატეხიც ჰქონიათ — ოზებს თურმე ჯერაც ვერ გაურკვევიათ, ვინ უნდა გახსნას სიდნეური ჰარი-ჰარალო, ბრიტანეთის გოროზმა დედოფალმა, რომელიც ჯერაც ამ ქვეყნის ოფიციალურ დედამძუძედ ითვლება, თუ საკუთრივ ავსტრალიელთა პრემიერმა, რომლად წოდების პატივიც იმ დრომდე ალბათ ისევ ჯონ ჰაუარდს ექნება. ამბობენ, რომ ყველაფერი ნოემბრის რეფერენდუმზე უნდა გადაწყდეს, როცა ავსტრალიელები თავიანთ ბიულეტენებს ბრიტანეთთან ორსაუკუნოვანი დედაშვილური ჭიპლარის გადაჭრა-არგადაჭრას უყრიან.

ბოლოს:

გასულ უქმეებზე დუბლინში გარდაცვლილა სოკ-ის 1972-80 წლების პრეზიდენტი, ლორდი კილანინი. ლორდი, რომელიც ოლიმპიურ ოჯახში გაძიებამდე ჟურნალისტადაც მუშაობდა და რამე-რუმე ფილმების პროდუსერობითაც ერთობოდა, 85 წლისა აღსრულებულა. ირლანდიის ოლიმპიურ საბჭოს იგი 1950 წლიდან მეთაურობდა, სოკ-ის წევრი 1952 წელს გახდა, 1968-ში, ოთხი წლით ადრე კაპო დი ტუტი კაპის გვირგვინის მიღებამდე, კანტორის ვიცე-პრეზიდენტის ლაბადა მოირგო. მისი საპრეზიდენტო მოღვაწეობა ერთთავად სკანდალებითა და გაწამაწიით გამოირჩეოდა. 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაზე პალესტინელმა ტერორისტებმა 11 ებრაელი წარმომადგენელი იმსხვერპლეს, 1976-ში, მონრეალის თამაშებზე აფრიკულმა ქვეყნებმა ახალზელანდიელთა სამხრეთაფრიკული სარაგბო ვოიაჟი დაგმეს და ასპარეზი დატოვეს, ოთხი წლის შემდეგ, ეგ უკვე კარგად უნდა იცოდეთ, განათლებულმა დასავლეთმა ბოროტების იმპერიაში ჩასვლა არ იკადრა და... დუბლინელ ლორდსაც შლიაპა დაუკრეს...

მსუბუქი იყოს თქვენთვის მშობლიური მიწა, მილორდ!

ლევან კელაურაძე

რია-რია

...

გასულ უქმეებზე მზიანმა, პლატინიანმა და სქელბარკლიანმა რიო დე ჟანეირომ ჭერგარე სამძლეოსნო გრან პრის უმასპინძლა. გრან პრი ამ ამბავს ერქვა, თორემ ისე კაი ფინაჩი რამე გამოდგა...

თუმცა გამოსაყოფი რაღაც-რაღაცები აქაც იყო და ჩვენც, ღმერთმანი, ავიღოთ და გამოვყოთ:

პირველ რიგში ოლიმპიური ჩემპიონის, 28 წლის ამერიკელი ალენ ჯონსონის წაბორძიკებაზე ვთქვათ. თავისი 110 ბარიერიანი მეტრი ალენმა იმ დღეს უაღრესად ნელა, 13,57 წამში გაირბინა და მოსაგები ნაკლებად ცნობილ თანამემამულეს ლერი უედს (13,49) დაუთმო. ნარბოლევს კი ისე ისაუბრა, ეგ ყველაფერი ტრავმის და სასურველ ფორმაში ვერყოფნის ბრალიაო. „ახლა ვხვდები, რომ ბევრი თვისება დაკარგე და რა გინდა, რო ჭნა?“, — უთქვამს მას.

ჩვენ კი იმას ვიტყვით, რომ ასეთ შემთხვევაში ვერაფერსაც იზამ.

ატლანტის ოლიმპიადის მეორე მედალოსანმა სიგრძეში მხტომელმა იამაიკელმა ჯეიმს ბეკფორდმა კი, იცოცხლეთ, კაცურად იხტუნავა, როცა ბრწყინვალე სერია დიდებული 8,40 მეტრიანი შეხტომით მოაბოლოვა. როცა სეზონს ეგრე მაღლა ვიწყებ, კიდევ უფრო მაღლა ვამთავრებო — ბეკფორდის ამ ქადილზე იქვე მდგომი კუბელი ივან პედროსო და ესპანელი იაგო ლამელა ოდნავ უხერხულად შეშმუშნულან.

შესაშმუშნად და კიდევ უარესად ჰქონდა საქმე სამხტომში მსოფლიოს ჩემპიონს, ჩეხ სარკა კასპაროვასაც, რომელმაც რიოს სახტომეთზე პერსონალურ, 15,20 მეტრიან რეკორდს მეტრზე მეტით ვერ უწია და 14,10-ით ბითურ მესამე ადგილს დასჯერდა.

სხვა რაღა? — ალბათ ის, რომ ოლიმპიურმა მევერცხლემ, ზამბიელმა სამუელ მატეტემ 400 მეტრიანი თარჯრბენი ძალიან ადვილად მოიგო, ბრაზილიელმა სპრინტერმა, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა კლაუდინეი და სილვამ კი 100 და 200 მეტრიან გადარბენებზე ამერიკელები, როჰსაა გრიფიტი და ტონი მაკკოლი დაიბრიყვა და რიოელ ლამაზმანებსაც შიდამკერდული წონასწორობა შეუთამაშა.

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ალენ ჯონსონმა რიოში ჩვეულად ვეღარ ივარგა

REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ჯეიმს ბეკფორდი

ტექნიკური შედეგები

ვაჟები

100 მ

1 კლაუდინეი და სილვა (ბრაზილია) 10,29 წმ
2 ტონი მაკკოლი (აშშ) 10,55
3 როჰსაან გრიფიტი (აშშ) 10,58

200 მ

1 და სილვა 20,47
2 გრიფიტი 20,71
3 მაკკოლი 20,85

400 მ

1 სამუელ მატეტე (ზამბია) 48,97
2 ანჯელო ტეილორი (აშშ) 49,70
3 კენ ჰარდენი (ზიმბაბვე) 49,83

110 მ თარჯრბენი

1 ლერი უეიდი (აშშ) 13,49
2 ალენ ჯონსონი (აშშ) 13,57
3 მარსიო დე სოუზა (ბრაზილია) 13,76

სიგრძეზე ხტომა

1 ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 8,40 მ
2 ნელსონ ფერეირა (ბრაზილია) 8,20
3 ბოგდან ტიუდორი (რუმინეთი) 8,00

ქალები

სამხტომი

1 ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 14,50 მ
2 პარასკევი ციამიტა (საბერძნეთი) 14,27
3 სარკა კასპაროვა (ჩეხეთი) 14,10

ამერიკელები ახალ ლიგას აარსებენ

კალათბურთის, ბეისბოლის, ამერიკული ფეხბურთის, ევროფეხბურთისა და მისთანათა პროფესიული ლიგების გვერდით ამერიკელებს ახალი რამ პროფლიგის შექმნაც განუზრახავთ. ლიგა მათებური სამძლეოსნო ფედერაციის („იუესი ტრეკ ენდ ფილდის“ ანუ „აშშ-ს ტრეკისა და ველის“) პირმშო იქნება და მშობლის დარად „ტრეკისა და ველის ასოციაციის“ (TFA) სახელს ატარებს.

TFA-ს პირველი ჩემპიონატი მიმდინარე წლის ივნისში, ნიუ იორკულ “მიჩელ ატლეტიკ კომპლექსში“ გაიმართება, ხოლო პირველი სრული სეზონის მომსწრენი 2000 წლის გაზაფხულიდან გავხდებით. შეჯიბრი თურმე ორ-ორსაათიან და 12-12 სახეობიან ეტაპებად განაწილდება. მძლეოსნებს უნიფორმების ტარება და „უდმივი“ ნომრებით გამოსვლა მოუწევთ. სეზონის განმავლობაში განსაკუთრებით გამორჩეულთ, გარდა იმისა, რომ პირად ბიუჯეტებს გვარიანი თანხებით გაიმდიდრებენ, ფინალურ ტურნირზე ასპარეზობაც შეეძლებათ.

„ლიგის მიზანია, თავი მოუყაროს წამყვან ათლეტებს, სპონსორებსა და ტელეარხებს, ისე, რომ ამით ისინიც მოგებულნი დარჩნენ და ამერიკულ პუბლიკასაც დიდებული, დაუვიწყარი სანახაობით ტკბობის მორიგი საშუალება მიეცეს“.

საქმის ფინანსურ და სხვა საინტერესო მხარეებზე უფრო დაწვრილებით საუბარს TFA-ელი მამები ოდნავ მოგვიანებით გვპირდებიან.

ლევან კელაურაძე

რა. სად. როდის

წლევანდელი სამძლეოსნო გრან პრი მოასპარეზეებს ჯამში 3,38 მილიონ დოლარს მოუტანს. ამოტოლა ფულის ამღებთა ვინაობა „ოქროს ლიგის“ 7 თავშეყრაზე, 10 გრან პრისა და 11 გრან პრი 2-ზე გაირკვევა. ფინალი მიუნხენში, 11 სექტემბერს გაიმართება. აქ ინდივიდუალურად ნახევრებნი 50-50 ათას დოლარს ჩაიჯიბავენ, ხოლო საერთო ჩათვლაში გამარჯვებულები ფინანსურ მდგომარეობას 200-200 ათასით გაუმჯობესებენ.

ამ სეზონში ვაჟები ძალას 200, 800, 1500 და 3000 მეტრზე, 3000-იან სტიპლჩეიზზე, 110-იან თარჯრბენზე, სიგრძესა და ჭოკით ხტომაში და შუბის ტყორცნაში გამოსცდიან, ქალთა ასპარეზი კი 200, 800, 1500 და 3000 მეტრით, ასევე 400-იანი თარჯრბენით, სიმაღლეში ხტომით, სამხტომითა და ბირთვის კვრით შემოიფარგლება.

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

2000 წლის 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე სიდნეიში (ავსტრალია) ჩატარდება ზაფხულის XXVI ოლიმპიური თამაშები.

თამაშებზე აკრედიტაციის მსურველ სპორტულ ჟურნალისტებს ვთხოვთ, განცხადებები წარადგინოთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში (რუსთაველის პროსპექტი №42; ტელ: 99-08-22) ან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახურში დავით აღმაშენებლის გამზირი №65; ტელ: 95-20-79). აკრედიტაციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას, სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის წარდგინების საფუძველზე, მიიღებს სეოკ-ის აღმასკომი.

სიდნეიში მივლინების ყველა ხარჯს გაიღებს თავად ჟურნალისტი ან მისი მიმავლინებელი ორგანიზაცია.

განცხადებების წარდგენის ბოლო ვადაა 1999 წლის 1 აგვისტო.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახური

ყოჩაღ, ბიჭებო!

ქართველი ინვალიდი მკლავჭიდელები საერთაშორისო წარმატებებს გაუშინაურდნენ. შარშანდელ ნოემბერს იყო და ქაიროში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ისახელეს თავი, გასულ კვირას კი მოსკოვში გამართულ ტრადიციულ ტურნირ „ოქროს დათვის“ მონაწილედ დაუმტკიცეს მკლავის ძალა. გია ქეშელაშვილმა და ბესო ლეკიაშვილმა ყველა მეტოქე დაამარცხეს და ოქროს მედლებითაც დაჯილდოვდნენ, ბესო ლეკიაშვილმა კი მერე ჯანმრთელი კონკურენტებიც „დაჩაგრა“ და მათი „წილი“ ოქროს მედალიც მითვისა.

ნინო ჩხეიძე

კატია ზაიცინგერი

კატია ზაიცინგერი

დაიბადა 1972 წლის 10 მაისს.

1989 — პირველად იასპარეზა მსოფლიოს თასზე

1990 — სუპერგიგანტის მეორე ადგილი მარიბელში

1991 — მეხუთე ადგილი სწრაფდაშვებასა და კომბინაციაში მსოფლიოს ჩემპიონატზე — იტალიაში, პირველად იგებს მსოფლიოს თასის ეტაპს სუპერგიგანტში

1992 — ბრინჯაო ოლიმპიადაზე სუპერგიგანტში. მსოფლიოს თასის გამარჯვებული სწრაფდაშვებაში — ნოემბერში იღებს მუხლის მძიმე ტრავმას

1993 — ოქრო სუპერ-გიგანტში მარიოკას მსოფლიოს ჩემპიონატზე, მერე ადგილი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში

1994 — ლილეჰამერის ოლიმპიადის ჩემპიონი სწრაფდაშვებაში. მსოფლიოს თასის გამარჯვებული სწრაფდაშვებაში

1995 — მეორე ადგილი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში

1996 — სწრაფდაშვების ვერცხლი მსოფლიოს ჩემპიონატზე და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის გამარჯვებული

— გერმანიის წლის საუკეთესო სპორტსმენი

1997 — ვერცხლი კომბინაციასა და სუპერგიგანტში მსოფლიოს ჩემპიონატზე

1998 — სწრაფდაშვებისა და კომბინაციის ჩემპიონი ნაგანოს ოლიმპიადაზე, მსოფლიოს თასის გამარჯვებული საერთო ჩათვლაში, სწრაფდაშვებასა და სუპერ-გიგანტში

— ვარჯიშის დროს იტალიაში ორივე მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მთელი სეზონი გამოტოვა.

1999 — გამოტოვა მსოფლიოს ჩემპიონატი

— გამოაცხადა სპორტიდან წასვლის შესახებ

სულ მოიგო მსოფლიოს თასის 36 ეტაპი: 16 სწრაფდაშვება, 16 სუპერგიგანტი, 4 გიგანტური სლალომი

დრო იყო, კატია ზაიცინგერი თავზარს სცემდა მეტოქეებს — ქერა, ბავშვური გამომეტყველების გერმანელი რაკეტასავით ჩაიქროლებდა თეთრ ტრასებზე, მავან ავსტრიელ თუ სკანდინავიელ კონკურენტებს თვალში თოვლს მიაყრიდა, თავზე ქოქოლას და პოდიუმზეც ამაყად წამოიჭიმებოდა ხოლმე. მაგრამ რაც სხვებმა ვერ დააკლეს, კატიამ საკუთარ თავს ავნო: გასული წლის ივნისში მან ორივე მუხლის მყესი იტალიაში ვარჯიშის დროს დაიწყვიტა, ფეხი ორიოდ ადგილზეც მოიტეხა და ბევრი პენსიაზე გარდაუვალ გასვლაზე აალაპარაკა.

ეჭვები კატიამ პარასკევს, ავსტრიულ კურორტ სოლდენში დაადასტურა „გადავწყვიტე, სპორტს გამოვეთხოვო და ჩვეულებრივ ცხოვრებაში ვცადო ბედი“ — განუცხადა პრესკონფერენციაზე შეყრილ ჟურნალისტებს 26 წლის გერმანელმა — ჩემს გადაწყვეტილებას ტრავმასთან არანაირი კავშირი არა აქვს. დიდი დრო მქონდა ყველაფერ ამაზე საფიქრელად და აზრის შეცვლას აღარ ვაპირებ“.

კატიას ეს ამბავი წინასწარ მხოლოდ მშობლებისა და ნაკრების მწვრთნელებისთვის გაუნდვია, ამიტომ თანაგუნდელებმა, მარტინა ერტლმა და ჰილდე გერგმაც კი არაფერი იცოდნენ. არადა იმავე დილით ზაიცინგერმა გუნდის სავარჯიშო ბანაკში ისრიალა კიდეც, „მუხლები უკვე აღარ მაწუხებს და დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრის მიღწევა შემეძლო, მაგრამ ცხოვრებაში უკვე სხვა მიზნები გამიჩნდა. სპორტში შესანიშნავი დრო გავატარე და ამას არასოდეს დავივიწყებ. გუნდთანაც შევინარჩუნებ კონტაქტებს“.

ზაიცინგერი სამთოთხილამურობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დიაცია — 1994 წლის ოლიმპიადაზე ლილეჰამერში სწრაფდაშვების ოქრო რომ მოიგო, მომდევნო თამაშებზე პირველი ტიტული კომბინაციის გამეორება შეძლო, ოქროს მედალს კომბინაციაში პირველი ადგილი და გიგანტური სლალომის ბრინჯაოც დაუმატა.

მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლის ორგზის გამარჯვებულს, 36 ეტაპიც აქვს მოგებული, რაც მესამე შედეგია ისტორიაში. კიდევ უფრო უჩვეულო კი ის იყო, რომ მოებში გამოზრდილი კოლეგებისგან განსხვავებით, კატია გერმანიის ბარში, რურის დაბლობში დაიბადა და გაიზარდა, სადაც მამამისი ფოლადის მეტალურგიის ქარხანას თავკაცობს. „სწავლას რომ მოვრჩები, მამას დავეხმარები“ — ეკონომიკას დაუკავშირა მომავალი ზაიცინგერმა.

თავიდან კატია მხოლოდ სწრაფი ტრასების ოსტატად ითვლებოდა, მაგრამ თანდათან სხვა დისციპლინებშიც მოუმატა და სუპერგიგანტებსა და გიგანტურ სლალომებშიც საუკეთესო გახდა.

„მან ყველაფერს მიაღწია, რაზეც შეიძლება იოცნებო და ჩვენზეც საუკეთესო გავლენა მოახდინა. ძალიან სამწუხაროა, რომ წასვლას აპირებს“ — ეს სიტყვები ჰილდე გერგს ეკუთვნის. „მისი არყოფნის ანაზღაურება შეუძლებელი იქნება“ — შეიცხადა ნაკრების მწვრთნელმა სტეფან კურცმა.

თავად კატია კი არაფერზე ნაღვლობს და კარიერის საუკეთესო მომენტებსაც თვალზე კურცხლის მოდგომის გარეშე იხსენებს: „ოქროს მედალი მარიოკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე და ოლიმპიური ტიტულები, ისევე, როგორც მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში გამარჯვებები განსაკუთრებულად სამახსოვრო მიღწევებია. თუმცა სინანული არ მჩევია, მე მომავალს იმედით ვუყურებ“.

ქაჯა ხურციძე

მე გავიტანე?



AP ფილადელფიიდან

ტორონტოსთან ფილადელფიის წაგება „მფრინავთა“ მეკარის ჯონ ვანბისბრუკის სინდისზეა

STANLEY CUP PLAYOFFS

26 აპრილი

აღმოსავლეთი

ტორონტო — ფილადელფია 2:1

ფილადელფია — ტორონტო 1:2

1:1 0:1 0:0

1:0 დაიჰიუსი 16'16 (1); 1:1 ჯონსონი 16'26 (1); 1:2 ტომასი 20'40 (2)

ზაფხულში ფილადელფიის მენეჯერი ბობი კლარკი დიდხანს ყოყმანობდა, ორი მეკარისგან — ჯონ ვანბისბრუკისა და კერტის ჯოზეფისგან რომელი აერჩია. კლარკმა პირველი, „ბიზერი“ ამჯობინა, ფულიც დაზოგა (ვანბისბრუკი 3, 4 მილიონი ღირდა, ხოლო ჯოზეფი — ორჯერ მეტი) და... შეცდა. ისე, იქნებ ამის თქმა ნაადრევიც იყოს, მთელი სერია ხომ ჯერ კიდევ წინაა, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ „მფრინავებმა“ სწორედ ვანბისბრუკის შეცდომების გამო წააგეს. ამჯერად „ბიზერმა“ სულაც მიუტევებელი რამ ჩაიდინა: მაიკ ჯონსონის დარტყმული შაიბა ახლო კუთხეში გაუშვა, რაც მეკარეს არ ეპატიება. და მაინც, მთავარი ჯერ კიდევ წინ იყო — სტივ ტომასი, სტუმართა 35 წლის ვეტერანი. მან ფილადელფიელებს აგერ უკვე მეორედ დასცა თავზარი გადამწყვეტი შაიბის შედგებით. კაცმა რომ თქვას, წინა მატჩში ერიკ დეჟარდენთან უხეშობისთვის იგი უნდა დასჯილიყო, მაგრამ „მფრინავთა“ საბალალოდ, ლიგამ დაინდო.

ტომასის გოლის შემდეგ მთელი ორი პერიოდი იყო წინ, მაგრამ იქ მასპინძლებს და მათ 40 დარტყმას მეკარე კერტის ჯოზეფი დაუხვდა კედელივით.

კაროლინა — ბოსტონი 2:1

ბოსტონი — კაროლინა 2:3

1:1 1:1 0:1

0:1 რობერტსი 1'05 (1); 1:1 სამსონოვი 9'48 (2); 2:1 კარტერი 33'07 (1); 2:2 შეპარდი 35'20 (3); 2:3 კოვალენკო 42'54 (1)

ამ წყვილის პაექრობაშიც ტორონტო — ფილადელფიის დუელის დარად ვითარდება მოვლენები. მას შემდეგ, რაც „ქარიშხლებმა“ პირველი მატჩი მშრალად წააგეს, ზოგიერთებმა მათზე მათზე ჩაიქნიეს ხელი. მაგრამ მეორე შეხვედრაში კაროლინელებმა რეი შეპარდის ძალისხმევით, როგორც იქნა, დალაშქრეს ბაირონ დაფოს კარი და გაცილებით უკეთ ათამაშდნენ. ისე, ამ მატჩში იღბალიც მათ მხარეს იყო. მესამე პერიოდში ორი დარტყმიდან (მასპინძლებმა რვაჯერ დაარტყეს) ერთი გოლად იქცა. საინტერესო კი ისაა, რომ კაროლინელმა ანდრეი კოვალენკომ ისე გაიტანა გადამწყვეტი შაიბა, თავადაც ვერ გაიგო: „არ ვიცი, გოლი მე რატომ მომაწერეს. ვერც კი გეტყვით, შაიბა ფეხზე მომხვდა თუ სხვა ადგილას. თუმცა მთავარია, რომ გოლი ჩაგვითვალეს“ — ამბობდა მატჩის შემდეგ გაოცებული ჰოკეისტი. მართლაც, რობერტ კრონის მიერ კარის უკნიდან ჩაწოდებული შაიბა რამდენიმე რიკოშეტის შემდეგ გაეხვა ბადეში. ამიტომაც იყო, რომ ბოსტონელებმა შედეგის გაუქმება მოითხოვეს, მაგრამ არბიტრმა დონ ვან მასენჰოფენმა ხანგრძლივი განსჯისა და ვიდეოჩანაწერის ნახვის შემდეგ ჩათვალა გოლი.

დასავლეთი

კოლორადო — სან ხოსე 2:0

სან ხოსე — კოლორადო 1:2

0:0 0:0 1:1 0:1

1:0 დამფუსი 43'02 (1); 1:1 ფუტი 54'20 (1); 1:2 ჰეიდუკი 67'53 (1)

ახალბედა მილან ჰეიდუკმა თავის ხანმოკლე კარიერაში უმთავრესი გოლით სერიაში მეორე გამარჯვება მოუტანა კოლორადოს და პრაქტიკულად გადაწყვიტა ამ დუელის ბედი, რადგან მომდევნო ორი მატჩი დენვერში ჩატარდება. ოვერტაიმის მე-8 წუთზე ჩეხმა ჯო საკიკის პასი მიიღო, მასპინძელთა მცველი დაჯაბნა და გამოცდილ მაიკ ვერნონს შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა.

არადა, ჯერ კიდევ ძირითადი დროის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კოლორადოს წაგების საფრთხე ემუქრებოდა. სანხოსელებმა მშვენივრად უწყოდნენ, რომ თუ გარემოებათა მიერ ნაბოძებ შანსს (შეგახსენებთ, რომ დენვერში მომხდარი ტრაგედიის გამო სერია სან ხოსეში დაიწყო) მეორე მატჩში არ გამოიყენებდნენ, აღარაფერი ეშველებოდათ. ამიტომაც ძალიან ყურადღებით მოქმედებდნენ დაცვაში, ხოლო ვერნონი სასწაულებს სჩადიოდა. „ეველანშის“ მრისხანე ფორვარდები მთელი 54 წუთის განმავლობაში პასიურობდნენ, მაგრამ საბოლოოდ სტუმრებს ბედმა გაულიმა — ადამ ფუტის მიერ დარტყმული შაიბა გზად რომელიღაც მცველს შეეხო და ვერნონი დააბნია. ოვერტაიმში კი მასპინძელთა კაპიტან ოუენ ნოლანს შეეძლო, თავისი ყოფილი პარტნიორები დაემწუხრებინა, მაგრამ ახლო მანძილიდან ვერ გაუტანა პატრიკ რუას. ერთი წუთის შემდეგ კი ამისთვის დაისაჯა.

სამფელ ღარიბიანი

ერთგულ დათვს სტენლის თაფლი ენატრება

„რას არ გავიღებდი, რომ კარიერის დასასრული თასით გამელამაზებინა“ — ეს სიტყვები ეკუთვნის... ალბათ იფიქრეთ, უეინ გრეცკისო. ასეთ ტრიუმფზე, ცხადია, ჰოკეის დიდოსტატიც არ იტყოდა უარს, მაგრამ არის ლიგაში კიდევ ერთი მოთამაშე, რომელიც მეტად თუ არა, არანაკლებ იმსახურებს ამ ჯილდოს, მით უმეტეს, რომ გრეცკისგან განსხვავებით („დიადს“ თასი 4-ჯერ მოუგია), იგი არასდროს მოუპოვებია. საუბარია ბოსტონის სახელოვან მცველ რეი ბურკზე. იგი ახლაც, 38 წლისა ერთ-ერთი საუკეთესოა ამ ამპლუის ჰოკეისტა შორის. ოცი წლის განმავლობაში მოგებულ ინდივიდუალურ პრიზებზე არაფერს ვიტყვით, ყველაფერზე მაყურებლის სიყვარული მეტყველებს, რომლის მსგავსიც მხოლოდ ჰოკეის ლეგენდებს თუ ღირსებიათ. 1980 წლის სადებიუტო სეზონში საუკეთესო ახალბედობას ხუთი „ნორის ტროფი“ (საუკეთესო მცველისთვის განკუთვნილი პრიზი) მოჰყვა. წლეულს ბურკი მე-17-ედ მიიწვიეს „ოლ სტარის“ მატჩში სათამაშოდ, რაც ნჰლ-ის არსებობის მანძილზე მესამე შედეგია გორდი ჰოუსა (23) და უეინ გრეცკის (18) შემდეგ. იგი 1083 პასით მესამე ასისტენტია ლიგის ისტორიაში, ხოლო 385 შაიბით პოლ კოფისთან ერთად პირველ ადგილს იყოფს მცველთა შორის. რაც მთავარია, რეიმ მთელი ამ ხნის განმავლობაში უერთგულა ბოსტონს და კლუბისთვის უმძიმეს ჟამსაც კი არ უფიქრია მისი მიტოვება. აი, ასეთი კაცი გახლავთ ბურკი, რომელსაც ორჯერ — 1988 და 1990 წლებში სულ ერთი ნაბიჯი დააკლდა თასამდე (ბოსტონი ფინალში მარცხდებოდა). ჰოკეისტი იმედს ახლაც არ კარგავს, თუმცა წარმატებამდე ჯერ შორია — ჯერჯერობით „დათვებს“ კაროლინის სახით პირველი ბარიერის გადალახვაც კი უჭირთ.

REUTERS ბარსელონიდან

იუბილარს გაუმარჯოს!

წლეულს „ბარსელონას“ ასი წელი უსრულდება. ამ გამორჩეული თარიღის აღსანიშნავად კატალონიის დედაქალაქს ბრაზილიელი ჯადოქრები სწვევიან და „ბარსასთან“ მეგობრულად წაბურთავებას ლამობენ. აგერ აქეთ რომარიო ფიზიოთერაპევტ მარკო ტეიშეირასთან ერთად აღუბეჭდავთ, აგერ იქით კიდევ რონალდო, რობერტო კარლოსი, დენილსონი და რივალდო ჩახუტებულან და ერთად ყოფნით ჰალალად ხარობენ... ხეირიან სანახაობას, ძმებო!

REUTERS ბარსელონიდან

ბორდო ტელევიზიამ იშვილა

ფრანგული ტელეარხი **M6** საფეხბურთო კლუბ „ბორდოს“ მფლობელად მოგვევლინა. ტელეარხის პრეზიდენტი ჟან დრაკერი ფოტოზე აღბეჭდვის მომენტში სწორედ ამ სასიამოვნო სიახლეს იუწყება. მისი თქმით, „ბორდოს“ მოსაპოვებლად **M6**-ს მხოლოდ ერთი ბრიტანული საინვესტიციო კომპანია შესცილებია, მაგრამ როგორც შესცილებია, თურმე ისევე გასცილებია და ანი ეროვნულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფ კლუბსაც სწორედ „ტელევიზიონშჩიკები“ უპატრონებენ...



REUTERS ბორდოდან



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ფეხი გასწი, ბიჭო!

„სენტ ლუის კარდინალზის“ ბეისბოლისტი მორიგი ბურთის ვერდაჭერამ ისე გააბრაზა, რომ კედელზე გამოხატულ „ლოს ანჯელეს დოდჯერზის“ ლეგენდარულ ბეისბოლისტ ჯეკი რობინსონს პირში თავისი სუნიანი ფეხი ჩაუყო... ბებერ ჯეკის ამით არაფერი დაჰკლებია, დოდჯერზელებმა კი აიღეს და ლეგენდის გატრიზავება თავხედს კიდევ ბევრი აუღებელი ჩაწოდებით ჩაუმწარეს.

REUTERS ბარსელონიდან

ბოსქალი ცხენზე გადარეულა

ამ ქალბატონებზე ამბობენ, მსოფლიო ცხენოსნობაში მწვრთნელისა და მფლობელის ერთადერთი ქალური წყვილიაო. ცხენთამწურთნავი აკიკო გოთარდისა (მარჯვნივ) და მილონერ მედელაინ პაულსენის საერთო სისუსტე ერთი წმინდა სისხლისა და ამღვრეული თვალების მქონე მერანი ყოფილა. ჰოდა, აკიკოსა და მის ბოსქალს თავიანთ „უან კინგზე“ საუბარსა და ჭორიკნობას არაფერი ურჩევნიათ. მით უფრო მაშინ, როცა ცხვირზე ახალი რბოლები და ახალი შეყრა-შემოყრებია...

REUTERS ლუისვილიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. **ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29